ეროვნული
ბიბლიოთეკა

პალიტრა
მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

27 მაისი **ხუთშაბათი** 2010
№ 122 (13 110) ფასი 60 თეთრი




# ვიტ ჯორჯია პირველად!




თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო (www.sport.gov.ge)

## ხიზანიშვილი სელტიკში...

### ...ოღონდ, გლაზგოური დერბის გარეშე



**ზურაბ ხიზანიშვილს** სახელგანთქმულ კლუბში გადასვლის მორიგი შანსი გაუჩნდა. გუშინ ჩვენთვის ცნობილი გახდა დღემდე უცნობი და ამავე დროს, ყველაზე რეალური და სასურველი ვარიანტი - ხიზანიშვილის გადაბირება შოტლანდიური ფეხბურთის გრანდს, გლაზგოს „სელტიკს" მოუნადინებია. ეს ინფორმაცია სანდრო და საქმეში ჩახედულ ხალხთან გადავამოწმეთ. ამდენად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ინფორმაცია დაზუსტებულია.

ეს ამბავი თავად ზურამ ვიწრო წრეში გაამხილა, თუმცა ჯერ არ გადაუწყვეტია, წავიდეს თუ არა, რადგან სხვა წინადადებებიც აქვს. და მაინც, „სელტიკი" იმდენად საინტერესო და მიმზიდველი ვარიანტია, ყველაზე მეტად მასზე ფიქრობს. „სელტიკში" ჩარიცხვის შემთხვევაში, ზურას კონტრაქტში ერთი მნიშვნელოვანი პუნქტის ჩაწერა ურჩიეს - არავითარ შემთხვევაში არ ითამაშოს თავისი ყოფილი კლუბისა და „სელტიკის" მოსისხლე მტრის „რეინჯერსის" წინაალმდეგ. არადა, გლაზგოური დერბი საოცარი რამაა და მასში მონაწილეობის წყურვილი ბევრ ფეხბურთელს კლავს...

სამაგიეროდ, ხიზანიშვილი „რეინჯერსის" გულშემატკივართა რისხვას აიცილებს თავიდან. არახალია, რომ გლაზგოური გრანდების ფანები პრინციპული მონინაალმდეგის ბანაკში გადაბარგებულ ფეხბურთელებს არ სწყალობენ...

მოკლედ, დღეს ეს ვიკმაროთ და დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას...

**მერაბ მამულაშვილი**



## ახალგაზრდულ ნაკრებში ბერუაშვილი დაინიშნა

კალათბურთი >> გვერდი 11

# სათასო სეზონი

| დინამო | | ვიტ ჯორჯია |
|---|---|---|
| | 26 მაისი<br>თბილისი. ეროვნული.<br>10 000 მაყურებელი<br>**0:1** | |
| ლორია | | ბედიაშვილი |
| თომაშვილი | | ხურცილავა |
| კრსტესკი | | ა. კვახაძე |
| გ. კაშია | | ლომაია |
| ჩიკვილაძე | | ჯაფარიძე |
| ედნილსონი | | ვასაძე |
| კაკუბავა | | რაზმაძე |
| შ. კაშია | | გ. დათუნაიშვილი |
| კოშკაძე | | კლიმიაშვილი |
| კახელიშვილი | | ლიპარტია |
| ვანაძე | | ბერიაშვილი |
| 60. კახელიშვილი-ჯუისი<br>68. შ. კაშია-რობერტინიო<br>78. კრსტესკი-თექთურმანიძე | | 69. ბერიაშვილი-ვ. კვარაცხელია<br>80. ლიპარტია-ბეჟვაია<br>90. კლიმიაშვილი-გურეშიძე |
| სათადარიგოები: შეყრილაძე, მამუჩიშვილი, ფირცხალავა, ლეკვთაძე | | სათადარიგოები: ა. მიქაბერიძე, ჯანელიძე, ადამაძე, მაისაშვილი. |

0:1 გ. დათუნაიშვილი (41. ლიპარტიას პასით)

გაფრთხილება: ხურცილავა (24), ჩიკვილაძე (35), გ. დათუნაიშვილი (41), თექთურმანიძე (78), ვასაძე (87), ბედიაშვილი (90)

არბიტრი: ლ. სილაგავა



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

## ნავსი გატყდა

„ვიტ ჯორჯიას" ისტორია თორმეტ წელიწადს ითვლის და ამ ხნის განმავლობაში კლუბის პრეზიდენტი ერთი და იგივე პიროვნებაა - **გურამ რუხაძე.** მსგავსი ანალოგი კი ქართულ საკლუბო ფეხბურთში არასდროს ყოფილა და 1998 წლიდან მოყოლებული „ვიტ ჯორჯია" სამართლიანად მიიჩნევა საქართველოს ერთ-ერთ საუკეთესო გუნდად. ამ ხნის განმავლობაში „ვეტერინარებმა" ორჯერ ჩემპიონობა მოიპოვეს, რამდენჯერმე მოხვდნენ პრიზიორთა შორის; მაგრამ ერთობ სტაბილური გუნდი თასის გათამაშებაში წარმატებას ვერასდროს აღწევდა; ჰო, ასე იყო ამ სეზონამდე, ახლა კი „ვიტ ჯორჯიამ" თავისთვის უსიამოვნო ტრადიცია დაარღვია და ერთდროულად ორი ტიტულით გავიდა მართლაც დამსახურებულ შვებულებაში: 2009 წლის მიწურულს გუნდმა პირველად მოიპოვა სუპერთასი, გუშინ კი უფრო ფასეული, საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასის გამარჯვებულიც გახდა! თან, „ვიტ ჯორჯიამ" პირველივე ცდაზე შეძლო ამ საპატიო პრიზის მოპოვება - 12 წლის განმავლობაში „ვიტ ჯორჯია" ვერაფრით ახერხებდა ფინალში გასვლას და აი, ბოლოს და ბოლოს, ნავსი გატყდა! არანაკლებ მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ „ვიტ ჯორჯიამ" ამ წარმატებას ბოლო წლების უპრინციპულეს მეტოქესთან - თბილისის „დინამოსთან" მიაღწია. რა თქმა უნდა, ფინალში ნებისმიერ მეტოქესთან გამარჯვება ფასეულია, მაგრამ „ვეტერინართა" და „დინამოელთა" პრინციპულ დაპირისპირებებს ხომ სხვა ხიბლი აქვს... თანაც, შეგახსენებთ, რომ „ვიტ ჯორჯიამ" სუპერთასიც „დინამოს" ძლევის შემდეგ მოიპოვა.

...და, ყველაზე მთავარი: გუშინდელი ფინალი საიუბილეო, XX იყო; ჰოდა, ამ საიუბილეო გათამაშებას მართლაც ღირსეული გამარჯვებული ჰყავს: „ვიტ ჯორჯიამ" თასი ალალად დაიმსახურა, მეტოქეზე უკეთესადაც თამაშობდა და ბევრად... მოტივირებულადაც!..

## მატჩამდე

ბევრი მტკიცება არ სჭირდება იმ ფაქტს, რომ საქართველოს ფეხბურთის პროფესიული ლიგის ხელმძღვანელობამ სწორი გადაწყვეტილება მიიღო, როდესაც ფინალური მატჩის დრო შეცვალა. რა თქმა უნდა, 18 საათზე მატჩის გადაწევამ ეროვნული სტადიონის ტრიბუნებზე ანშლაგი არ გამოიწვია, მაგრამ არ დავმალავთ და, 10000-მეტს არც ველოდით. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა იქნებოდა იმ შემთხვევაში, მატჩი 14 საათზე რომ დაწყებულიყო...

...შემადგენლობების გაცნობისთანავე ცხადი იყო, რომ ორივე გუნდის მწვრთნელს ერთმანეთისთვის სიურპრიზის გაკეთება არც უცდია. უბრალოდ, „დინამოს" ბოლოდროინდელ შემადგენლობაში იყო ორი სიახლე: ახალგაზრდა **გიორგი თექთურმანიძე** ამჯერად სათადარიგოთა სკამზე იჯდა; ხოლო უკანასკნელ პერიოდში ჩინებულ ფორმაში მყოფი **ჯორჯ აკირემის** თამაში მატჩის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე გამოირიცხა - „დინამოს" გაბონელ ლეგიონერს ტრავმა გაუმიზეზდა.

აქვე, ერთი საინტერესო დეტალიც: ორივე გუნდმა ბოლო ოფიციალური მატჩი 20 მაისს ჩაატარა; თუმცა, „ვიტ ჯორჯიას" მთავარმა მწვრთნელმა **გელა გომელაურმა** „ლოკომოტივთან" არაფრისმომცემ შეხვედრაში, ფაქტობრივად, ძირითადი შემადგენლობა გამოიყვანა - მხოლოდ **გიორგი დათუნაიშვილსა** და **ლაშა ჯაფარიძეს** მისცა დასვენების საშუალება. აი, „დინამოს" თავკაცმა **კახა კაჭარავამ** კი „სამტრედიასთან" მატჩში მთლიანად გადახალისებული შემადგენლობა გამოიყვანა და ძირითადი ბირთვი დაასვენა. ანუ, ისე გამოვიდა რომ „დინამომ" ოპტიმალური შემადგენლობით ბოლო ოფიციალური მატჩი 15 მაისს ჩაატარა და „ძალების შემონახვის მეთოდი" კი, უფრო ხშირ შემთხვევაში არ ამართლებს ხოლმე...

## მატჩი

„დინამომ" ტრადიციული ტაქტიკური სქემით დაიწყო თამაში: 4-2-3-1; ოღონდ, ზემოხსენებული თექთურმანიძისა და აკირემის არყოფნაში, საყრდენების „დუეტი" **ლევან კაკუბავამ** და **ედნილსონმა** შეადგინეს, **ალექსანდრე კოშკაძე** კი მათ წინ მოქმედებდა, ხოლო **მათე ვანაძე** გარკვეული პაუზის მერე დაუბრუნდა ძირითად შემადგენლობას და ცენტრფორვარდის პოზიციაც დაიკავა. არც გელა გომელაურმა უღალატა ტრადიციას და თავისი გუნდი ბოლოდროინდელი განლაგებით (4-3-2-1) გამოიყვანა. გავუსწრებთ მოვლენებს და ვიტყვით, რომ ამ ტაქტიკურმა სქემამ მნიშვნელოვნად განაპირობა კიდეც „ვეტერინართა" წარმატება: ორივე ინსაიდი (**ჯაბა ლიპარტია, ირაკლი კლიმიაშვილი**) უაღრესად აქტიურად და, რაც მთავარია, ნაყოფიერად ირჯებოდა და ცენტრფორვარდ **გიორგი ბერიაშვილსაც** კარგად ეხმარებოდნენ; ალარაფერს ვამბობთ „ვიტ ჯორჯიას" უაღრესად მობილურ შუა ხაზზე: **ლუკა რაზმაძემ, გიორგი დათუნაიშვილმა** და **გიორგი ვასაძემ** პირველიდან ბოლო წუთამდე თავიანთი მეურვეები დაჩაგრეს და საერთოდაც, მოედნის ცენტრში მოპოვებულმა უპირატესობამაც არანაკლები როლი ითამაშა „ვეტერინართა" წარმატებაში.



გიორგი დათუნაიშვილი

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო (www.sport.gov.ge)

... კარში პირველი დარტყმა მესამე წუთზე ვიხილეთ: **გურამ კაშია** შორიდან ცდილობდა ანგარიშის გახსნას, მაგრამ ბურთი მეტოქის კარს ასცდა. საპასუხო შეტევაში კი, ცოტაც და, გოლს ვნახავდით, თან, როგორს - ირაკლი კლიმიაშვილმა მახვილი კუთხიდან, ტერფის გარე ნაწილით ეფექტურად დაარტყა, მაგრამ „დინამო" აშკარა ხიფათს **გიორგი ლორიამ** გადაარჩინა, ვინც ბურთი კუთხურზე მოიგერია. აი, ამის შემდეგ უკვე ნელ-ნელა გამოიკვეთა „ვიტ ჯორჯიას" უპირატესობა: ამასთან, „ვეტერინარებმა" მოედნის ნახევარზევე მიმართეს მჭიდრო პრესინგს. რაც მთავარია, სწორედ მატჩის დასაწყისშივე გამოჩნდა, რომ „ვიტ ჯორჯიას" ფეხბურთელები მეტოქესთან შედარებით ბევრად უფრო მონდომებულნი იყვნენ!..

...გიორგი ბერიაშვილმა და ლაშა ჯაფარიძემ საშუალო მანძილიდან სცადეს ანგარიშის გახსნა, რასაც „დინამომ" **გიორგი კახელიშვილის** ფლანგური პასით და **შოთა კაშიას** თავურით უპასუხა, მაგრამ **გრიგოლ ბედიაშვილს** ბურთის აღება არ გასჭირვებია. ეს ეპიზოდი, თითქოს, კონტექსტიდან ამოვარდნილივით იყო: „ვეტერინარების" უპირატესობა უფრო და უფრო თვალსაჩინო ხდებოდა ერთ ეპიზოდში ჯაბა ლიპარტიას მოხდენილ პასს გიორგი ბერიაშვილმა ვერ მიუსწრო, თორემ „დინამოს" დიდი ხიფათი არ ასცდებოდა. „ვიტ ჯორჯია" კვლავაც მარჯვედ აკონტროლებდა თამაშის რიტმს და ამასობაში მეტოქის ერთი „მწარე ჩხვლეტაც" გაეპარა: ვანაძე-ედნილსონი-შოთა კაშიას კომბინაციას კვლავაც ბედიაშვილის საიმედო თამაში გადაეღობა. თუმცა, პირველ ტაიმში გოლი მაინც ვიხილეთ; თან, გოლსაც ხომ გააჩნია: მოულოდნელმა ჯაბა ლიპარტიამ ამჯერად მარჯვენა ფლანგიდან შეუტია, მერე ახალგაზრდა გიორგი ვასაძესთან ეფექტური „კედელი" გაითამაშა და ბურთი მეტოქის საჯარიმოში ჩააწოდა. აი, იქ კი ყველას გიორგი დათუნაიშვილმა დაასწრო - მაისში გოლების იმტაზე მოსულმა ენერგიულმა „ჩამშლელმა" „დინამოს" მცველებს დაასწრო და მოხდენილი თავური დარტყმით გიორგი ლორია უშანსოდ დატოვა! ამ გოლიდან ორიოდე წუთი იყო გასული, „დინამოს" ანგარიშის გათანაბრების ჩინებული შანსი რომ მიეცა: შოთა კაშიამ სიღრმიდან ჩინებული პასი მიიღო, მერე მეტოქის მცველი ეფექტური ფინტით ჩამოიცილა, მაგრამ მაისის თვეში კიდევ ერთ გამორჩეულ „ვეტერინარს" გრიგოლ ბედიაშვილს ვერაფრით აჯობა!

...ბევრისთვის მოულოდნელად, მეორე ტაიმიც „ვიტ ჯორჯიას" აქტიურობით დაიწყო: ჯერ ირაკლი კლიმიაშვილი ცდილობდა მახვილი კუთხიდან გოლის გატანას, მერე კი შეხვედრის ერთ-ერთი სადავო ეპიზოდიც მოხდა; ყოველ შემთხვევაში, ტრიბუნებიდან ძნელი სათქმელია, „დინამოს" საჯარიმოში შეჭრილი ჯაბა ლიპარტია... წააქციეს თუ თავისით წაიქცა...

ამასობაში, „დინამოს" მთავარმა მწვრთნელმა მოედანზე ორი ახალი ფეხბურთელი გამოიყვანა და, წინდაწინვე უნდა ითქვას, რომ ორივე გარემარბმა - **დონალდ ჯუისმაც** და **რობერტინიომაც** თამაში საკმაოდ გაამწვავა. განსაკუთრებით ეს ახალგაზრდა ბრაზილიელს ეხება - რობერტინიომ, სულ მცირე, სამჯერ მოახერხა და მარჯვენა ფლანგზე ეფექტური ფინტების შემდეგ მდგომარეობა გაამწვავა; თუმცა, „დინამოს" ქომაგთა სამწუხაროდ, რობერტინიოს გადაცემები სიზუსტით ვერ გამოირჩეოდა. ეგაც რომ არ იყოს, გრიგოლ ბედიაშვილი საკმაოდ უშეცდომოდ და თავდაჯერებულად თამაშობდა. კახა კაჭარავამ მესამეც ცვლილებაც გამოიყენა: ტრავმირებული **ალექსანდრ კრსტესკის** ნაცვლად მოედანზე გიორგი თექთურმანიძე შემოიყვანა, თუმცა თამაშის საერთო სურათი დიდად არ შეცვლილა. აქვე, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ სანახაობრივი თვალსაზრისით, მეორე ტაიმი პირველს ბევრად ჩამოუვარდებოდა. ერთი მხრივ, ტემპის დაგდება „ვიტ ჯორჯიას" აწყობდა და გელა გომელაურის გუნდსაც აუღელვებლად მიჰყავდათ საქმე თავიანთ პირველ სათასო ტრიუმფამდე. და აი, ძირითადი დროის დასრულებამდე ორი წუთით ადრე „დინამომ" ჩინებული მომენტი ვერ გამოიყენა: ალექსანდრე კოშკაძემ „სტანდარტულიდან" ბურთი მეტოქის საჯარიმოში ჩაჰკიდა, მაგრამ ვერც **გულვერდ თომაშვილი** და ვერც მათე ვანაძე ამ ბურთს ვერ მისწვდნენ...

ამას მოჰყვა „ვიტ ჯორჯიას" ტაქტიკური ცვლილებებიც, ცოტ-ცოტა, ასევე ტაქტიკური „ეშმაკობებიც" ვნახეთ - ძვირფასი წამების მოგების მიზნით, მერე, არბიტრის - **ლაშა სილაგავას** მიერ ძირითად დროს დამატებული ოთხი წუთიც გავიდა და „ვიტ ჯორჯია" საქართველოს თასის მფლობელი გახდა! სრულიად დამსახურებულად...

**გია ტუხაშვილი**

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

პრესკონფერენცია

# მარტივი ჭეშმარიტების ფაქტორი

## ანუ იგებს ის, ვისაც მეტოქეზე ერთით მეტი გააქვს

**მედიასთან** მატჩის შემდგომი ტრადიციული კითხვა-პასუხისთვის ორივე გუნდის მწვრთნელი გამოცხადდა. კახა კაჭარავამ წაგების მიზეზი ზუსტად ვერ ახსნა, მისმა ვიზავიმ გელა გომელაურმა კი გამარჯვების წინაპირობად მისი შეგირდების მაღალი მობილიზაცია და მოტივაცია მიიჩნია...

**- რამდენად ელოდით, რომ „დინამოს“ დაამარცხებდით, თანაც თამაშით და დამატებითი დროის გარეშე?**

გელა გომელაური: - მიყვარს თავმდაბალი ადამიანები და მეც ასეთი ვარ. ნამდვილად არ გავკადნიერდები და ვერ ვიტყვი, რომ გამარჯვებაში 100 პროცენტით ვიყავი დარწმუნებული. „ვიტ ჯორჯია“ პირველად გავიდა თასის ფინალში და ყველაფერი გავაკეთეთ საიმისოდ, რათა ეს ჯილდო მოგვეპოვებინა. ვინც თამაში ნახა, ალბათ ყველა დამეთანხმება, რომ გამარჯვებისთვის ყველაფერი გავაკეთეთ და შრომა დაგვიფასდა კიდეც.

**- ამჯერად, თასის მომგებისთვის საპრიზო ფონდი გათვალისწინებული არ იყო და მოტივაციაზე ამან არ იმოქმედა?**

გ. გ. - ყველაფერი, რაც თასის ფინალს ეხება, ყოველთვის მსჯელობის საგანი ხდება. თუმცა ისე ნამდვილად არ ყოფილა, რომ საპრიზო ფონდის არარსებობას ჩვენს მოტივაციაზე ემოქმედა. მოტივაცია და მობილიზება ისედაც არ აკლდათ ბიჭებს. სუპერთასი და ჩემპიონობა აქამდეც ჰქონდა „ვიტ ჯორჯიას“ მოპოვებული, თასი კი - არასდროს. ახლა ამ ტიტულსაც გავუსინჯეთ გემო.

**- „დინამოს“ ასეთ თამაშს რით ახსნით?**

კახა კაჭარავა: - მართალი გითხრათ, პირველ ტაიმში ჩემი გუნდი ვერ ვიცანი, ფეხბურთელები ბრძოლას ერიდებოდნენ... ფეხბურთში ზოგჯერ ასეც ხდება ხოლმე - როცა ძალიან მონდომებული ხარ და ძალიან გინდა, კარგად წარმოჩნდე, ეს სწორედ მაშინ არ გამოგდის. მეორე ტაიმში საერთოდ განსხვავებული თამაში ვაჩვენეთ... დასანანია, რომ დავმარცხდით, მაგრამ... რას ვიზამთ, ეს ფეხბურთია. ვინც მეტოქეზე ერთით მეტს გაიტანს, თამაშსაც ის იგებს, სამწუხაროდ, დღეს ჩვენი დღე არ იყო.

**- შესვენებაზე რის შეცვლას შეეცადეთ და რამდენად შეძელით ჩანაფიქრის განხორციელება?**

კ. კ.: - პირველი ტაიმის შემდეგ, ლოგიკურად, შემტევი პოტენციალი გავაძლიერე. „ვიტ ჯორჯიამაც“ სწორად ითამაშა, კონტრშეტევასა და საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე გააკეთა აქცენტი. ჩვენი მიზანი იყო, გოლი გაგვეტანა და თამაში შემოგვებრუნებინა, მაგრამ ეს ვერ მოვახერხეთ. ჯუისმა და რობერტინიომ თამაში კი გაამწვავეს, საგოლე მომენტებიც გვქონდა, მაგრამ გოლი ვერ გავიტანეთ. მეტოქემ კი თავისი მომენტი გამოიყენა და მოიგო. „ვიტ ჯორჯიამ“ ყველაფერი გააკეთა თასის მოსაპოვებლად და ვულოცავ მეტოქეს ამ გამარჯვებას.

**- სანახაობრივად თამაში მდიდარი ნამდვილად არ ყოფილა...**

კ. კ.: - საერთოდ, ამგვარი ტიპის თამაშებში გუნდები ფრთხილობენ და ფინალებს ამიტომაც აკლიათ ხოლმე ხარისხი და სანახაობა. წარმოიდგინეთ, ტურნირის გამარჯვებულის ბედს ერთი მატჩი წყვეტს და გამოდის, რომ შეცდომის გამოსწორებისთვის დროც აღარ გრჩება, და თითოეული ეს შეცდომა ძვირად გიჯდება. ერთი შეცდომა დავუშვით და გოლიც მივიღეთ. სანახაობრივად მეორე ტაიმი უფრო კარგი იყო...

**- „დინამოს“ აშკარად დაეტყო ჯორჯ აკირემის არყოფნა...**

კ. კ.: - კი, ნამდვილად დაეტყო. ძირითადი შემადგენლობის შეცვლას არ ვაპირებდი, რადგან გუნდი კარგად იყო შეთამაშებული, მაგრამ დილის ვარჯიშზე აკირემი უკანა მიმზიდველი კუნთის ტკივილმა შეაწუხა და იძულებული გავხდით, სასტარტო შემადგენლობის ნაცვლად სათადარიგოთა სკამზე დაგვესვა.

**- მსაჯობას როგორ შეაფასებდით?**

კ. კ.: - მსაჯობაზე საუბარი დავამთავრეთ. ადრეც არაერთხელ ვთქვი და კიდევ ერთხელ გავიმეორებ - შენ თუ ვერ გაიტან გოლს, მსაჯის რა ბრალია?!

გ. გ.: - ამ სეზონში აშკარად გამოჩნდა, რომ მსაჯობის დონე საკმაოდ ამაღლდა. წინა ჩემპიონატებთან შედარებით, ისეთი სხვაობაა, როგორც ცა და დედამიწა. ჩემპიონატსა და თასის გათამაშებაში მონაწილე ყველა გუნდს დიდ მადლობას ვუხდი, რადგან ყველა სუფთად თამაშობს და გარიგებას ადგილი არ აქვს. მერწმუნეთ, მართლა უსუფთავესი მატჩები იყო და სწორედ ეს არის „ფეარ პლეის“ პრინციპების დაცვა. ჩვენმა მსაჯებმა მართლაც მაღალ დონეზე ჩაატარეს ჩემპიონატიც და თასის გათამაშებაც...

**დავით ცაბაძე**

მატჩის შემდეგ

*დათუნაიშვილი:*

# სხვა გზა არ მქონდა, უნდა გამეტანა

**გია ბედიაშვილი:** *„პირველ ტაიმში უკეთ ვითამაშეთ და ვინც ფინალური მატჩი ნახა, ალბათ ყველა დამეთანხმება, რომ მეტოქე დავჯაბნეთ და კიდევ შეგვეძლო გოლის გატანა. მეორე ნახევარში უფრო დაცვაზე გავამახვილეთ ყურადღება, „დინამოს“ რეალური საგოლე მომენტი არ ჰქონია და ჩვენ დამსახურებულად გავიმარჯვეთ“.*

**ალექსანდრე კვახაძე:** *„ფინალური მატჩი სანახაობრივად მდიდარი არ იყო, მაგრამ დაძაბული კი გამოვიდა. დამსახურებულად გავიმარჯვეთ და ვფიქრობ, ამით უფრო მეტად ფასობს ჩვენი გამარჯვება. ამ მოგებას „ვიტ ჯორჯიის“ ყველა გულშემატკივარს ვუძღვნი და მადლობას ვუხდი მხარდამჭერისთვის“.*

**გიორგი დათუნაიშვილი:** *„ძალიან გახარებული ვარ და ჩვენს ყველა გულშემატკივარს ვულოცავ ამ გამარჯვებას. ვფიქრობ, მაქსიმალური მობილიზების ხარჯზე მოვიგეთ. უფრო გუნდურად, ორგანიზებულად, მწვავედ ვუტევდით და თან მეტოქეზე ნაკლები შეცდომა დავუშვით... რაც შეეხება ჩემ მიერ გატანილი გოლის ეპიზოდს. ლიპარტიამ ფრთაზე კარგად ითამაშა, დამინახა და გამოზომილად ჩამოაწოდა. ჯაბამ ყველაფერი ისე კარგად გააკეთა, სხვა გზა არ მქონდა, გოლი უნდა გამეტანა. მადლობა ღმერთს, რომ ჩემი გოლი ერთადერთი და გამარჯვების მომტანი აღმოჩნდა“.*

**ირაკლი კლიმიაშვილი:** *„ჩემთვის და ჩვენი გუნდისთვის დიდი პატივია ისეთი ლეგენდარული ფეხბურთელის სახელობის თასის ფინალში თამაში, როგორიც დავით ყიფიანი იყო... ორი განსხვავებული ტაიმი ვითამაშეთ, შედეგზე ვიყავით ორიენტირებული და ჩვენი შრომა დაფასდა კიდეც. ერთი გოლი შევაგდეთ და ერთი-ორჯერაც შეგვეძლო ბურთის გატანა. შესვენების შემდეგ დაცვაზე გავაკეთეთ აქცენტი და ბოლომდე შევინარჩუნეთ ანგარიში... პირველად გავედით ფინალში და ორმაგად ბედნიერი ვარ, რომ თასი პირველივე ცდაზე მოვიპოვეთ“.*

**დავით ცაბაძე**



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ტრანსფერები



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

*გრიგოლ ბედიაშვილი:*

# დიახ, თითქმის გადაწყვეტილია...

## ვიტჯორჯიელები ოლიმპში მიდიან

**საქართველოს** თასის ახალი მფლობელი „ვიტ ჯორჯია“, შესაძლოა, მალე რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელის გარეშე დარჩეს. ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ საინტერესო ვარიანტები აქვს გუნდის კაპიტან ლექსო კვახაძეს. ამას გარდა, უკვე ცნობილია, რომ „ვიტ ჯორჯიას“ დატოვებს მეკარე გრიგოლ ბედიაშვილი, რომელმაც ეს ინფორმაცია დაგვიდასტურა კიდეც...

მეორე ვიტჯორჯიელი, რომლის გადაბირებაც საქართველოს ჩემპიონს სურს, მარცხენა მცველი ლაშა ჯაფარიძეა. ბოლო ორი წლის განმავლობაში ის გუნდის ერთ-ერთ ლიდერად და საკვანძო ფეხბურთელად იქცა. მას საიმედო, მებრძოლი და სტაბილური მცველის სახელი აქვს. აქედან გამომდინარე, სრულიად გასაგებია, რომ ამ ფეხბურთელით საქართველოს ჩემპიონი დაინტერესდა. ბედიაშვილსა და ჯაფარიძეს ფინალის შემდეგ გავესაუბრეთ...

**- თასის მოპოვებას გილოცავთ! უკვე ყველა მნიშვნელოვანი ქართული ტიტული მოიპოვეთ...**

- დიახ, ასეა. ეს ჩემი მეოთხე ტიტულია. ორჯერ გავხდი ჩემპიონი, ერთხელ თასის მფლობელი და ეროვნული თასილა მქონდა ასაწევი... ახლა ესეც მეღირსა და ეს დიდი ბედნიერებაა.

**- ეს თასი „ვიტ ჯორჯიაში“ მოპოვებული ბოლო ტიტული ხომ არ არის?**

- ბოლო ტიტული? სიმართლე გითხრათ, არც ვიცი... შესაძლოა, ასეც იყოს.

**- როგორც შევიტყვეთ, რუსთავის „ოლიმპში“ თქვენი გადასვლა, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია...**

- დამალვას აზრი აღარ აქვს, არის ლაპარაკი და ვნახოთ, საბოლოოდ მოლაპარაკება როგორ დასრულდება. სურვილი ნამდვილად არის...

**- მხოლოდ „ოლიმპის“ სურვილია თუ თქვენიც?**

- ორმხრივი სურვილია. ვფიქრობ, რაც შემეძლო, ყველაფერი გავაკეთე „ვიტ ჯორჯიასთვის“ და კლუბს ვალმოხდილი დავტოვებ.

**- კონტრაქტის ვადა ამოიწურა?**

- დიახ, ამოიწურა, უკვე თავისუფალი ვარ.

**- საერთოდ, ვიტჯორჯიელებისთვის კლუბი ოჯახივითაა და განშორება ყველას უჭირს ხოლმე...**

- აბსოლუტურად გეთანხმებით და გამონაკლისი არც მე ვარ. „ვიტ ჯორჯიამ“ ძალიან დიდი სიხარული მომანიჭა, ბევრი რამ შემძინა. გუნდის წარმატებისთვის მეც არაფერი დამიკლია. აქ უამრავი უახლოესი მეგობარი მყავს და, რა თქმა უნდა, განშორება ასე ადვილი არ არის. წასვლის მიუხედავად, ყოველთვის „ვიტ ჯორჯიას“ გულშემატკივარი ვიქნები და ბიჭებს წარმატებებს ვუსურვებ.

**- „ოლიმპში“ გადასვლის მოტივი რა არის - უკეთესი პირობები თუ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე მშობლიური ქალაქის გუნდში თამაში?**

- სამივე ერთად იყო. ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე გამოსვლა ყველა ფეხბურთელის კარიერაში მნიშვნელოვანი მოვლენაა. რა თქმა უნდა, პირობებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს და თავისთავად ცხადია, რომ მშობლიური ქალაქის გუნდში თამაში მსურს. რუსთავში ბევრი ძლიერი ფეხბურთელია გაზრდილი, მაგრამ წლების განმავლობაში ნორმალური გუნდის ჩამოყალიბება ვერ ხერხდებოდა. საბედნიეროდ, ბოლო წლებში ვითარება შეიცვალა, „ოლიმპი“ გაძლიერდა, ორჯერ საქართველოს ჩემპიონობა მოიპოვა... ჩემი ქალაქის წარმატება ძალიან მახარებს. ახლა მინდა, მის მომავალ წარმატებებში ჩემი წვლილიც შევიტანო.

**- მოკლედ, „ოლიმპი“ გადაწყვეტილია...**

- დიახ, თითქმის გადაწყვეტილია.

*ლაშა ჯაფარიძე:*

# ...მაგრამ მაინც უნდა დავფიქრდე

**- ლაშა, როგორც შევიტყვეთ, „ვიტ ჯორჯიას“ მაისურით ეს შეხვედრა თქვენთვისაც ბოლო შეიძლება იყოს...**

- დიახ, მე მგონი ბოლო იყო და ამიტომ მიხარია, „ვიტ ჯორჯიაში“ თამაშს ასეთ მაჟორულ ნოტზე ვამთავრებ. ეროვნული თასი ერთადერთი ტიტული იყო, რომელიც არ გვქონდა მოპოვებული. თან ფინალში „დინამოსთან“ მოგება ძალიან სასიხარულოა...

**- გავიგეთ, რომ ბედიაშვილთან ერთად რუსთავის „ოლიმპში“ გადადიხართ...**

- ჯერ ასეც ვერ ვიტყვი... თუმცა მოლაპარაკება დაწყებულია და დეტალები დასაზუსტებელი.

**- რუსთაველებს საბოლოო პასუხს როდის ეტყვით?**

- უახლოეს დღეებში და ამას თქვენც გაიგებთ.

**- თავს რატომ იკავებთ, სხვა წინადადებებიც გაქვთ?**

- დიახ, არის საინტერესო მიწვევები და სანამ ასეთ მნიშვნელოვან ნაბიჯს გადავდგამ, კარგად დაფიქრება აჯობებს.

**მერაბ მამულაშვილი**

## ქართული ფეხბურთი

**ფიფას რეიტინგი**

მაისი

# ისევ უკან...

გუშინ ფიფამ მაისის თვის რეიტინგი გამოაქვეყნა. მასში ერთი საფეხურით ვართ დაქვეითებული. ბუნებრივია, ფიფას ამ რეიტინგში მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის მონაწილე კამერუნის ნაკრებთან გუშინწინ გამართული მატჩი (0:0) გათვალისწინებული არ არის, თორემ ეს ფრე რეიტინგში არ დაგვაქვეითებდა. მოკლედ, ახლა 120-ე პოზიციაზე ვართ. ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ჯგუფის მეტოქეებიდან, ერთის გარდა, ყველას მოუწია პოზიციების დათმობამ. ჩვენი არ იყოს, თითო საფეხურით დაქვეითდნენ ფავორიტები - ხორვატია და საბერძნეთი, რომლებიც ამჟამად, შესაბამისად, მე-9 და მე-10 ადგილებზე არიან. ორი საფეხურით დაიხია უკან ისრაელმა, სამით - მალტამ.

მეტოქეებიდან ერთადერთი ლატვიაა, რომელსაც პოზიცია არ შეუცვლია და კვლავ 46-ე ადგილზეა. ასევე უძრავადაა გუშინწინდელი მეტოქე კამერუნი (მე-19). ჩვენი მომდევნო მეტოქე - მოლდოვის ნაკრები, რომელსაც აგვისტოში ამხანაგურად ვეთამაშებით, 5 საფეხურით დაქვეითდა და ახლა 89-ე ადგილზეა. მოწინავე ათეულის და ჩვენი მეტოქეების განლაგება ასეთია:

| გუნდი | ქულა |
|---|---|
| 1. (0) ბრაზილია | 1611 |
| 2. (0) ესპანეთი | 1565 |
| 3. (0) პორტუგალია | 1249 |
| 4. (0) ჰოლანდია | 1231 |
| 5. (0) იტალია | 1184 |
| 6. (0) გერმანია | 1082 |
| 7. (0) არგენტინა | 1076 |
| 8. (0) ინგლისი | 1068 |
| 9. (+1) საფრანგეთი | 1044 |
| 10. (-1) ხორვატია | 1041 |
| 13. (-1) საბერძნეთი | 964 |
| 26. (-2) ისრაელი | 857 |
| 46. (0) ლატვია | 652 |
| 89. (-5) მოლდოვა | 378 |
| 120. (-1) საქართველო | 217 |
| 157. (-3) მალტა | 100 |

ახლა ვნახოთ, რომელ პოზიციაზე ვართ პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის.

| გუნდი | ქულა |
|---|---|
| 11. (0) რუსეთი | 1015 |
| 23. (+2) უკრაინა | 875 |
| 46. (0) ლატვია | 652 |
| 49. (-1) ლიტვა | 608 |
| 82. (-1) ბელარუსი | 397 |
| 89. (-5) მოლდოვა | 378 |
| 94. (0) უზბეკეთი | 354 |
| 99. (+5) ესტონეთი | 320 |
| 100. (-1) სომხეთი | 311 |
| 109. (+1) აზერბაიჯანი | 259 |
| 120. (-1) საქართველო | 217 |
| 129. (0) ყაზახეთი | 183 |
| 135. (0) ტაჯიკეთი | 155 |
| 139. (-2) თურქმენეთი | 151 |
| 168. (-7) ყირგიზეთი | 74 |

როგორც ხედავთ, ყოფილი საბჭოთა კავშირის ყოფილ 15 რესპუბლიკას შორის საქართველო მე-11 ადგილზეა. ამავე პოზიციაზე ვიყავით აპრილის რეიტინგშიც. ბოლოს კი დავძენთ, რომ ფიფა მორიგ რეიტინგს არა ივნისში, არამედ 14 ივლისს, მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულების შემდეგ გამოაქვეყნებს.

**დავით ცაბაძე**

**U 21** — საქართველო-შვეიცარია



გიორგი ჭედია

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო (www.sport.gov.ge)

# გაბელიას რაზმს ჭედია გამოაკლდა

ევროპის 2011 წლის ჩემპიონატის მეორე შესარჩევ ჯგუფში გუშინ შვეიცარიის ახალგაზრდულმა ნაკრებმა საქართველოში ჩამოსვლის წინ სენტ-გალენში თურქებს უმასპინძლა და მოულოდნელად 0:2 წააგო. შვეიცარიელები თბილისს დღეს საღამოს ეწვევიან და სასტუმრო „რედისონში" დაბინავდებიან. ცნობილია მათი მთავარი მწვრთნელის **პიერლუიჯი ტამის** მიერ შერჩეული 21 ფეხბურთელის ვინაობაც:

მეკარეები - **იან სომერი** (გრასჰოპერსი), **კევინ ფიკენტშერი, ოლივერ კლაუსი** (ორივე ბაზელი);

მცველები - **დანიელ პავლოვიჩი** (კაიზერსლაუტერნი, გერმანია), **გაეტანო ბერარდი** (ბრეშა, იტალია), **როლფ ფელტშერი** (გრასჰოპერსი), **პასკალ შურპფი** (ბაზელი), **ფრანსუა აფოლტერი** (იანგ ბოიზი), **ფილიპ კოხი** (ციურიხი), **გენსერიქს კუსუნგა** (სერვეტი), **ჯონათან როსინი** (სასუოლო, იტალია);

ნახევარმცველები - **ქსავიე ხოშტრასერი, კრისტიან შნეული** (ორივე იანგ ბოიზი), **ვალენტინ შტოკერი** (ბაზელი), **ფაბიან ლუშტენბერგერი** (ჰერტა, გერმანია), **ადრიან ნიკჩი** (ციურიხი);

თავდამსხმელები - **მარიო გავრანოვიჩი** (შალკე, გერმანია), **ნასიმ ბენ ხალიფა** (გრასჰოპერსი), **მორენო კოსტენცო, ფაბიან ფრეი** (ორივე სენტ-გალენი), **ალესანდრო კიაროკი** (ბელინცონა).

ალსანიშნავია, რომ პირველი მატჩის შემდეგ შვეიცარიელთა შემადგენლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებებია. ჩვენდა საბედნიეროდ, პიერლუიჯი ტამმა თბილისში ვერ წამოიყვანა **ერენ დერდიოკი**, რადგან „ლევერკუზენის" თავდამსხმელი შვეიცარიის ეროვნულ ნაკრებთან ერთად მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ემზადება.

თუმცა ეს სულაც არ ამშვიდებს ქართველთა თავკაც **ოთარ გაბელიას**, რომელიც მიიჩნევს, რომ სტუმრებს ისედაც ბევრი მაღალი კლასის ფეხბურთელი ჰყავთ.

*„დერდიოკი დიდი ძალაა, მაგრამ კიდევ ბევრი მაღალი კლასის მოთამაშე ჰყავთ, რომელთაც პრობლემების შექმნა შეუძლიათ. მაგალითად, ვალენტინ შტოკერი, რომელიც ევროპული ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავად მიიჩნევა. თუმცა მათი ძლიერება არ ნიშნავს, რომ ყურებს ჩამოვყრით, ჩვენ ყველასთან და ყოველთვის ვიბრძოლებთ"*, - გვითხრა გაბელიამ.

სამწუხაროდ, ვერ ხერხდება ქართული მხარისთვის გუშინდელი მატჩის (შვეიცარია-თურქეთი) ჩანაწერის მიწოდება. ამდენად, გაბელიას შვეიცარიელთა ბოლო ტაქტიკურ თუ სხვა სახის ცვლილებებზე მწირი ინფორმაცია ექნება.

გაბელიას ასისტენტ **გელა ინალიშვილის** ინფორმაციით, გუშინდელი ფინალის შემდეგ ნაკრებს **ლევან კაკუბავა, გიორგი თექთურმანიძე, მათე ვაწაძე** (ყველა დინამო) და **ირაკლი კლიმიაშვილი** (ვიტ ჯორჯია) შეუერთდნენ.

სამწუხაროდ, გუნდს გამოაკლდა რუსთავის „ოლიმპის" შემტევი ნახევარმცველი **გიორგი ჭედია**, რომელმაც ბოლო დროს ძალიან მოუმატა და კლუბისთვისაც დიდ ძალად იქცა და ნაკრებისთვისაც სასურველი ფიგურა იყო. ინალიშვილის თქმით, ჭედიას ფრონტიტი დაუდგინეს და ამის გამო, ექიმმა სამი დღის განმავლობაში ვარჯიში აუკრძალა. ჭედიას სასწრაფოდ მკურნალობა ესაჭიროება. დღეს დილით ელოდებიან კამერუნთან ეროვნულ ნაკრებში ნათამაშები **ჯანო ანანიძის, რევაზ ბარაბაძისა** და **როინ კვასხვაძის** ჩამოსვლას.

მოდი, შეგახსენებთ საქართველოს 21-წლამდელთა შემადგენლობას:

მეკარე - **როინ კვასხვაძე** (ზესტაფონი), **გიორგი ბახტაძე** (დიორი ეტო, უნგრეთი);

მცველები - **გიორგი ხიდეშელი, ალექსანდრე ბენაშვილი** (ორივე ზესტაფონი), **ლევან კაკუბავა** (დინამო), **ბაქარ მირცხულავა** (ბენფიკა, პორტუგალია), **ნიკა კვეკვესკირი** (ბაია), **ნიკა ხუხია** (ბათუმი), **ლაშა თოთაძე** (დიორი ეტო);

ნახევარმცველები - **ჯანო ანანიძე** (სპარტაკი მოსკოვი, რუსეთი), **ნიკა ძალამიძე** (ცსკა, რუსეთი), **თორნიკე ოქრიაშვილი** (გაგრა), **გიორგი თექთურმანიძე** (დინამო), **გიორგი განუგრავა** (დიორი ეტო), **ბუბა დაუშვილი** (ზესტაფონი), **ზაქარია ბეგლარიშვილი** (ფლორა, ესტონეთი), **თეიმურაზ შონია** (სპარტაკი ცხინვალი), **ირაკლი კლიმიაშვილი** (ვიტ ჯორჯია);

თავდამსხმელები - **გიორგი ივანიშვილი** (ვოლენი, შვეიცარია), **ბექა გოცირიძე** (დნიპრო, უკრაინა), **მათე ვაწაძე** (დინამო), **რეზო ბარაბაძე** (ანჟი).

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები საგურამოში ივარჯიშებს, ხოლო თამაშის წინა დღეს, 19:30 საათზე, წვრთნას ეროვნულ სტადიონზე გამართავს. თავად მატჩი კი ეროვნულ სტადიონზე 19:00 საათზე დაიწყება.

**გუშინ**

**შვეიცარია-თურქეთი 0:2**

**გოლები:** 0:1 აფოლტერი (66-საკ. კარში), 0:2 ჩექი (89)

**გაძევება:** გავრანოვიჩი (83. შვეიცარია)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შვეიცარია | 8 | 5 | 1 | 2 | 14-8 | 16 |
| 2. თურქეთი | 8 | 4 | 1 | 3 | 12-10 | 13 |
| 3. ესტონეთი | 9 | 3 | 3 | 3 | 9-11 | 12 |
| 4. სომხეთი | 8 | 3 | 1 | 4 | 14-16 | 10 |
| 5. საქართველო | 6 | 2 | 2 | 2 | 8-5 | 8 |
| 6. ირლანდია | 7 | 0 | 4 | 3 | 6-13 | 4 |

**მერაბ მამულაშვილი**

**ლეგიონერები**

# რას აპირებს ბოლქვაძე?

**დავით ბოლქვაძეს ზაქათალის „სიმურგთან" კონტრაქტი დაუმთავრდა და სავარაუდოდ, გუნდს დატოვებს. დათო აზერბაიჯანულ კლუბში 3 წლის წინ ჩაირიცხა, კლუბთან ერთად ქვეყნის ჩემპიონატში III ადგილიც მოიპოვა. თუმცა არაა გამორიცხული, ახალი სეზონიდან ბოლქვაძემ „სიმურგში" აღარ ითამაშოს და კარიერა ახალ კლუბში გააგრძელოს, თუმცა ჯერჯერობით გაურკვევლობაშია...**

**- დავით, სეზონი დასრულდა და „სიმურგთან" კონტრაქტიც დაგიმთავრდათ...**

- დიახ, უკვე დამიმთავრდა და გუნდიდან თავისუფალი აგენტის სტატუსით წამოვედი.

**- ანუ თქვენთვის „სიმურგის" პერიოდი დამთავრდა?**

- ჯერ ასეც ვერ ვიტყვი. კიდევ ბევრი რამ მაქვს გასარკვევი.

**- ახალი კონტრაქტი არ შემოუთავაზებიათ?**

- არ შემოუთავაზებიათ, მაგრამ არა იმიტომ, რომ ჩემი გაშვება უნდათ. უბრალოდ, ჯერ თავად არ იციან, ახალი სეზონიდან რა გუნდი იქნება „სიმურგი", როგორი ბიუჯეტი ექნება, შეძლებენ თუ არა ლეგიონერების ჩამოყვანას და ა.შ.

**- საუკეთესო ექვსეულში რომ ვერ მოხვდა, გუნდზე ამან ძალიან ცუდად იმოქმედა?**

- რა თქმა უნდა, შარშანდელი მესამე ადგილის შემდეგ, ეს ჩავარდნად ჩათვალეს. არადა, ყველაფერი ხდება, მით უფრო, რომ „სიმურგი" აზერბაიჯანის მასშტაბის გრანდიც არაა და მუდამ ლიდერებში ვერ იქნებოდა. ასეა თუ ისე, მერე შუა სეზონში გუნდი აირია და მეორე წრეში პირველის მსგავსი ფეხბურთი ველარ ვაჩვენეთ, არადა, ექვსეულამდე სულ რაღაც ერთი ქულა დაგვაკლდა. იყო პერიოდი, ჩემპიონატსაც ვლიდერობდით და ასეთ ჩავარდნას არ ველოდით. სამწუხაროდ, ასეც ხდება.

**- ჩავარდნის შემდეგ გუნდში „განტევების ვაცს" ეძებენ და ამის გამო, ქართველებისადმი დამოკიდებულება ხომ არ შეიცვალა?**

- არ შეცვლილა. მისვლის დღიდან, აზერბაიჯანელებისგან დიდ სიყვარულს ვგრძნობდით და არც წარუმატებლობის გამო შეუქცევიათ ჩვენთვის ზურგი. პირიქით, მაგრად ვუყვარვართ და ამას ყოველთვის ვგრძნობდით.

**- მთავარი მწვრთნელი რომან პოკორა გუნდიდან მართლა გაუშვეს?**

- დღეს გუნდის ერთ-ერთ ხელმძღვანელს ველაპარაკე და როგორც მითხრა, გაუშვეს.

**მერაბ მამულაშვილი**

**მოსალოდნელი ტრანსფერი**

# მუჯირი ბერლინიდან პასუხს ელის

წინა კვირას გაცნობეთ, რომ მოსკოვის "ლოკომოტივიდან" გაშვებული **დავით მუჯირი** მოულოდნელად ბერლინის „ჰერტაში" აღმოჩნდა და საკონტროლო მატჩში გოლებიც გაიტანა. მას მერე რამდენიმე დღე გავიდა. ნახევარმცველი 25 მაისს სამშობლოში დაბრუნდა და გუშინ თასის ფინალურ მატჩსაც დაესწრო.

შეგახსენებთ, რომ ბერლინში მუჯირმა მოყვარულთა გუნდის ძლევაში (12:2) დაიდო თავისი წილი. ამ შეხვედრაში პირველი ორი გოლი სწორედ „მუმუმ" გაიტანა. შემდეგ მან კიდევ ერთ საკონტროლო შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა. ამჯერად, „ჰერტამ" ერთი ქვედალიგოსანი დაამარცხა - 4:0. თუ წინა შეხვედრაში მუჯირი თავდამსხმელთა უკან იყო გამწესებული, მეორე საკონტროლო მატჩში ის თავდამსხმელად დააყენეს. ამჯერად, ჩვენებურს გოლი არ გაუტანია, თუმცა მთლად ხელცარიელიც არ გასულა მოედნიდან - მეოთხე გოლის თანაავტორობა ითავა.

ახლა რაც შეეხება მუჯირის სატრანსფერო პერსპექტივას. თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ მისი ბერლინში ჩასვლა ცუდ პერიოდს დაემთხვა. კერძოდ, „ჰერტას" აწ უკვე ყოფილ თავკაც **ფრიდჰელმ ფუნკელს** ბერლინელთა გუნდში ბოლო სამუშაო დღე ჰქონდა და პირველ საკონტროლო მატჩში „ჰერტას" სწორედ მან უხელმძღვანელა. ახალი მთავარი მწვრთნელი **მარკუს ბაბელი** კი ივნისიდან შეუდგება მუშაობას. ბერლინში ჩასვლისთანავე, მუჯირს ესაუბრა „ჰერტას" სპორტული დირექტორი **მიხაელ პრეეტცი**, რომელმაც გაუმხილა - შენზე ყველაფერი ვიცითო. ძველი კი იციან, მაგრამ ბუნებრივია, გერმანელებს მუჯირის ამჟამინდელი მდგომარეობა აინტერესებდათ და ამიტომაც ათამაშეს ორ შეხვედრაში, თანაც ორ სხვადასხვა პოზიციაზე...

ალსანიშნავია ისიც, რომ „ჰერტას" რამდენიმე ფეხბურთელს კლუბთან ისეთივე კონტრაქტი ჰქონდა, როგორც **ლევან კობიაშვილს**. კერძოდ, გუნდის მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითების შემთხვევაში ხელშეკრულება ავტომატურად უნდა შეწყვეტილიყო. შესაბამისად, „ჰერტას" ხელმძღვანელობა ცდილობს, საჭირო ფეხბურთელები ახალი კონტრაქტების გაფორმებაზე დაითანხმოს. მათთან მოლაპარაკებები უკვე დაწყებულია. ამ პროცესის შედეგია ის, რომ ლევან კობიაშვილმა და ჩეხმა მცველმა **რომან ჰუბნიკმა** ახალი კონტრაქტები უკვე გააფორმეს. ერთი სიტყვით, „ჰერტაში" ფიქრობენ მუჯირზე და პასუხსაც, ალბათ, დროულად იტყვიან.

*„ალბათ, ბერლინური კლუბის მესვეურები მალე ჩამოყალიბდებიან იმაზე, თუ ვინ დარჩება გუნდში და ვინ - არა. უკვე იციან ჩემი შესაძლებლობები და თუ შემტევი პოტენციალის გასაძლიერებლად ახალი ფეხბურთელი დასჭირდებათ, დამიკავშირდებიან. ერთი სიტყვით, ივნისის ბოლომდე ბერლინიდან პასუხს ველი. „ჰერტა" მზადებას ივლისში იწყებს და მანამდე გარკვეული უნდა იყოს, ვის დაეყრდნობიან ახალ სეზონში"*, - თქვა მუჯირმა „ლელოსთან" საუბარში.

მანვე გვითხრა ისიც, რომ „ჰერტას" გარდა, კიდევ ორი ვარიანტი აქვს, თუმცა დაკონკრეტებისგან, როგორც ასეთ დროს ფეხბურთელებს სჩვევიათ ხოლმე, თავი შეიკავა.

**დავით ცაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი — სეზონის შეჯამება. ბაია

# დიდი ბრძოლით უძლიერესთა შორის

ზუგდიდის „ბაიას" ისტორია სულ რამდენიმე წელიწადს ითვლის, გასული სეზონი კი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის, **ზვიად სიჭინავას** მიერ ჩამოყალიბებული კლუბისთვის უმაღლეს ლიგაში პირველი იყო. როგორც წესი, ასეთ დროს გუნდი უძლიერესთა შორის ადგილის დასამკვიდრებლად იბრძვის და ასე იყო „ბაიას" შემთხვევაშიც. ზუგდიდელებმა უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად ბევრი იბრძოლეს და სეზონის მიწურულს მიაღწიეს კიდეც სანადელს.

სეზონი კი „ბაიასთვის" მეტად რთული აღმოჩნდა. ეს განსაკუთრებით, პირველ ეტაპზე ითქმის, როცა გუნდის ღირსებას უმეტესად, გამოუცდელი ახალგაზრდები იცავდნენ და ამიტომაც სულაც არ იყო გასაკვირი, „ბაიამ" სეზონის პირველი ნახევარი სახიფათო ზონაში რომ დაასრულა. იმის შეხსენება კი ზედმეტია, რომ სიჭინავამ გასული წლის შემოდგომაზე ზუგდიდიდან თბილისში, სფფ-ის ოფისში გადაინაცვლა.

კლუბის ხელმძღვანელობამ ზამთრის სატრანსფერო პერიოდში აუცილებელი ღონისძიებები გაატარა, რაც უპირველესად, შემადგენლობის გაძლიერებით გამოიხატა. ნათელი იყო, რომ სხვაგვარად უმაღლეს ლიგაში დარჩენა ძალიან გაჭირდებოდა. „ბაიას" არაერთი გამოცდილი მოთამაშე შეუერთდა, მაგრამ ამით კლუბის კურსი სულაც არ შეცვლილა - ბევრმა ახალგაზრდამ გუნდში საკუთარი პოზიციები შეინარჩუნა. „ბაიაში" ვიხილეთ ჭაბუკ და მრავლისმნახველ ფეხბურთელთა კარგი სინთეზი.

„ბაიას" ზამთარში მთავარი მწვრთნელიც შეეცვალა. **ბესიკ შეროზიამ** ფოთის „კოლხეთს" მიაშურა და საკუთარი კლასი იქაც დაამტკიცა, მის შემცვლელად კი **სოსო ჭედიას** უხმეს. მან გუნდის გაძლიერებაში კი შეიტანა მოზრდილი წვლილი, მაგრამ სეზონი ახალი განახლებული იყო, „ბაია" რომ დატოვა და მთელი ენერგიის საქართველოს ეროვნული ნაკრებისთვის მოხმარება გადაწყვიტა. ახალმა მთავარმა მწვრთნელმა **ელგუჯა ქომეთიანმა** დაკისრებულ მოვალეობას თავი პირნათლად გაართვა. გუნდმა ეტაპობრივად გაიუმჯობესა სატურნირო მდგომარეობა, გასავარდნი ზონიდან ამოვიდა და ჩემპიონატის მიწურულს უკვე აშკარა გახდა, რომ პირველი ლიგის გზას არა „ბაია", არამედ მისი კონკურენტები გაუდგებოდნენ...

## გრძელი სკამი

საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში ბევრი გუნდი ნამდვილად არ გამოირჩევა დიდი კონკურენციით და ამ მხრივ „ბაია" სასიამოვნო გამონაკლისი იყო. ცნობილი ამბავია, რომ როცა გუნდს თითო პოზიციაზე მინიმუმ ორი კარგი ფეხბურთელი ჰყავს, ეს ფაქტორი ყოველთვის დადებით როლს თამაშობს. ჩემპიონატის ეტაპებს შორის „ბაიაში" არაერთი ფეხბურთელი მივიდა და ამავდროულად, კლუბის ხელმძღვანელობამ და სამწვრთნელო შტაბმა სულ რამდენიმე მოთამაშესთან შეწყვიტეს თანამშრომლობა. შედეგად ის მივიღეთ, რომ ძირითადში თამაში თითქმის არავის ჰქონდა გარანტირებული და თითოეული ფეხბურთელი, რომელსაც მწვრთნელები მოედანზე შეუშვებდნენ, თავგანწირულად ცდილობდა საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად წარმოჩენას.

ვფიქრობთ, „ბაიამ" უშუალო კონკურენტებთან, „ლოკომოტივსა" და „გაგრასთან" ბრძოლაში საბოლოო უპირატესობას მაღალი დონის ფეხბურთელთა სიმრავლის გარდა, უპირველესად, სწორედ გრძელი სათადარიგოთა სკამის წყალობითაც მიაღწია.

## მეკარეები

ჩემპიონატის პირველ ეტაპზე „ბაიას" ძირითადი მეკარე **არჩილ მაქაცარია** იყო. ზამთარში ცვლილება ამ პოზიციასაც შეეხო და სასტარტო შემადგენლობაში სისტემატურად უკვე **გიორგი სომხიშვილი** თამაშობდა, რომელმაც გუნდის უმაღლეს ლიგაში დარჩენაში თავისი წვლილი შეიტანა.



ელგუჯა ქომეთიანი

## მცველები

დაცვის ხაზში „ბაიას" განსაკუთრებული პრობლემები არც სეზონის პირველ ნახევარში ჰქონია, თუმცა ზამთარში გუნდი აქაც გაძლიერდა. **სევასტი თოდუამ, ამირან ყველაშვილმა** და **ლევან აკობიამ** დაცვას დამაჯერებლობა შესძინეს. უმეტეს შემთხვევებში, ძირითად შემადგენლობაში ხვდებოდა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრი **ნიკა კვეკვესკირიც**.

## ნახევარმცველები

ზამბიელმა **ჩისამბა ლუნგუმ** მთელი სეზონი სტაბილურად ჩაატარა. იგი ხან შემტევი ნახევარმცველი იყო, ხან ფორვარდი და ამავდროულად, მოედანზე დიდი მოცულობის სამუშაოსაც ასრულებდა. ძველებურად საიმედო იყო გუნდის კაპიტანი **როინ ონიანი**, რომელიც „ბაიას" ღირსებას მთელი სეზონის განმავლობაში იცავდა. არანაკლებ საიმედო იყო ზუგდიდელთა კიდევ ერთი გამოცდილი შუახაზელი **ლევან ვართაგავა**.

ცალკე უნდა ვთქვათ **ვალტერ გუჩუაზე**, რომელიც ზამთარში ბესიკ შეროზიას ფოთის „კოლხეთში" გაჰყვა, „ბაიაში" თამაშისას კი 34 წლის ნახევარმცველს გუნდის წარმატებისთვის თავი არ დაუზოგავს.

აქვე **ნიკა ძალამიძის** ტრანსფერიც გავიხსენოთ. ეს ახალგაზრდა ნახევარმცველი ეროვნული ჩემპიონატის პირველ ეტაპზე „ბაიას" ერთ-ერთი ლიდერი იყო, ახლა მოსკოვის ცსკა-ს დუბლშემადგენლობაში გამოირჩევა.

## თავდამსხმელები

36 მატჩში გატანილი 29 გოლი ვერაა სახარბიელო შედეგი - შესაბამისად, „ბაიას" უსუსტეს რგოლად თავდასხმა უნდა მივიჩნიოთ. თანაც, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ფორვარდებზე მეტი გოლი სხვა ამპლუის ფეხბურთელებს გაჰქონდათ. მართალია, სეზონის მსვლელობისას რამდენიმე ძლიერი მოთამაშე „ბაიამ" ამ პოზიციაზეც დაიმატა, მაგრამ ჩემპიონატის მეორე ეტაპზე განვითარებულმა მოვლენებმა დაგვანახვა, რომ ვერავინ აღმოჩნდა რუსთავის „ოლიმპში" გადასული **რევაზ ჯიქიას** სრულფასოვანი შემცვლელი.

## პერსპექტივა

მაღალი დონის ბაზა, კარგი მოსამზადებელი პირობები, ქართული საზომით მოზრდილი ბიუჯეტი, საკმაო რაოდენობის ძლიერი და პერსპექტიული ფეხბურთელი - საკმარისი წინა პირობაა იმისთვის, რომ „ბაიამ" მომავალ სეზონში გაცილებით მაღალი მიზნებისთვის იბრძოლოს. კლუბის წევრთაგან უკვე არაერთხელ გვსმენია, რომ ახალი მიზანი საპრიზო ადგილებისა და ევროტურნირების საგზურისთვის ბრძოლაა. ვნახოთ, მომავალი ბატალიებისთვის მზადებას უმაღლესლიგელები მალე შეუდგებიან და „ბაიას" საკადრო პოლიტიკით შეგვეძლება იმაზე მსჯელობა, რისი შემძლე იქნება ეს გუნდი ახალ სეზონში.

BAIA ZUGDIDI

ბაიას
ყველა მატჩი

ადგილი XXI ჩემპიონატში: **8**

| თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 36 | 7 | 11 | 18 | 29-48 | 32 |

| | | |
|---|---|---|
| **I ეტაპი** | | |
| I ტური | ბაია-ოლიმპი | 1:2 |
| II ტური | სპარტაკი-ბაია | 1:0 |
| III ტური | ბაია-ლოკომოტივი | 2:1 |
| IV ტური | სამტრედია-ბაია | 1:0 |
| V ტური | ბაია-გაგრა | 2:2 |
| VI ტური | სიონი-ბაია | 1:0 |
| VII ტური | ბაია-დინამო | 0:6 |
| VIII ტური | ვიტ ჯორჯია-ბაია | 2:1 |
| IX ტური | ბაია-ზესტაფონი | 0:1 |
| X ტური | ოლიმპი-ბაია | 2:0 |
| XI ტური | ბაია-სპარტაკი | 4:1 |
| XII ტური | ლოკომოტივი-ბაია | 0:0 |
| XIII ტური | ბაია-სამტრედია | 2:2 |
| XIV ტური | გაგრა-ბაია | 1:0 |
| XV ტური | ბაია-სიონი | 2:0 |
| XVI ტური | დინამო-ბაია | 1:0 |
| XVII ტური | ბაია-ვიტ ჯორჯია | 0:1 |
| XVIII ტური | ზესტაფონი-ბაია | 2:1 |
| **II ეტაპი** | | |
| XIX ტური | ოლიმპი-ბაია | 1:0 |
| XX ტური | ბაია-სპარტაკი | 0:2 |
| XXI ტური | ბაია-ლოკომოტივი | 0:0 |
| XXII ტური | სამტრედია-ბაია | 0:1 |
| XXIII ტური | ბაია-გაგრა | 2:1 |
| XXIV ტური | სიონი-ბაია | 0:0 |
| XXV ტური | ბაია-დინამო | 1:1 |
| XXVI ტური | ვიტ ჯორჯია-ბაია | 2:2 |
| XXVII ტური | ბაია-ზესტაფონი | 0:1 |
| XXVIII ტური | ბაია-ოლიმპი | 1:1 |
| XXIX ტური | ბაია-სპარტაკი | 2:0 |
| XXX ტური | ლოკომოტივი-ბაია | 1:3 |
| XXXI ტური | ბაია-სამტრედია | 2:0 |
| XXXII ტური | გაგრა-ბაია | 1:1 |
| XXXIII ტური | ბაია-სიონი | 0:0 |
| XXXIV ტური | დინამო-ბაია | 3:0 |
| XXXV ტური | ბაია-ვიტ ჯორჯია | 1:1 |
| XXXVI ტური | ზესტაფონი-ბაია | 4:0 |

მეკარეები: გიორგი სომხიშვილი - 17, არჩილ მაქაცარია - 14, თორნიკე ზარქუა - 5;

მცველები: მაკარ აქუბარდია - 22, ნიკოლოზ კვეკვესკირი - 22, გიორგი ქირია - 18, სევასტი თოდუა - 17, ლევან აკობია - 17 (2), გიორგი კვესიეშვილი - 17, ამირან ყველაშვილი - 14, ზურაბ ექონია - 14, ზვიად სიხარულია - 12, გიგა ჟვანია - 13, გიორგი პაჭკორია - 3, დავით რაფავა - 2, კობა შონია - 1;

ნახევარმცველები: როინ ონიანი - 30 (4), ლევან ვართაგავა - 34 (1), ჩისამბა ლუნგუ - 29 (1), ლევან წურწუმია - 24, ირაკლი ეხვაია - 24 (5), ლუკა გუგუჩია - 18 (2), ნიკოლოზ აფაქიძე - 14, დავით ქირია - 11 (3), ნიკა ძალამიძე - 11 (2), შოთა ლომია - 8, ირაკლი ხუციძე - 7 (1), ლაშა კუკავა - 4, ლაშა სვირავა - 4, ნიკა შონია - 2, გურამ სამუშია - 1;

თავდამსხმელები: გოგი ფიფია - 16 (2), დავით კუტალია - 12, რევაზ ჯიქია - 12 (4), პაატა ბაკარანძე - 11 (1), ზაზა სახოკია - 9 (1), გურამ სამადაშვილი - 6, მამუკა ჭკადუა - 4.

კოლეგები

# ქართული ფეხბურთი ესპანელის თვალით

გერმანიაში დასრულებულ ყინულის ჰოკეის მსოფლიო ჩემპიონატზე უმეტესად, რა თქმა უნდა, ქვეყნების ჟურნალისტები იყვნენ აკრედიტირებულნი, მაგრამ გამონაკლისებიც იყვნენ - კიოლნში ესპანელი **ისმაელ როდრიგესი** გავიცანით, რომელიც უპირველესად, საფეხბურთო თემატიკაზე მუშაობს.



ისმაელ როდრიგესი

ისმაელი ვალენსიელია და ჩვენდა გასაოცრად, ზედმიწევნით კარგად იცნობს ქართულ ფეხბურთს და ზეპირად იცის საქართველოს ნაკრების თითქმის ყველა ფეხბურთელის სახელი და გვარი. გასაგებია, რომ **კახა კალაძე, ლევან კობიაშვილი** და დასავლეთ ევროპაში წლების განმავლობაში მოთამაშე ჩვენი ლეგიონერები ფეხბურთში ჩახედულმა თითქმის ყველა ევროპელმა იცის, როდრიგესი კი ქართულ ფეხბურთში გაცილებით გათვითცნობიერებულია. ისმაელმა საკუთარი შთაბეჭდილებები გაგვიზიარა:

*„საერთოდ, ძალიან მაინტერესებს პოსტსაბჭოთა სივრცე და ქართულ ფეხბურთს უპირველეს ყოვლისა, სწორედ აქედან გამომდინარე ვიცნობ. სისტემატურად ვადევნებ თვალს რუსეთის პრემიერლიგას და კარგად ვიცი იქ მოთამაშე თითოეული ქართველის შესაძლებლობები. პირდაპირ ვიტყვი, რომ რამდენიმე მათგანის ტექნიკური მონაცემებით აღფრთოვანებული ვარ. იმის მიუხედავად, რომ ყაზანის „რუბინმა" ჩემპიონთა ლიგაში სენსაცია მოახდინა და „ბარსელონა" სტუმრად დაამარცხა, მე უფრო ნალჩიკის „სპარტაკი" მომწონს. ქართველი ფეხბურთელებიდან კი ყველაზე მეტად გოგიტა გოგუას ვაფასებ. იგი რუსეთის ჩემპიონატის ერთ-ერთი გამორჩეული მოთამაშეა და მიკვირს, აქამდე რატომ არ გადავიდა უფრო ძლიერ გუნდში და თუნდაც, უფრო ძლიერ ლიგაში. მასთან ერთად, რუსულ პრემიერლიგაში მალხაზ ასათიანს გამოვარჩევ, რომელსაც უკვე უდიდესი გამოცდილება აქვს და მოსკოვის „ლოკომოტივის" ერთ-ერთი ლიდერია. ჯანო ანანიძეს კი უდიდესი მომავალი აქვს. სხვათა შორის, ახლახან გავიგე, რომ იგი ქართველია, მანამდე რუსი მეგონა...*

*...მე ვალენსიელი ვარ და ამიტომაც კარგად მახსოვს, რომ შოთა არველაძემ თავისი საფეხბურთო კარიერა „ლევანტეში" დაასრულა. მართალია, მან ტრავმის გამო, თავის ბოლო სეზონში სულ რამდენიმე მატჩი ჩაატარა, მაგრამ აქაურებს მაინც კიდევ დიდხანს ეხსომებათ, რომ „ლევანტეში" ასეთი ცნობილი ფეხბურთელი თამაშობდა. ისიც ვიცი, რომ არველაძე ერთადერთი ქართველი ფეხბურთელი არაა, ვისაც ესპანეთში უთამაშია. წლების წინ ხომ „რეალ სოსიედადში" გიორგი დემეტრაძე ასპარეზობდა...*

*...გამიგია ერთი ახალგაზრდა ქართველიც, რომელიც „ბარსელონას" წევრია და დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. მახსოვს, რომ გიორგი ჰქვია, გვარს კი სამწუხაროდ, ველარ ვიხსენებ. ძალიან მინდა, სულ მალე ესპანურ პრიმერადივიზიონში, რომელიც მსოფლიოს საუკეთესო ლიგად მიმაჩნია, კიდევ ვნახო ქართველი ფეხბურთელები...*

*...რაც შეეხება საქართველოს ნაკრებს, ყოველთვის მინდოდა, მისი თამაში ცოცხლად მენახა, მაგრამ რაკი ესპანეთი და საქართველო ერთ შესარჩევ ჯგუფში არასოდეს მოხვედრილან, ამის საშუალებაც არ მომცემია. ჩემთვის აუხსნელია, რატომ თამაშობს ასე წარუმატებლად საქართველოს ეროვნული ნაკრები მაშინ, როცა მას მაღალი კლასის არაერთი ფეხბურთელი ჰყავს. მგონია, რომ ნავსი გატყდება და მალე უფრო მაღალი მიზნებისთვის იბრძოლებთ. თემურ ქეცბაია ხომ შესანიშნავი ფეხბურთელი იყო და კვიპროსზე მუშაობისას თავისი სამწვრთნელო ნიჭიც დაამტკიცა...*

*...ეროვნული ნაკრები უკვე ვახსენე და ბარემ იმასაც გეტყვით, რომ საქართველოსა და ესპანეთის ახალგაზრდული ნაკრებების ორი ურთიერთშეხვედრა მაქვს ნანახი - ერთი ტელევიზორით, მეორე კი ცოცხლად. რამდენიმე წლის წინ ხომ ჩვენი ახალგაზრდები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ერთ ჯგუფში თამაშობდნენ. თბილისში გამართულმა მატჩმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ქართველმა ახალგაზრდებმა ძლიერ მეტოქეს უდიდესი წინააღმდეგობა გაუწიეს და მარცხს ნამდვილად არ იმსახურებდნენ...*

*...საქართველოში ჩამოსვლასა და ქართული ფეხბურთის კიდევ უფრო ახლოს გაცნობას უახლოეს პერიოდში ვაპირებ. ერთი სული მაქვს, როდის ვნახავ თქვენს ქვეყანას. წარმატებებს გისურვებთ და მჯერა, მალე ფეხბურთში თქვენს სიტყვას იტყვით".*

U 13

# ქართველები მეოთხეზე გავიდნენ

საქართველოს 13-წლამდელთა ნაკრებმა გერმანიის საერთაშორისო ტურნირზე საკმაოდ წარმატებულად იასპარეზა და მეოთხე ადგილი მოიპოვა. ჯგუფური ეტაპის პირველ მატჩში **ნოდარ აკობიას** გუნდი ჰოლანდიურ „ვიტესს" შეხვდა და **დიმიტრი თუთბერიძის** გოლით 1:0 გაიმარჯვა. მეორე შეხვედრა ქართველებმა როსტოკის „ჰანზას" წინააღმდეგ ჩაატარეს. თავიდან გერმანელები დაწინაურდნენ, მაგრამ საქართველოს ნაკრებმა **გიორგი ნივილაშვილის** გოლით ანგარიში გაათანაბრა და მატჩი ფრედ, 1:1 დასრულდა. ჯგუფის დასკვნით შეხვედრაში ქართველმა 13-წლამდელებმა **ვატო არველაძის, საბა ცინცკილაშვილისა** და **ირაკლი კომახიძის** გოლებით „ვოლფსბურგი" 3:0 გაანადგურეს.

საქართველოს ნაკრებმა საპლეიოფო შეხვედრებიც არანაკლებ დამაჯერებლად ჩაატარა. მერვედფინალში გერმანული „ლაჰაუზენი" 1:0 დავამარცხეთ, მეოთხედფინალში კი შვედურ „მალმიოს" 2:0 ვძლიეთ.

ქართველი მოზარდები ნახევარფინალში მიონხენგლადბახის „ბორუსიას" შეხვდნენ. ძირითადი დრო ფრედ, 0:0 დასრულდა, პენალტების სერიით კი გერმანელებმა 4:3 გაიმარჯვეს. მესამე ადგილისთვის მატჩში დანიურ „ოლბორგთან" 0:1 დავმარცხდით.

ტურნირის გამარჯვებული ლევერკუზენის „ბაიერი" გახდა, რომელმაც ფინალში „ბორუსია" 2:1 დაამარცხა.

გვერდი მოამზადა
ლევან ჯანეზაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბრძოლა პეტერ ჩეხის ბაქანზე

# ბრედლიმ მეორე ეშელონი ნახა

**აშშ-ჩეხეთი 2:4**

**აშშ:** გუზანი, ჩერუნდოლო, ონიევუ (66. ბედოია), ბორნსტეინი (46. პირსი), გუდსონი, ბიზლი (46. როჯერსი), ტორესი (46. კლეშტანი), ჰოლდენი, ედუ, ბადლი (46. გომესი), ჯონსონი (46. ჩინგი).

**ჩეხეთი:** ჩეხი, ჰუბშმანი, შივოკი, კუსნირი, სიონკო (85. მორავეკი), პლაშილი (90. ლიმბერსკი), რაინოხი, პოლაკი (90. ჰოლეკი), პუდილი, ლაფატა (67. ნეციდი), ფენინი (79. ჩერნი).

**გოლები:** 1:0 ედუ (17), 1:1 შიქოკი (44), 1:2 პოლაკი (58), 2:2 გომესი (66), 2:3 ფენინი (78), 2:4 ნეციდი (90)

**მაყურებელი:** 36 218

ისტ ჰარტფორდში მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე ამერიკის ნაკრებმა ჩეხეთისგან მწარე მარცხი იგემა - 2:4. მასპინძელთა თავკაც **ბობ ბრედლის** იმ 23 კაცის დადგენა სურს, რომელთაც მუნდიალზე წაიყვანს, ამიტომაც მან სლავების წინააღმდეგ არ გამოიყენა აშკარა ლიდერები, რომელთაც სამხრეთ აფრიკაში წასვლა გარანტირებული აქვთ. ასე არ ითამაშეს ამხანაგურ მატჩში **ტიმ ჰოვარდმა, ლენდონ დონოვანმა, კლინტ დემპსიმ, კარლოს ბოკანეგრამ** და **ჯოზი ალტიდორმა**. *„დღეს ჩვენ ბევრი რამ გავიგეთ საკუთარ გუნდზე. შედეგი, რა თქმა უნდა, მიუღებელია, თუმცა ჩვენ მუშაობას ვაგრძელებთ“*, - განაცხადა ამერიკელთა თავკაცმა.

მარცხენა ფლანგზე აქტიურობდა „რეინჯერსის“ შემტევი **დამარკუს ბიზლი**, რომელიც ბოლო დროს ვერც სანაკრებო და ვერც საკლუბო დონეზე ყოჩაღობდა. მე-17 წუთზე სწორედ მის გარღვევას მოჰყვა სახიფათო საჯარიმო სტუმართა კართან. **სტიუარტ ჰოლდენის** დარტყმული უხეიროდ მოიგერია ჩეხმა და ახლო მანძილიდან ანგარიში ბიზლის თანაკლუბელმა **მორის ედუმ** გახსნა - 1:0. 26-ე წუთზე ჩეხთა ახალგაზრდა ფორვარდ **მარტინ ფენინს** ბრწყინვალე შანსი შეექმნა, მაგრამ ახლო მანძილიდან საკმაოდ ააცილა ბურთი სათადარიგო **ბრედ გუზანის** კარს.

ტაიმის დასრულებამდე წუთით ადრე **იაროსლავ პლაშილმა** ჩააწოდა საჯარიმო და **ტომაშ შივოკმა** საჰაერო დუელი 7 თვის უთამაშებელ **ოგუჩი ონიევუს** მოუგო - 1:1. ბრედლიმ შესვენებაზე კიდევ ხუთი ახალი ფეხბურთელი გამოიყვანა, ცვლილებები კი ნეგატიურად აისახა გუნდზე. 56-ე წუთზე **დავიდ ლაფატამ** ამერიკის დაცვის ხაზის არეულობით ისარგებლა და გაიტანა, მაგრამ თანამსაჯმა ოფსაიდი დააფიქსირა. სამ წუთში ჩეხები მაინც დაწინაურდნენ, ლაფატამ ჩამოაწოდა, ხოლო გოლი **იან პოლაკმა** გაიტანა. ამერიკელებმა მალევე გაათანაბრეს, ჰოლდენმა კუთხური ჩააწოდა, ხოლო **გუდსონმა** ბურთი შორეულ ძელთან გადაკიდა, სადაც თავით **ერკულეს გომესმა** ითამაშა - 2:2.

ამერიკელებმა ნაადრევად გაიხარეს, ჯერ ფენინმა მარჯვენა ფლანგიდან გარღვევა მოაწყო, რომელიც თავადვე დაასრულა, ბოლო წუთზე კი შეცვლაზე შესულმა **ტომაშ ნეციდმა** იყოჩაღა - 2:4. 29 მაისს აშშ თურქეთს ფილადელფიაში მიიღებს, ბრედლი უკვე ძირითად შემადგენლობას გამოიყვანს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# ცხოვრება გრძელდება

**ირლანდია-პარაგვაი 2:1**

**ირლანდია:** ვესტვუდი, სტ. ლედჯერი, მაკშეინი, ოში, კელი, ენდრიუსი, უელანი (69. გრინი), დაფი (77. ფეჰეი), ლოურენსი (82. ფოლი), დოილი (87. ლონგი), კინი (63. შერიდანი).

**პარაგვაი:** ბობადილია, კანისა, ალკარასი, და სილვა, რივეროსი (66. ორტიგოსა), სანტანა (82. აკინო), მორელი (65. ტორესი), ვერა (66. ბონეტი), სანტა კრუსი (77. მარტინესი), ბარიოსი, გამარა.

**გოლები:** 1:0 დოილი (7), 2:0 ლოურენსი (39), 2:1 ბარიოსი (58)

**მაყურებელი:** 16 722

ირლანდიის ნაკრებმა მუნდიალის მონაწილე პარაგვაი 2:1 დაამარცხა. **კევინ დოილმა** ანგარიში მას მერე გახსნა, რაც „მანჩესტერ სიტის“ ფორვარდმა **როკე სანტა კრუსმა** დაცვაში უპატიებელი შეცდომა დაუშვა. 39-ე წუთზე **ლაიმ ლოურენსმა** ორამდე გაზარდა მასპინძელთა უპირატესობა. პარაგვაელებმა მეორე ტაიმის დასაწყისში გაიტანეს გოლი, თავი **ლუკას ბარიოსმა** გამოიჩინა.

სამხრეთამერიკელთაგან „სანდერლენდის“ შენაძენ **კრისტიან რივეროსს** გამოვყოფთ, რომელიც ჭკვიანურად ათამაშებდა გუნდს, მისი შეცვლის შემდეგ კი პარაგვაელთა შეტევებმა სიმწყობრე დაკარგა. *„კიდევ ერთხელ გვწყდება გული, რომ სამხრეთ ამერიკაში ვერ მივდივართ, არადა, ეს გუნდი იქ ბევრს მიაღწევდა. ბიჭებს შევახსენე, რომ ცხოვრება გრძელდება და წინ ევრო-2012-ია“*, - განაცხადა **ჯოვანი ტრაპატონიმ**.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**საბერძნეთი-ჩრდ. კორეა 2:2**

**საბერძნეთი:** სიფაკისი (46. ცორვასი), კირიაკოსი (46. პაპადოპულოსი), მორასი, სპიროპულოსი, ვინტრა (46. სეიტარიდისი), ცილიოსი, კაცურანისი, კარაგუნისი (62. პაცაცოგლუ), სამარასი (46. ხარისტეასი), გეკასი (46. კაპეტანოსი), სალპინგიდისი.

**ჩრდ. კორეა:** მ. რი (46. მ. კიმი), ნამი (46. ი. რი), კ. რი, ჩ. პაკი, ი, ჩა, ანი, ნ. პაკი, მუნი (85. კ. კიმი), იონი, ჰონი.

**გოლები:** 1:0 კაცურანისი (2), 1:1 იონი (24), 2:1 ხარისტეასი (49), 2:2 იონი (52)

**მაყურებელი:** 5 000

ჩრდილოკორეელთა იაპონიაში დაბადებულ-გაზრდილმა ფორვარდმა **ტაე-სე იონმა** ორჯერ გაათანაბრა და გუნდი საბერძნეთთან მარცხისგან იხსნა. მუნდიალის ორ მონაწილეს შორის ამხანაგური მატჩი ავსტრიულ ალტახში გაიმართა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**ნიგერია-ს. არაბეთი 0:0**

**ნიგერია:** ეჯიდე, შიტუ, იობო, ეჩიეჯილე, სუსვანი (46. კაიტა), კ. უჩე (46. ი. უჩე), იუსუფი (80. ოდია), ჰარუნა, კანუ (60. მარტინსი), ანიჩებე (56. ობინა), ოგბუკე (74. ჯ. უტაკა).

**მაყურებელი:** 1 000

ეს შეხვედრა ლონდონის „ქრეივენ კოტეჯზე“ გაიმართა. **ლარს ლაგერბეკის** დებიუტი ნიგერიის ნაკრებში ასეთი ულიმლამო აღმოჩნდა. **ნვანკო კანუმ** და კომპანიამ არაბთა კართან ბევრი ვერაფერი შექმნა, „სუპერარწივები“ ოთხშაბათს ისევ ლონდონში ითამაშებენ, ამჯერად კოლუმბიის ნაკრების წინააღმდეგ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ესპანეთი

# დელ ბოსკემ ფეისბუქი და ტვიტერი დაბლოკა

ესპანეთის ნაკრები **ვისენტე დელ ბოსკეს** ხელმძღვანელობით მადრიდიდან დასავლეთით 20 კილომეტრში, ლას როსასის ბაზაზე ემზადება მსოფლიოს ჩემპიონატისათვის. გუნდში ყველაფერი გარკვეულია, დიდი ხანია უკვე, რაც მწვრთნელმა საბოლოო, 23-კაციანი სია ჩამოწერა ნომრებითურთ. ახლა მწვრთნელის სატკივარს მხოლოდ მოწინავე ფეხბურთელთა ტრავმები და... მისი შეგირდების ინტერნეტით გატაცება წარმოადგენს. დელ ბოსკეს გუნდში ჯერჯერობით ვერ ვარჯიშობენ **ფერნანდო ტორესი** და **სესკ ფაბრეგასი**. განსაკუთრებით, სერიოზულად ტორესის მდგომარეობაა, თუმცა ფერნანდო ირწმუნება, რომ ესპანეთის ნაკრების პირველი მატჩისთვის მუნდიალზე ის საღ-სალამათი იქნება.

დელ ბოსკემ აღმოაჩინა, რომ მისი ფეხბურთელები მეტისმეტად ბევრ დროს უთმობენ სოციალური ქსელების საიტებს („ფეისბუქი“, „ტვიტერი“), ამიტომაც მწვრთნელმა ისინი ბაზის ყველა კომპიუტერში დაბლოკინა. მწვრთნელს სურს, რომ ფეხბურთელთა მთელი ყურადღება ვარჯიშსა და მომავალ მსოფლიოს ჩემპიონატზე იყოს კონცენტრირებული და არა გართობაზე.

სოციალურ ქსელებს აქამდეც შეუქმნია პრობლემები ფეხბურთელთათვის, თუნდაც „რეალის“ ბრაზილიელი ვარსკვლავის **კაკას** მეუღლის ამბავი გავიხსენოთ - ის ტვიტერზე **მანუელ პელეგრინის** აკრიტიკებდა მისი მეუღლისთვის სათამაშო დროს შემცირების გამო. შედეგად, კაკა იძულებული იყო მეუღლის ექაუნთი გაეუქმებინა ტვიტერზე. პრობლემები ჰქონდა ინგლისელ **დარენ ბენტსაც**, რომელიც „ტოტენჰემის“ პრეზიდენტ **დანიელ ლევის** აკრიტიკებდა ტვიტერზე. ბენტის ახალმა თავკაცმა **სტივ ბრიუსმა** მას საერთოდ აუკრძალა ტვიტერზე შესვლა და შედეგმაც არ დააყოვნა - ბენტმა 38 თამაშში 24 გოლი გაიტანა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



დელ ბოსკე: იფიქრეთ მხოლოდ ფეხბურთზე!

შვეიცარია

# ჰიტცფელდი: ესპანეთს სიურპრიზს ვუმზადებ!



ოტმარ ჰიტცფელდი

დღეს შვეიცარიის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მოსამზადებელ შეკრებას იწყებს და გუნდის შეკრებამდე ერთი დღით ადრე, მთავარმა მწვრთნელმა **ოტმარ ჰიტცფელდმა** პრესკონფერენცია გამართა. გერმანელმა სპეციალისტმა თქვა, რომ მისი გუნდი სამხრეთ აფრიკაში ძალიან ბევრს გააოცებს.

*„ჩვენ, პირველ რიგში, ესპანეთის ნაკრების გაოცებას ვაპირებთ. ვისენტე დელ ბოსკეს გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატის ერთ-ერთი უმთავრესი ფავორიტია. ევროპის მოქმედ ჩემპიონებს სიურპრიზს ვუმზადებ. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ესპანეთის ნაკრებმა მუნდიალზე ცუდი სტარტი აიღოს,“* - უთხრა ჰიტცფელდმა ჩვენს შვეიცარიელ კოლეგებს. შეგახსენებთ, რომ ჰიტცფელდის გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატზე ასპარეზობას 16 ივნისს, სწორედ ესპანეთთან შეხვედრით იწყებს.

ესპანეთის გარდა, შვეიცარიის ნაკრების ჯგუფში ჩილე და ჰონდურასი არიან. სამხრეთ აფრიკაში გამგზავრებამდე, ჰიტცფელდის გუნდი ორ ტესტ-მატჩს გამართავს: პირველ ივნისს კოსტა რიკასთან, ხოლო 5 ივნისს კი მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონ იტალიასთან.

პრესკონფერენციამდე, ბერნში „შვეიცარიული ფეხბურთის საღამო“ შედგა, რომელზეც **ბენიამინ ჰუგელი** გასული სეზონის საუკეთესო შვეიცარიელ ფეხბურთელად დაასახელეს. წლის ახალწვეულად კი, 18 წლის **შერდან შაქირი** შეირაცხა. ორივე მათგანი „ბაზელის“ ფეხბურთელია, ამ კლუბმა კი წელს დუბლი შეასრულა: გახდა შვეიცარიის ჩემპიონი და მოიგო ქვეყნის თასიც. ჰუგელს სჯერა, რომ შვეიცარიის ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონობა შეუძლია. *„ვიცი, რომ ახლა ბევრს გაეცინება, მაგრამ მაინც ვიტყვი: ჩვენ ნამდვილად არ ვართ უშანსოდ!“* - თქვა წლის საუკეთესო შვეიცარიელმა ფეხბურთელმა.

**გოტფრიდ ლენცი**

ჩრდ. კორეა

# კომუნისტური კორეა დაკომპლექტდა

ჩრდილოეთ კორეის ნაკრების თავკაცმა **იონ-ჰუნ კიმმა** ნაკრების საბოლოო შემადგენლობა დაასახელა. ცნობილია, იმ 23 ფეხბურთელის ვინაობა, ვისაც მწვრთნელი სამხრეთ აფრიკაში წაიყვანს. ამ კომუნისტური ქვეყნის მხოლოდ სამი ფეხბურთელია ლეგიონერი: **იონ-ჰაკ ანი** („ომია“, იაპონია), **ტაე-სე იონი** („კავასაკი“, იაპონია) და **იონ-იო ჰონი** („როსტოვი“, რუსეთი). სამივე ლეგიონერი საბოლოო სიაში დარჩა. ჩრდილოეთ კორეა G ჯგუფში კოტ დ'ივუარის, ბრაზილიისა და პორტუგალიის ნაკრებებს ხვდება.

***მეკარეები***: მიონ-გილ კიმი, მიონ-ვონ კიმი, მიონ-გუკ რი; **მინდვრის მოთამაშეები**: ჩოლ-ჰიოკ ანი, იონ-ჰაკ ანი, იონ-ჰიოკ ჩა, კუმ-ჩოლ ჩოე, იონ-იო ჰონი, იუნ-ნამ ი, ტაე-სე იონი, ჰუმ-ილ კიმი, კიონ-ილ კიმი, იონ-იუნ კიმი, ინ-გუკ მუნი, სონ-ჩოლ ნამი, ჩოლ-ინ პაკი, ნამ-ჩოლ პაკი, ნამ-ჩოლ პაკი II, სუნ-ჰიოკ პაკი, ჩოლ-მიონ რი, იუნ-ილ რი, კვან-ჩონ რი, კვან-ჰიოკ რი.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ნაკრების თავკაცი იონ-ჰუნ კიმი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისი


გარეთ ბერიმ ფაბიო კაპელო დაამშვიდა


უტევს უეინ რუნი

# ბერის იმედი

## ...რუნი კი ინგლისს გოლებს ჰპირდება

**ფაბიო კაპელოს** სასიამოვნო ამბავი შეატყობინეს - **გარეთ ბერიმ** უთხრა მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მზად ვიქნები და ჩემი იმედი გქონდესო. ბერიმ ეს სიახლე, რასაკვირველია, ჰაერიდან არ მოიტანა. სანამ ინგლისის ნაკრების თავკაცს დაურეკავდა ის ექიმთან მივიდა და ნატკენი კოჭი საფუძვლიანად შეამოწმებინა. სპეციალისტმა უთხრა, რომ სანერვიულო არაფერი იყო - ის სამხრეთ აფრიკაში თამაშს შეძლებს ოღონდ ერთი დათქმით: მან პირველი შეხვედრა უნდა გამოტოვოს. მეორე თამაში ინგლისს 18 ივნისს აქვს ქეიფთაუნში ალჟირთან. არადა, ბერი ვარჯიშებში ჯერჯერობით ვერ მონაწილეობს.

როგორც ინგლისური პრესა წერს, ეს ცნობა კაპელოს გულს გაუკეთებდა, რადგან მწვრთნელმა მექსიკის ნაკრებთან ამხანაგურ შეხვედრაში თავისი თვალით ნახა, როგორ გაუჭირდათ დაკისრებული საქმის პირნათლად შესრულება **მაიკლ ქერიკსა და ჯეიმს მილნერს**. გუშინაც მოგახსენებდით და დღესაც გავიმეორებთ, რომ გამარჯვების მიუხედავად იტალიელი მწვრთნელი სასტიკად უკმაყოფილო დარჩა, განსაკუთრებით იმით, თუ რა თავისუფლად აძლევდნენ მისი ფეხბურთელები მექსიკელებს ბურთაობის საშუალებას - კაპელო მოთამაშეებისგან მეტ აგრესიას და ბურთის წასართმევად ინტენსიურ ბრძოლას ითხოვს.

ასე და ამგვარად, ფაბიო კაპელო 1 ივნისამდე დაიცდის და ბერის ამბების განვითარებას დაელოდება. არ არის გამორიცხული, მან „მანჩესტერ სიტის" ნახევარმცველი 23 კაცში, ანუ სამხრეთ აფრიკაში წასაყვანთა საბოლოო სიაში შეიყვანოს. ბევრი გაზეთი წერს, რომ 23 კაცში ისეთი ფეხბურთელის შეყვანა, რომელიც პირველ შეხვედრას დანამდვილებით გამოტოვებს, მწვრთნელის მხრიდან დიდი რისკი იქნება, მაგრამ მეორე მხრივ ბერი ფრიად საჭირო თვისებებით არის დაჯილდოებული - მას თამაშის წაკითხვის გამოკვეთილი უნარი აქვს.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ბერი სპეციალისტმა შეამოწმა, თუმცა ფეხზე სკანირება არ ჩაუტარებიათ. ექიმს უთქვამს, რომ გამოჯანმრთელების პროცესი ამაზე უკეთ ვერ წარიმართებოდა. შეგახსენებთ, რომ გარეთ ბერიმ ფეხი პრემიერლიგის ბოლო შეხვედრაში, 5 მაისს, „ტოტენჰემ ჰოთსპურთან" თამაშის დროს დაიზიანა. თავდაპირველად ექიმები პესიმისტურ პროგნოზებს აკეთებდნენ. ისინი ამბობდნენ, რომ ბერის მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობის არანაირი შანსი არ აქვს, მაგრამ ფეხბურთელი ამას არ შეეგუა და აღდგენითი პროცესის დასაჩქარებლად ჟანგბადის კამერაშიც კი გაატარა რაღაც დრო.

ბერი კაპელოს გუნდთან ერთად ავსტრიაში არ დაბრუნდება. ის „სიტის" საწვრთნელ ცენტრში, კერინგტონში ივლის და ის ტრენაჟორებთან იმუშავებს ბევრს, რათა კოჭი დატვირთვას შეაჩვიოს, ხოლო გუნდთან ერთად დაახლოებით 12 ივნისისთვის, ანუ სამხრეთ აფრიკაში ინგლისელთა პირველი შეხვედრის დღეს შეძლებს ვარჯიშს.

და კიდევ ერთი: მოგეხსენებათ, მექსიკასთან თამაშის შემდეგ დაიწერა, თითქოს **უეინ რუნიმ** კოჭი იტკინა და კვლავ სამკურნალოდ აქვს საქმე. კაპელოს ხელადვე მოუხდა ამ ჭორის გაბათილება, მაგრამ ინგლისელმა ჟურნალისტებმა ვერ მოისვენეს სანამ თავად ფეხბურთელს არ ჰკითხეს. პასუხი ასეთი იყო: *„ვერ გავიგე, საიდან დაირხა ხმები ჩემი ტრავმის შესახებ. აბსოლუტურად ჯანმრთელად ვარ და არაფერი მომსვლია".*

■ ■ ■

**უეინ რუნი** ინგლისელ ქომაგს მსოფლიოს ჩემპიონატზე გოლებს ჰპირდება. ეს თემა რატომ წამოიჭრა? იმიტომ, რომ დიდი ქების მიუხედავად ინგლისური ფეხბურთის მთავარ ვარსკვლავს აგერ უკვე შვიდი სანაკრებო თამაშია მეტოქის კარში ბურთი არ შეუგდია. ზუსტად იგივე განმეორდა ბოლო შეხვედრაში მექსიკის ნაკრებთან, რომელიც ინგლისელებმა 3:1 მოიგეს, მაგრამ „მანჩესტერ იუნაიტედის" ფორვარდი ფანებს ამშვიდებს. რუნიმ თქვა:

*„რასაკვირველია, ძალიან მინდა გოლების გატანა, მაგრამ რაცაა - ეგაა. რაც მოხდა, მოხდა. კიდევ კარგი, ამხანაგურში ვერ მოვახერხე გოლის შეგდება და არა მსოფლიოს ჩემპიონატის შეხვედრაში. დიდი იმედი მაქვს, რომ სამხრეთ აფრიკაში დავიწყებ გოლების შეყრას. გარწმუნებთ, საამისოდ ყველა ღონეს ვიხმარ. ამწუთას თავს მშვენივრად ვგრძნობ, ფიზიკურადაც კარგად ვარ და ერთი სული მაქვს, როდის დაიწყება მსოფლიოს ჩემპიონატი".*

შეიძლება არ დაიჯეროთ, მაგრამ უეინ რუნიმ ინგლისის ნაკრების შემადგენლობაში ბოლო გოლი 9 სექტემბერს გაიტანა, როდესაც **ფაბიო კაპელოს** ბიჭებმა ხორვატიას მოუგეს 5:1. შეადარეთ ეს შედეგი მისსავე 2008-09 წლების შედეგს, როდესაც 10 მატჩში ცხრაჯერ მოახერხა მოწინააღმდეგეების კარში გოლის გატანა. სანაკრებო „წარუმატებლობის" მიუხედავად, მოგეხსენებათ, რუნის კლუბში დიდებული სეზონი ჰქონდა და გოლების გატანა მხოლოდ მიუნხენის „ბაიერნთან" ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში მიღებულმა ტრავმამ შეაწყვეტინა - კოჭის მყესები დაუზიანდა. ამის მიუხედავად, რუნიმ მაინც მოახერხა „მანჩესტერ იუნაიტედის" სახელით ყველა შეჯიბრებაში ერთად 33 გოლის გატანა.

**ილია ბაბუნაშვილი**

სატრანსფერო


მარჯვნივ ჯეიმს მილნერი

# ფრთხილად, წინ სკამია!

**რიჩარდ დანმა ჯეიმს მილნერი** გააფრთხილა, რომ „მანჩესტერ სიტიში" გადასვლა შესაძლოა სულაც არ გამოდგეს ოცნების ახდენა. ირლანდიელმა ინგლისის ნაკრების ნახევარმცველს შეახსენა, რომ არსებობს ასეთი ცნება - სათადარიგოთა სკამი, სადაც ის შესაძლოა აღმოჩნდეს თუკი ამ ზაფხულს „ასტონ ვილას" მიატოვებს და ისტლენდზე გადაბარგდება. შეგახსენებთ, რომ დანი გასულ სეზონში საპირისპირო მიმართულებით წავიდა - „სიტიში" იყო და „ასტონ ვილაში" გადავიდა. ეს იმიტომ მოხდა, რომ „სიტიმ" **კოლო ტურე** და **ჟოლეონ ლესკოტი** შეიძინა.

მილნერის შესაძლო ტრანსფერის შესახებ ბოლო, რაც შეგვიძლია გითხრათ ის არის, რომ ბირმინგემულმა კლუბმა მანჩესტერელთაგან 20 მილიონი ფუნტი იუარა, რადგან იმედი აქვს, რომ მილნერს მეტად გაყიდის.

დანმა თქვა: *„დღეს „მანჩესტერ სიტი" უკვე მართლა დიდი კლუბია, მაგრამ არის ერთი პრობლემა, ამ კლუბში ძალიან ბევრი ფეხბურთელია. ამბობენ, რომ ის მილნერში 20 მილიონის გადახდას აპირებს. 20 მილიონი ისტლენდელებისთვის არაფერია. მილნერი მათთვის მხოლოდ და მხოლოდ კიდევ ერთი ფეხბურთელი იქნება და მეტი არაფერი. ამიტომაც ჯეიმსი დადგება ფაქტის წინაშე - ძირითად შემადგენლობაში ხშირად ვერ მოხვდება. ასე რომ, საჩქარო არაფერია. არსებობენ უფრო დიდი კლუბებიც, რომლებიც ჯერ კიდევ გამოჩნდებიან და მას შესაძლოა ჩემპიონთა ლიგის ფეხბურთიც კი შესთავაზონ".*

შემდეგ დანის გაახსენდა, რომ „მანჩესტერ სიტიდან" **სტივენ აირლენდიც** კი ცდილობს წასვლას. „ლელოს" მკითხველმა იცის, რომ ამ ირლანდიელმა ფეხბურთელმა კლუბის ოფისში ოფიციალურადაც კი განაცხადა, როგორც კი შანსი მოგეცემათ, გამყიდეთო.

*„სტივენს უნდა, რომ რეგულარულად ითამაშოს. „სიტის" თუ იგი აღარ სჭირდება, „ასტონ ვილა" უდიდესი სიამოვნებით მიიღებს".*

**ილია ბაბუნაშვილი**

ბაიერნი

# ბეკენბაუერმა გომესი გააკრიტიკა

**მიუნხენის** „ბაიერნის" საპატიო პრეზიდენტმა **ფრანც ბეკენბაუერმა** რეკორდმაისტერისა და გერმანიის ნაკრების თავდამსხმელი **მარიო გომესი** კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა. *„მარიო გომესი ჩემთვის დიდი გამოცანაა. ის ერთადერთი ფეხბურთელია „ბაიერნში", რომელსაც დღემდე ვერაფერი გავუგე და რომელსაც მიუნხენში გადმოსვლიდან ერთი წლის შემდეგ, არანაირი პროგრესი არ ეტყობა," -* განუცხადა „კაიზერმა" „შპორტ ბილდს".

შეგახსენებთ, რომ გომესი „ბაიერნში" ზუსტად ერთი წლის წინ გადავიდა და მიუნხენელებმა „შტუტგარტს" მათთვის სარეკორდო თანხა, 30 მილიონი ევრო გადაუხადეს. შესაბამისად, გომესი „ბაიერნის" ყველა დროის ყველაზე ძვირადღირებული შენაძენია. მარიომ ამ სეზონში მართლაც ვერ გაამართლა იმედები.

**გოტფრიდ ლენცი**

რეალი

# ადიოს, პელეგრინი!

## პერესი: რეალში ჟოზეს ეპოქა იწყება

**გუშინ** „რეალის" ხელმძღვანელთა შეკრებამ მიიღო ის გადაწყვეტილება, რასაც საფეხბურთო სამყარო კარგა ხანია ელოდა - ჩილელი მწვრთნელი **მანუელ პელეგრინი** მოხსნეს. მას შემდეგ, რაც „რეალი" ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალიდან ფრანგულმა „ლიონმა" გააგდო, „ვილიარეალის" ყოფილ თავკაცს „სამეფო კლუბის" მესაჭეობას დიდი ხნით აღარ უწინასწარმეტყველებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ პელეგრინიმ „რეალის" რეკორდი მოხსნა 96 ქულითა და 102 გატანილი გოლით, მაინც კარისკენ მიუთითეს. დღეს ფეხბურთში ყველაფერი ტიტულებით იზომება და „რეალმა" წელს ერთიც კი ვერ მოიგო...

შეკრების შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე „რეალის" პრეზიდენტმა **ფლორენტინო პერესმა** დირექტორთა საბჭოს მიმართვა წაიკითხა: *„ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ „რეალს" ჟოზე მოურინიო გაწვრთნის, მას შემდეგ, რაც „ინტერთან" მოლაპარაკება წარმატებით დასრულდება. ბოლო კვირებში ჩვენ დიდი დრო დავუთმეთ განვლილი სეზონის შეფასებას. დღეს კლუბის დირექტორთა საბჭომ გადაწყვიტა, დაასრულოს „რეალში" მანუელ პელეგრინის ხანა. მადლობას ვუხდით მას და მის თანაშემწეებს გაწეული შრომისთვის. მისი პროფესიონალიზმი და მონადინება იყო სამაგალითო".*

შემდეგ კლუბის პრეზიდენტმა დასძინა, რომ მოურინიოს დანიშვნის წინააღმდეგი არავინ წასულა: *„ყველას სურს, რომ გუნდს სათავეში ჩაუდგეს მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელი. „რეალი" ესპანური და ევროპული ფეხბურთის სტაბილური ლიდერი უნდა გახდეს".*

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## სამპდორიამ დი კარლო დაამტკიცა

**„სამპდორიას"** მთავარი მწვრთნელი **დომენიკო (მიმო) დი კარლო** გახდა. ამ პოსტზე მან „იუვენტუსში" წასული **ლუიჯი დელ ნერი** შეცვალა. 46 წლის სპეციალისტმა გასული სეზონი „კიევოში" გაატარა, მანამდე კი „მანტოვასა" და „პარმაში" იმუშავა. დი კარლოს დიდი გამოწვევა ელოდება - „სამპდორიამ" ხომ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვა...

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

გერმანია

# ბუნდესგუნდი დანწყევლილია?

## მიულერი ველოსიპედიდან გადმოვარდა, 14 ფეხბურთელი დოპინგზე შეამოწმეს

**ჯერ სიმონ როლფესი** დაშავდა, მერე პირველი მეკარე **რენე ადლერი**, მერე კაპიტანი **მიხაელ ბალაკი** და ბოლოს საყრდენი ნახევარმცველი **კრისტიან ტრეშიც**. გერმანიის ნაკრების თავკაც **იოახიმ ლიოვს** პრობლემები არ ელევა: გუშინ ფეხბურთელები ვარჯიშის შემდეგ ველოსიპედებით „სეირნობდნენ", როცა ახალგაზრდა **თომას მიულერს** მცირე „ავარია" მოუვიდა და ველოსიპედიდან გადმოვარდა. მიულერს სერიოზული ტრავმა არ მიუღია: „ბაიერნის" შემტევმა ნახევარმცველმა მუხლი გადაიყვლიფა და ბუნდესგუნდის ექიმმა, დოქტორმა **იოზეფ შმიტმა** რამდენიმე ნაკერი დაადო. მოგვიანებით კი გერმანიის ნაკრებს მოულოდნელად დოპინგსააგენტოს წარმომადგენლები ესტუმრნენ, რომლებმაც 14 ფეხბურთელის შემოწმება მოისურვეს. შემოწმებულთა ვინაობა არ დასახელებულა.

ამის გამო, ნაშუადღევს დაგეგმილ პრესკონფერენციაზე არც მიულერი გამოცხადებულა და არც **ჰოლგერ ბადშტუბერი**. მის ნაცვლად, ჟურნალისტების წინაშე შტუტგარტელი **კაკაუ** წარდგა. *„ბოლო ექვსი თვის განმავლობაში, დოპინგტესტი ხუთჯერ ჩამიტარეს. ასე რომ, კონტროლიორებს კარგად ვიცნობ და როცა ვარჯიშზე გამოჩნდებიან, თვალებში აღარ ვუყურებ, რათა ეჭვი არ აიღონ და მერე ნერვები არ მომიშალონ, -* უთხრა 29 წლის კაკაუმ ჩვენს გერმანელ კოლეგებს და იქვე დასძინა, *- ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ დოპინგტესტების მეშინია. უბრალოდ, შემოწმების პროცესი იმდენად მოსაბეზრებელი და გრძელია, რომ ყოველთვის ძალიან მეზარება."*


თომას მიულერი

როგორც იცით, ლიოვმა რამდენიმე დღის წინ განაცხადა, რომ გაფართოებულ სიაში შეყვანილი თავდამსხმელებიდან, სამხრეთ აფრიკაში ყველას წაიყვანს, რაც იმას ნიშნავს, რომ კაკაუს 23-კაციან განაცხადში ადგილი გარანტირებული აქვს. საფეხბურთო გერმანია ლიოვისგან პირველი მეკარისა და კაპიტნის ვინაობის გამხელას უახლოეს დღეებში ელის. იოგის განკარგულებაში ახლა უკვე ყველა ფეხბურთელია, რადგან გუშინ ბუნდესგუნდს **ფილიპ ლამი, ბასტიან შვაინშტაიგერი** და **ჰანს-იორგ ბუტიც** შეუერთდნენ. ჩვენი გერმანელი კოლეგები თითქმის დარწმუნებულები არიან, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე ბუნდესკაპიტანი ფილიპ ლამი იქნება, ხოლო პირველი მეკარე კი შალკელი **მანუელ ნოიერი.**

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვოლფსბურგი



სტივ მაკლარენი ოფიციალურად წარადგინეს

# სტივის პირველი დღე მგლებში

## მაკლარენის მიზნები: ევროპაში დაბრუნება და ჯეკოს შენარჩუნება

**გერმანიის** ექსჩემპიონმა „ვოლფსბურგმა" ოთხშაბათს საღამოს ახალი მთავარი მწვრთნელი **სტივ მაკლარენი** ოფიციალურად წარადგინა. პირველ პრესკონფერენციაზე ინგლისელმა სპეციალისტმა განაცხადა, რომ მას ორი მიზანი აქვს. პირველი: დააბრუნოს „ვოლფსბურგი" ევროტურნირებზე. მეორე: შეინარჩუნოს ბოსნიელი თავდამსხმელი **ედინ ჯეკო**, რომელიც ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირი გახდა და რომელზეც ფაქტობრივად მთელი ევროპა ნადირობს.

*„შარშან ამ დროს „ვოლფსბურგი" გერმანიის ჩემპიონობას ზეიმობდა. წელს კი გუნდი მერვე ადგილზე გავიდა, რაც უდიდესი რეგრესია. აქ იმიტომ ჩამოვედი, რომ გერმანიის ერთ-ერთი ყველაზე ამბიციური კლუბი ევროპაში და მოწინავე პოზიციებზე დავაბრუნო,"* - ასე გახსნა მაკლარენმა პრესკონფერენცია.

ჯერჯერობით უცნობია, თუ როგორი სახე ექნება „ვოლფსბურგს" მომავალ სეზონში და მაკლარენი გერმანიაში სწორედ იმიტომ იმყოფება, რომ კლუბის ხელმძღვანელებთან ერთად შექმნილი ვითარება გააანალიზოს და მომავალი სეზონისთვის კონკრეტული გეგმები ჩამოაყალიბოს.

მაკლარენის ნომერ პირველი ამოცანა გოლეადორ ედინ ჯეკოს შენარჩუნებაა, რომლის ბედს ხან მადრიდის „რეალს" უკავშირებენ, ხან „მილანს", ხან „ინტერს" და ხანაც „იუვენტუსს". ჯეკო 40 მილიონად ფასობს და ფაქტია, რომ „მგლებს" ეს თანხა არ აწყენდათ, მაგრამ მაკლარენს ბოსნიელის შენარჩუნება სურს. *„თუ გვინდა, რომ წარმატებებზე ვიფიქროთ, ჯეკოს დარი ფეხბურთელები აუცილებლად უნდა შევინარჩუნოთ, რადგან ედინი წარმატებების გარანტიაა. ძალიან მინდა, რომ ჯეკო „ვოლფსბურგში" დარჩეს",* - თქვა სტივმა.

მაგრამ კლუბის მენეჯერი **დიტერ ჰიონესი** ჯეკოს გაყიდვას არ გამორიცხავს. ცნობილია, რომ ის მზადაა, გუნდის ნომერ პირველი დამრტყმელი ძალა 40 მილიონად გაყიდოს. მაკლარენი გერმანიაში სამი დღითაა ჩასული და უნდა, რომ ეს დღეები ნაყოფიერად გამოიყენოს. სტივი და ჰიონესი მუდმივად სატრანსფერო გეგმებზე საუბრობენ. „ვოლფსბურგს" მომავალი სეზონისთვის ჯერჯერობით მხოლოდ ერთი ახალწვეული ჰყავს: ახალგაზრდა შვეიცარიელი თავდამსხმელი **ნასიმ ბენ ხალიფა** (18 წლის, ციურიხი), რომელშიც 1.8 მილიონი ევრო გადაიხადეს. „ვოლფსბურგში" გადასვლის კანდიდატებად „ნიურნბერგის" შემტევი ნახევარმცველი **ილქაი გიუნდოგანიც** მოიაზრება. ჰიონესის თქმით, „ვოლფსბურგს" უელსელი ფორვარდი **კრეიგ ბელამი** არ უნდა.

შეგახსენებთ, რომ სტივ მაკლარენმა „ვოლფსბურგს" „ტვენტედან" მას მერე მიაშურა, რაც ეს გუნდი ჰოლანდიაში გააჩემპიონა. სტივი პირველი ინგლისელი მწვრთნელია, რომელიც ბუნდესლიგაში იმუშავებს. *„გერმანული და ინგლისური ფეხბურთის მენტალიტეტები ერთმანეთთან ძალიან ახლოსაა. ისევე, როგორც ინგლისში, ყველაზე მთავარი გერმანიაშიც სათამაშო დისციპლინაა,"* - აღნიშნა მაკლარენმა.

სტივის პრობლემაა ისიც, რომ „ვოლფსბურგის" გამთამაშებელ **ზვიეზდან მიშიმოვიჩს** ევროპის ლიგის გამარჯვებულმა მადრიდის „ატლეტიკომ" დაადგა თვალი. მადრიდელებს მიშიმოვიჩი **სერხიო აგუეროს** შემცვლელად სურთ, რომლის ბედსაც „ჩელსის" უკავშირებენ. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, „ვოლფსბურგის" სასურველ ფეხბურთელთა სიაში ხორვატი **მარიო მანძუკიჩი** (ზაგრები), სერბი **გოიკო კაჩარი** (ჰერტა) და მაკლარენის ყოფილი შეგირდი, **ბრაიან რუისიც** (ტვენტე) არიან.

**გოტფრიდ ლენცი**

ინტერი

# მორატი: უსიამოვნო დღეები გველის

## სნეიდერი ინტერში რჩება

**ვესლი სნეიდერმა** ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ აქტიურად განიხილავდა მადრიდის „რეალში" დაბრუნების პერსპექტივებს. ჰოლანდიელის ამ გამონათქვამს იტალიაში დიდი გამოხმაურება მოჰყვა და ყველამ ჩათვალა, რომ ვესლი **ჟოზე მოურინიოს** სამეფო კლუბში მიჰყავდა. თუმცა, გუშინ სნეიდერი კიდევ ერთხელ წარდგა ჟურნალისტების წინაშე და შემდეგი განაცხადა:

*„მე „ინტერში" ვრჩები და მოვრჩეთ უსაფუძვლო სპეკულაციებს. მილანში თავს შესანიშნავად ვგრძნობ და აქედან არსად წასვლის სურვილი არ მაქვს. ბრწყინვალე სეზონი მქონდა, ყველაფერი მოვიგე, რისი მოგებაც შეიძლებოდა და მინდა, გუნდს ამ ტიტულების შენარჩუნებაში დავეხმარო. მიუხედავად იმისა, რომ იტალიაში დიდი ხანი არაა, რაც ვთამაშობ, შემიძლია ვთქვა, რომ აქ ბევრი რამე ვისწავლე და სხვაგან წასვლის სურვილი არ მაქვს".*

კიდევ ერთხელ შევეხოთ „ინტერის" სამწვრთნელო საკითხს, რადგან დღეს ეს ყველაზე აქტუალური თემაა. **მასიმო მორატის** თქმით, დადგა დრო, როდესაც წინა პლანზე სწორედ ახალი მწვრთნელის მოძიების საკითხმა უნდა წამოიწიოს და უახლოეს მომავალში, ეს საკითხი გადაწყდეს. აი, რას ამბობს მორატი:

*„რამდენიმე დღე მიღწეული ტრიუმფით ვტკბებოდით, თუმცა დადგა დრო, მუშაობის ჩვეულ რეჟიმს დავუბრუნდეთ. წინ უსიამოვნო პროცესი გველის, რასაც ახალი მწვრთნელის არჩევა და მასთან შეთანხმების მიღწევა ჰქვია. სიმართლე გითხრათ, დღეს საამისო განწყობა არ მაქვს, მაგრამ რა გაეწყობა, გუნდს მწვრთნელის გარეშე ვერ დავტოვებთ. კანდიდატებსა და კონკრეტულ გვარებზე საუბარს ნუ მომთხოვთ, რადგან დღეს საინტერესოს ვერაფერს გეტყვით".*

იტალიური პრესის ცნობით, განვლილ დღეებში, გარდა მოპოვებული ტიტულებით ტკბობისა, მორატი იურიდიული საკითხებით გახლდათ დაკავებული. სინიორ მასიმო „რეალის" მესვეურებისგან საკომპენსაციო თანხის მიღებას ითხოვს, რომელიც მადრიდელებმა მოურინიოს წაყვანის სანაცვლოდ უნდა გადაიხადონ. ჟოზეს მილანელებთან 2012 წლამდე ჰქონდა ხელშეკრულება გაფორმებული, რომლის ერთ-ერთი პუნქტის მიხედვით, ჩემპიონთა ლიგის მოგების შემთხვევაში, მისი გაწყვეტა ნებისმიერ დროს შეეძლო. ასეც მოიქცა, მაგრამ მორატი იმის გარკვევას ცდილობს, ეკუთვნის თუ არა ასეთ შემთხვევაში კონპენსაცია. „ინტერის" პრეზიდენტი თურმე 16 მილიონ ევროს ითხოვს და მიიჩნევს, რომ ეს თანხა მადრიდის „რეალმა" უნდა გადაიხადოს. მილანური კლუბის იურისტები ამ საქმით არიან დაკავებულნი და ალბათ, უახლოეს დღეებში „ინტერი" ოფიციალურ პოზიციას დააფიქსირებს.



მასიმო მორატი

**ლაშა ნიკლაური**

რომა

# ადრიანოს უკვე ელოდებიან

**ისეთი** პირი უჩანს, რომ **ადრიანო** კარიერას „რომაში" გააგრძელებს. დიახ, ბრაზილიელ ფორვარდთან „ჯალოროსის" მესვეურები მოლაპარაკების აქტიურ ფაზაში არიან და თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, წარმატებითაც დაასრულებენ. ადრიანო „ფლამენგოში" ასპარეზობს, თუმცა მის ხელშეკრულების ვადა მალე გასდის და თავისუფალი აგენტის სტატუსით, შეუძლია იქ წავიდეს, სადაც მოესურვება.

გახსოვთ ალბათ, ადრიანო „ინტერიდან" სკანდალურად წავიდა - უბრალოდ თქვა, მილანში ველარ ვჩერდებიო და ბრაზილიაში გაემგზავრა. ერთი ხანობა, იმასაც ამბობდა, იტალიაში დამბრუნებელი აღარ ვარო, მაგრამ როგორც ჩანს, დრომ აზრი შეაცვლევინა. ყოველ შემთხვევაში, იტალიელი ჟურნალისტების მტკიცებით, ადრიმ ოჯახის წევრები უკვე გააფრთხილა, ყველაფერი გადაწყვეტილია და რომში მივდივარო. სანამ ამ ინფორმაციას რომელიმე მხარე არ დაადასტურებს, ასე გადაჭრით ვერაფერს ვიტყვით, თუმცა არც იმის საფუძველი გვაქვს, რომ „გაძეტას" არ დავუჯეროთ.

ავტორიტეტული გამოცემის ცნობით, რომაული კლუბის მესვეურებმა ადრიანოს სეზონში 3.5 მილიონი ევრო შესთავაზეს, თუმცა ფორვარდმა ჯამაგირის კიდევ ერთი მილიონით გაზრდა მოითხოვა. აშკარა იყო, რომ სატელეფონო კავშირით გარიგება არ შედგებოდა და დედაქალაქელებმა რიო-დე-ჟანეიროში კლუბის დირექტორთა საბჭოს წევრი **დანიელე პრადე** გაგზავნეს. ვერ გეტყვით, რაზე შეთანხმდნენ პრადე და ადრიანო, მაგრამ ფაქტია, რომ ჟურნალისტთა თქმით, „იმპერატორის" „გამგელება" ფაქტობრივად გადაწყვეტილი ამბავია.

ამასობაში, **მაქს ტონეტო** ტოვებს „რომას" და ამ ამბავს წყალი არ გაუვა. 35 წლის მცველმა ოთხი წელი იასპარეზა დედაქალაქურ კლუბში და გუნდს თავისუფალი აგენტის სტატუსით ეთხოვება. ამის შესახებ განცხადება მისმა პირადმა აგენტმა გაზეთა და იქვე დასძინა, უახლოეს დღეებში წინადადებების განხილვას შევუდგებითო. ამბობენ, ტონეტოს გადაბირება „ლეჩეს" მესვეურებს სურთ და სულ მალე, მოლაპარაკებებსაც წამოიწყებენ. ვნახოთ, გამოცდილი მცველის მიმართ ალბათ კიდევ არაერთი კლუბი გამოიჩენს ინტერესს. გასაკვირია, რომ აქამდე „მილანმა" არ გამოიდო თავი, როგორც წესი, სწორედ „როსონერიში" იყრიან თავს ვეტერანი ფეხბურთელები.

**ლაშა ნიკლაური**

იუვენტუსი

# სრული მხარდაჭერაც და ფულიც

## დელ ნერის სამიზნეში პეპე და კასანი მოხვდნენ



იუვენტუსის ახალი თავები: მწვრთნელი ლუიჯი დელ ნერი და სპორტული დირექტორი ჯუზეპე მაროტა

**ლუიჯი დელ ნერი** „იუვენტუსში" თავისი იდეებით მივიდა, რომლის განხორციელებასაც მეთოდურად შეუდგება. პირველი ეტაპი სატრანსფერო პოლიტიკაა და ამ მიმართულებით, უახლოეს მომავალში უნდა გადაიდგას ნაბიჯები. იტალიელი ჟურნალისტების მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, დელ ნერის უკვე შერჩეული ჰყავს რამდენიმე ფეხბურთელი, რომლის გადაბირებასაც ყველა შემთხვევაში შეეცდება.

ადრეც გაუწყეთ, რომ დელ ნერის მთავარი მიზანი **ჯამპაოლო პაცინის** თავისთან წაყვანაა. ტურინელებსა და გენუელებს შორის უკვე დაწყებულია მოლაპარაკებები, მაგრამ რომ გითხრათ, საქმე გაჩარხვისკენ მიდის-მეთქი, არ ვიქნებით მართალნი. „სამპდორიას" ჩემპიონთა ლიგაში მოუწევს ასპარეზობა და წამყვან ფეხბურთელებს ასე იოლად ნამდვილად ვერ შეელევა. ამბობენ, რომ გენუელები მხოლოდ იმ შემთხვევაში დათმობენ პაცინის, თუ ტურინელები 20 მილიონ ევროს გადაიხდიან და პლუს, „სამპაში" დავიდ ტრეზეგეს გაუშვებენ.

დელ ნერის სიაში პრიორიტეტული ადგილი უკავია **სიმონე პეპესაც**. „უდინეზეს" გარემარბმა პრესასთან საუბარში განაცხადა კიდეც, რომ „ფრიულიზე" ასპარეზობა მოჰბეზრდა და შეთავაზებების მოლოდინშია. პეპეს თურმე „ფიორენტინას" მესვეურები დაუკავშირდნენ და კონკრეტული წინადადება შესთავაზეს, მაგრამ ფეხბურთელი გადაწყვეტილების მიღებას არ ჩქარობს. როგორც ჩანს, კარგად იცის მისით ტურინელების დაინტერესების შესახებ და დელ ნერისგან ზარს ელოდება. „გაძეტა დელო სპორტის" ინფორმაციით, უდინური კლუბის მესვეურები „იუვენტუსთან" თანამშრომლობით არიან დაინტერესებულნი, რადგან ტურინული გრანდიდან რამდენიმე ფეხბურთელის გადაბირება სურთ. შესაბამისად, თუ პეპემ „ბიანკონერის" მიაშურა, „უდინეზეში" ბარტერის სახით შესაძლოა რომელიმე, ან რამდენიმე „იუვენტინო" ჩაირიცხოს. ავტორიტეტული გამოცემის მტკიცებით, ფრიულელები **მარტინ კასერესის** და **პაოლო დე ჩელიეს** გადაბირებით არიან დაინტერესებულნი.

კიდევ ერთი ფეხბურთელი, რომლის გადაბირებაც ლუიჯი დელ ნერის სურს, **მატია კასანი** გახლავთ. „პალერმოს" მცველმა განვლილი სეზონი უმაღლეს დონეზე ჩაატარა და თვით **მარჩელო ლიპის** ყურადღება დაიმსახურა. მატია „აძურას" გაფართოებულ სიაში მოხვდა და სავარაუდოდ, მსოფლიოს ჩემპიონატზე გაემგზავრება. კასანის გადაბირებით, დელ ნერის დაცვის მარჯვენა ფრთაზე არსებული პრობლემის მოგვარება სურს. როგორც ჩანს, ის არც **ჯინათან ძებინას** ენდობა და არც მარტინ კასერესს. კასანისთან განშორება სიცილიელთა ინტერესებში არ უნდა შედიოდეს, მაგრამ თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ **დელიო როსის** ძალიან უნდა **სებასტიან ჯოვინკოს** გადაბირება, გამორიცხული არაფერია. დიახ, კუნძულელები ჯოვინკოს ყიდვით არიან დაინტერესებულნი და თუ ამის საშუალება მიეცათ, წესით, არც ბარტერზე უნდა დაიხიონ უკან. თავის მხრივ, ჯოვინკოსთან განშორების წინააღმდეგი არც ტურინში უნდა იყვნენ. ახალგაზრდა ფორვარდი ვერაფრით გაიხსნა „ვეკია სენიორაში" და მეტწილად, სათადარიგოთა სკამზე უწევს ჯდომა.

სატრანსფერო საკითხებზე საინტერესო კომენტარს აკეთებს „იუვენტუსის" ახალი სპორტული დირექტორი **ჯუზეპე მაროტა**: *„დელ ნერისა და კლუბის მესვეურებს შორის უკვე შედგა შეხვედრა, რომელზეც სატრანსფერო საკითხები განიხილეს. კონკრეტულ ფეხბურთელებზე ვერაფერს მოგახსენებთ, მაგრამ ის, რომ სერიოზული ცვლილებები იგეგმება, შემიძლია დავადასტურო. დელ ნერის თავისი ხედვა აქვს და მის მონახაზში რამდენიმე ფეხბურთელი ვერ ჯდება. ასევე, არის რგოლები, რომელთა გაძლიერება აშკარად საჭიროა. რაც მთავარია, ლუიჯის სრული მხარდაჭერა აქვს და საჭირო თანხები აუცილებლად გამოიყოფა".*

**ლაშა ნიკლაური**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ორი მდიდარი კოული

**ეშლი კოული** ცოლს, პოპვარსკვლავ **შერილ კოულს** ეყრება. უფრო სწორად, ცოლი ეყრება „ჩელსისა“ და ინგლისის ნაკრების განაპირა მცველს და თან შთამბეჭდავ ჟესტს აკეთებს: ოღონდ გამცილდი და შენი პენსიც არ მინდაო - შეუთვალა ქმარს. ასეა, როდესაც ქალი შოუბიზნესშია და თავადაც დიდძალი ფულის პატრონი გახლავთ.

ასე და ამგვარად, შერილს „სუფთა გაყრა“ სურს. მას უნდა რაც შეიძლება მალე მოიშოროს მოღალატე ქმრის აჩრდილი თავიდან და ახალი ცხოვრება დაიწყოს. და კიდევ, მას არ უნდა ფულზე დავითა და დაძაბული სასამართლო პროცესებით ეშლის მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოსვლაში შეუშალოს ხელი. ყველანი ელოდნენ, რომ „გელზ ელაუდის“ სოლისტი 6 მილიონ ფუნტად შეფასებულ ვილას მოითხოვდა, მაგრამ შერილ კოული სხვა მასშტაბის ადამიანი აღმოჩნდა.



შერილ და ეშლი კოულები

როგორც უკვე მოგახსენეთ, ქალმა ვექილებს „სადაც ჯერ არს“ საქმე წამოაწყებინა და სთხოვა რაც შეიძლება მალე მოათავონ ყველაფერი, რადგან ეშლი სადაცაა სამხრეთ აფრიკას უნდა გაემგზავროს. „სანმა“ ოჯახის მავან ახლობელს გამოჰკითხა ყველაფერი: *„შერილმა საოცარი გადაწყვეტილება მიიღო, - თქვა ამ ადამიანმა, - გადაწყვიტა ინგლისის ნაკრების ინტერესი თავისაზე წინ დააყენოს. მისი და ეშლის გაყრის ამბავი 12 ივნისამდე აუცილებლად დასრულდება, 12 ივნისი კი იმითაა მნიშვნელოვანი, რომ ამ დღეს ინგლისის გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატს იწყებს, აშშ-ს ეთამაშება. შერილმა იცის, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე ეშლის გონება სხვა ყველაფრისგან თავისუფალი უნდა ჰქონდეს და მხოლოდ ფეხბურთზე უნდა იფიქროს. მისთვის სამხრეთ აფრიკაში სხვა რამეზე ღელვა შეიძლება ძალიან საზიანო გამოდგეს. მას უნდა ყველაფერი სუფთად მოხდეს, რომ არავის არაფერზე ჰქონდეს სალაპარაკო. შერილს ეშლის ფული არ სჭირდება. ვილასთან დაკავშირებითაც გეტყვით: შერილს ის არაფერში სჭირდება. იგი ამ სახლში იმიტომ გადავიდა, რომ ვილა ეშლის საწვრთნელ ბაზასთან არის ახლოს და ქმარს გაუწია ანგარიში. ეს იყო და ეს“.*

რა მიზეზით ეყრება პოპვარსკვლავი და ინგლისური X-ფაქტორის (ამ შოუს ქართული ანალოგი „ჯეოსტარია“) ჟიურის წევრი მეუღლეს? ოფიციალურ ქაღალდზე, რომელიც შერილ კოულის ადვოკატებმა სასამართლოში ორი დღის წინ შეიტანეს ასე წერია: „გაუმართლებელი საქციელი“, ჩვეულებრივ ენაზე კი ასე ითქმება: „სანმა“ აღმოაჩინა, რომ ქმარი ცოლს ღალატობს და, რასაკვირველია, ამის დამამტკიცებელი საბუთებეი გამოაქვეყნა. ქალმა სწორედ ეს ვერ აიტანა. სხვათა შორის, ვექილები თავად შერილსაც ურჩევდნენ, მსოფლიოს ჩემპიონატის დამთავრებამდე დაეცადა და ქმარს, რომელსაც თებერვლის შემდეგ აღარ შეხვედრია, ივლსში გაყროდა, მაგრამ შერილმა დაიჩემა, რომ ამდენ ხანს ვერ დაელოდება და ყველაფერი მუნდიალამდე უნდა დასრულდეს. როგორც ქალის კიდევ ერთმა ნაცნობმა განაცხადა, ძველებური მდგომარეობა შერილსაც ძალიან უშლის ხელს. ქალს, რომელსაც როგორც „გელზ ელაუდის“ სოლისტს 5 მილიონი ფუნტი აქვს ნაშოვნი, ხოლო X-ფაქტორთან 1,5 მილიონიანი კონრტაქტი აკავშირებს, უნდა ერთხელ და სამუდამოდ დაშორდეს წარსულს.

**ილია ბაბუნაშვილი**



ბრუკლინ ბექჰემი

# ბრუკლინ დევიდოვიჩი

**კ**ვიცი გვარზე ხტისო - **დევიდ ბექჰემს** ალბათ ძალიან გაუხარდებოდა მისი 11 წლის ვაჟის **ბრუკლინის** ფოტოების ნახვა. და მთავარი შესაძლოა ის კი არ არის, რომ ბიჭმა ცხოვრებაში პირველად გაიარა სელებრითებისთვის დაგებულ წითელ ხალიჩაზე, არამედ ის, თუ როგორ გააკეთა ეს - ზუსტად მამისნაირად. ეს ამბავი ლოს ანჯელესში LG Fashion Touch-ის საღამოზე მოხდა. როგორც გავლა-გამოვლის საქმეებში ჭიპმოჭრილი ჟურნალისტები წერენ, ბავშვმა, რომელსაც მამიკოს მსგავსად პერანგი ცალ მხარეს ამოჩაჩული ჰქონდა, ნერვიულობის მიუხედავად, იუმორის გრძნობაც კი გამოამჟღავნაო.

წითელ ხალიჩასთან ბრუკლინ ბექჰემი, რასაკვირველია, დედიკომ, **ვიქტორია ადამს-ბექჰემმა** მიიყვანა და ზედ ფეხის შედგმის წინ გაამხნევა კიდეც. თუმცა ნუ იფიქრებთ, რომ 36 წლის პოშმა შვილის დებიუტის გამო ქართველი დედასავით ყველაფერი დაივიწყა და მხოლოდ გვერდიდან შესციცინებდა თავის პირმშოს. ვიქტორიამ, რასაკვირველია კარგად იცის, რომ პოდიუმებსა და წითელ ხალიჩებზე გავლის საქმეში პირველობა მისია და ამჯერადაც ახალი ვარცხნილობით წარდგა ლოს ანჯელესის პუბლიკის წინაშე - ინგლისის ნაკრების დაშავებული ვარსკვლავისა და ახლა უკვე **ფაბიო კაპელოს** ერთ-ერთი თანაშემწის ცოლი ხომ ყოველ გამოჩენაზე გარეგნობის ან ჩაცმულობის შეცვლითაა ცნობილი. საკუთრივ დევიდმა კი, როგორც მოგახსენეთ, რამდენიმე დღის წინ ავღანეთში ბრიტანელი ჯარისკაცები მოინახულა და გაამხნევა.

**ილია ბაბუნაშვილი**


გაიხსნა
სპორტლენდი სპორტ ბარი
& ბუკმეკერები



სპორტლენდი–
სპორტ ბარი & ბუკმეკერები
დიდი სპორტის & აზარტის
ატმოსფერო,

13 დიდი ეკრანი –
პლაზმური და LSD
ტელევიზორები,

ექსკლუზიური სატელიტური
სისტემა,

სატელიტური არხები:
ESPN America,
Fox Sports და Sky Sports,

10 სხვადასხვა თამაშის
ერთდროულად ტრანსლაცია

ფსონის დადება შესაძლებელია
თამაშის მსვლელობის დროსაც!

უგემრიელესი ბარ მენიუ.

„კაზინო აჭარაში“

დამატებითი ინფორმაციისათვის და დაჯავშნისათვის დარეკეთ: (+995 32) 33 44 76

26 მაისის მოედანი №1

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული სპორტი

### ცხენოსნობა

მსოფლიო თასის ეტაპი. კავკასიის ლიგა



შალვა გაჩეჩილაძე

# ბრიტანელი და გერმანელი მხედრები თბილისის იპოდრომზე

„მსოფლიო თასის ეტაპი, კავკასიის ლიგა" — ასე ჰქვია შეჯიბრებას, რომელიც ცხენოსნობის საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით ტარდება და, როგორც შარშან, წლეულსაც თბილისმა უმასპინძლა. პროგრამა მოიცავს მხოლოდ დაბრკოლებათა გადალახვას ახალგაზრდა და ძირითადი ცხენებისთვის, ბოლოს კი თამაშდება გრან-პრი. საპრიზო ფონდი 45 ათასი აშშ დოლარია, რომელიც სამივე პროგრამაზე შესაბამისად ასე ნაწილდება: 10, 15, 25 ათასი.

თბილისის იპოდრომზე მხოლოდ საქართველოს და აზერბაიჯანის ცხენმხედრებმა იასპარეზეს კავკასიიდან, ერთი მხედარი ბრიტანელი იყო (აზერბაიჯანის მერნით გამოდიოდა), ერთიც — გერმანელი (საქართველოს ცხენით). ოღონდ ეგაა, უცხოელებს ფულადი პრიზის მიღების უფლება არ ჰქონდათ, ქულებს კი თანაბრად ინაწილებდნენ ცხენ-მხედრის ქვეყნები. თუ რას მიაღწიეს, ამას ტექნიკურ შედეგებში ნახავთ. მანამდე კი ვიტყვიით, რომ აზერბაიჯანელებმა მთავარი პრიზის — გრან-პრის მოგებით კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ ცხენებიც ჩინებული ჰყავთ და ცხენოსნებიც.

**კვარცხლბეკი (24-26 მაისი)**

**კონკური №1. ორ ფაზად ახალგაზრდა ცხენებით**

1. შალვა გაჩეჩილაძე (საქართველო, ცხენი „ალი")
2. სარდარ ალიბალაევი (აზერბაიჯანი, „ასფა")
3. გიორგი ქანთარია (საქართველო, „გევა")

**კონკური №2. ორ ფაზად. ძირითადი ცხენებით**

1. კრისტოფერ ფრეიზერი (დიდი ბრიტანეთი, ცხენი „როდრიგო" — აზერბაიჯანი)
2. დაუდ ვილი (გერმანია, ცხენი „კონდრად დე ლუკე" — საქართველო)
3. სევიდ მუსაევი (აზერბაიჯანი, ცხენი „ნაბაბ დე ლემერკი")

**კონკური №3. ახალგაზრდა ცხენებით**

1. შალვა გაჩეჩილაძე (საქართველო, „ალი")
2. შალვა გაჩეჩილაძე (საქართველო, „გალატეია")
3. გიორგი სამხარაძე („საქართველო, „ელ-პერილი")

**კონკური №4. შეჯიბრება მზარდი სირთულით „ჯოკერი"**

1. რაშიდ სამედოვი (აზერბაიჯანი, „მაია")
2. დაუდ ვილი (გერმანია, „კონდრად დე ლუკე"- საქართველო)
3. რაშიდ სამედოვი (აზერბაიჯანი, „არკო ვან ერკანტი")

**კონკური №5. ფინალი ახალგაზრდა ცხენებისთვის**

1. შალვა გაჩეჩილაძე (საქართველო, „გალატეია")
2. გიორგი სამხარაძე (საქართველო, „ელ-პერილი")
3. გახემ მამედოვი (აზერბაიჯანი, „კარმელინა")

**კონკური №6. გრან-პრი**

1. კრისტოფერ ფრეიზერი (დიდი ბრიტანეთი, „კატკა" — აზერბაიჯანი)
2. რაშიდ სამედოვი (აზერბაიჯანი, „მაია")
3. რახიბ ისმაილოვი (აზერბაიჯანი, „კონკორდი")

გამარჯვებული გამოვლინდა დამატებით ხტომებში ფრეიზერსა და სამედოვს შორის. შეგახსენებთ, შარშან გრან-პრი თბილისში შალვა გაჩეჩილაძემ მოიგო.

**თორნიკე გაჩეჩილაძე**

### წყალბურთი

# ორი შეხვედრა მოიგეს

დნეპროძერჟინსკში გრძელდება 1992-1994 წლებში დაბადებულ წყალბურთელთა უკრაინის ღია პირველობა, რომელშიც 10 გუნდი მონაწილეობს, მათ შორის — საქართველოს ნაკრები (ფავლინიშვილი, ჩიქვინიძე, ხუციშვილი, დავითური, ცანკაშვილი, სხილაძე, ქართველიშვილი, კერესელიძე, ურუშაძე, ქარჩალაძე, გოჩიტაშვილი, გელაშვილი, შუბლაძე) რევაზ ჩომახიძის ხელმძღვანელობით.

როგორც გაუწყეთ, პირველ მატჩში ჩვენები მარიუპოლის „ილიჩევეცს" დაუზავდნენ (4:4), მომდევნო ორი შეხვედრა კი მოიგეს: ჯერ ოდესელ თანატოლებს აჯობეს - 9:7, შემდეგ კი დნეპროპეტროვსკელები დაამარცხეს - 15:13.

მეორე-მესამე ტურის დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: ხარკოვი (1)-კიშინიოვის „დელფინი" 7:19, სევასტოპოლი-„ილიჩევეცი" 8:12, ხარკოვის ოლქი-დნეპროპეტროვსკი 15:7, „ილიჩევეცი"-ხარკოვის ოლქი 12:8, ლვოვი-ხარკოვი (1) 13:9, ოდესა-სევასტოპოლი -14:5.

**ვაჟა დანელია**

### ჭადრაკი

# მაია ჩიბურდანიძის თასზე

თბილისის ჭადრაკის სასახლეში დაიწყო ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონის მაია ჩიბურდანიძის სახელობის თასის მეორე გათამაშება, რომლის საპრიზო ფონდი 32 ათასი ლარია. შეჯიბრებაზე, რომელიც 3 ივნისს დამთავრდება, შვეიცარიული სისტემით 9 ტური გათამაშდება. თითოეულ მოჭადრაკეს პარტიის ბოლომდე ეძლევა 90 წუთი თითოეულ სვლაზე 30 წამის დამატებით. ორგანიზატორები არიან საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია და ჭადრაკის განვითარების ფონდი. ტურნირის გამარჯვებული ჩიბურდანიძის თასთან ერთად 7 ათას ლარს მიიღებს. მეორეადგილოსანი 5000 ლარით დაჯილდოვდება, მესამე ადგილზე გასული — 4000 ლარით. სულ ფულად პრიზებს 15 საუკეთესო დაიმსახურებს. ასევე, დიდი თანხა შეხვდებათ მოჭადრაკეებს სხვადასხვა ნომინაციაში.

ტურნირზე უკვე გათამაშდა ორი ტურის პარტიები. უდანაკარგოდ შევიდი დიდოსტატი და საერთაშორისო ოსტატი დაწინაურდა. ესენი არიან, სლოვენიის სახელით მოასპარეზე **ანა მუზიჩუკი, მაკა ფურცელაძე, ბელა ხოტენაშვილი, მერი არაბიძე, სოფიკო გურამიშვილი, მირანდა მიქაძე** და **სოფიო ნიკოლაძე**, რომლებმაც გუშინ, შესაბამისად, **სოფიო ტყეშელაშვილი, ანა გავაშელი, ხაიალა ისკანდაროვა** (აზერბაიჯანი), **სალომე ხაჟომია, საბინა იბრაჰიმოვა** (აზერბაიჯანი), **თამარ ხმიადაშვილი** და **ნინო ხურციძე** დაამარცხეს. დაზავდნენ: **ინგა ხურცილავა-ლელა ჯავახიშვილი, სალომე მელია-ნარგიზ უმუდოვა, სოფიო გვეტაძე-მარიამ დანელია, სოფიო ტერელაძე-ინგა ქარხალაშვილი, ალექსანდრა ვახანია-ნინო ბაციაშვილი...**

დღეს მესამე ტურში ითამაშებენ: ფურცელაძე-მუზიჩუკი, ხოტენაშვილი-გურამიშვილი, არაბიძე-მიქაძე, ჯავახიშვილი-ნიკოლაძე, დანელია-მელია, უმუდოვა-ხუხაშვილი, ბენიძე-გვეტაძე, ქარხალაშვილი-ვახანია, ბაციაშვილი-ჯალაბაძე, მამადოვა-ტერელაძე, გოგიშვილი-ხურცილავა...

# ჯობავას წვლილით

გალელმა დიდოსტატმა **ბადურ ჯობავამ** შარშან თბილისის მერიის თასის გათამაშებაში პირველი ადგილი დაიკავა, წლეულს კი მსგავს შეჯიბრებაში ვერ იასპარეზა, რადგან კონტრაქტით იმ დროს უკრაინის საკლუბო ჩემპიონატზე იმყოფებოდა. ალუშტაში 12-მა გუნდმა მოიყარა თავი. ქართველი მოჭადრაკე ჩერნიგოვის *а дан дзо*-ს სპორტულ ღირსებას იცავდა. ბადურმა და მისმა თანაგუნდელებმა შესანიშნავად ითამაშეს - 11 ტურიდან მხოლოდ მეორე ადგილზე გასულ როვნოელებს დაუზავდნენ (3:3), დანარჩენი შეხვედრები მოიგეს და 21 (56) ქულით კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ. ჯობავამ პირველ დაფაზე ექვსი ორთაბრძოლიდან ორი **(მოისეენკო, არეშჩენკო)** ყაიმით დაამთავრა, ოთხი მეტოქე **(კუზნეცოვი, სავოპულო, დემკოვიჩი, შარაპოვი)** დაამარცხა და გუნდს 5 ქულა შესძინა.

ვიცე-ჩემპიონმა 20 (48) ქულა მოაგროვა. ხარკოვის ?ურიდიული აკადემია 19 (52,5) ქულით ბრინჯაოს დასჯერდა.

**ვაჟა დანელია**



ბადურ ჯობავა

### ძიუდო

# პორიზონტზე სან პაულუს გამოჩნდა

## მადრიდში ოლიმპიური ჩემპიონებით

ქართულ ძიუდოში მოვლენები ელვის უსწრაფესად იცვლება. საბედნიეროდ, დადებითად! ჯერ იყო და, რიო-დე-ჟანეიროს „დიდ მუზარადზე" გამოსვლა ამოიღეს კალენდრიდან და მის ნაცვლად გუნდი ტუნისის „დიდ პრიზზე" გამოვიდა, თუმცა ქართველების გარეშე ბრაზილიურ ტურნირს მაინც არ ჩაუვლია - იქ სამკაცა გუნდმა იჭიდავა, ახლა კი გაირკვა, რომ ჩვენები სან-პაულუს მსოფლიოს თასზეც გამოვლენ. არადა, ეს შეჯიბრება ნაკრების წლევანდელ კალენდარში საერთოდ არ განიხილებოდა! იქაც იგივე სამეული გამოვა, რომელმაც წინა უქმეებზე რიო-დე-ჟანეიროში იჭიდავა - **დავით ქევხიშვილი** (81), **ვალერი ლიპარტელიანი** (90), **ლომერ ჟორჟოლიანი** (100). ისინი მწვრთნელ **გურამ მოდებაძესთან** ერთად შეჯიბრების შემდეგ რიოში ერთობლივ ვარჯიშებზე დარჩნენ და სწორედ იქ გადაწყვიტეს სან-პაულუში გამოსვლა, თორემ თავიდან ეს არც იგეგმებოდა. შესაბამისად, ტურნირში ჩართვა ექსტრემალურად მოუხდათ - სამშობლოში დასაბრუნებელი ბილეთები ადგილზე გადაცვალეს და სანაცვლოდ სან-პაულუს რეისზე გადაბარგდნენ. ამ ამბის დაზუსტება თბილისში ცოტა გაგვიჭირდა - ურთიერთგამომრიცხავი პასუხები მოვისმინეთ, თუმცა გადაჭრით ვერავინ ვერაფერს ამბობდა . ითქვა ისიც, რომ შესაძლოა, სან-პაულუში სამივე არ გამოსულიყო. ამის საპირისპიროდ ფედერაციაში გვითხრეს, თუ გამოვლენ, ან ყველანი ერთად, ან არც ერთი იჭიდავებს და ერთობლივი შეკრების დამთავრებისთანავე სამშობლოში დაბრუნდებიანო. ამ გაურკვევლობაში ყოფნას ისევ ბრაზილიაში დარეკვა ვამჯობინეთ და რაკი ყველაზე ადრე ლიპარტელიანის იქაური ტელეფონი გავიგეთ, მას შევეხმიანეთ. თანაც სწორედ იმ დროს, როცა ბილეთების გადასაცვლელად რიგში იდგნენ. ლიპარტელიანმა დაგვიდასტურა, რომ სან-პაულუში სამივე მათგანი იჭიდავებდა, თუმცა ჯერ ქევხიშვილის საკითხი საბოლოოდ გარკვეული არა არის. მას რიო-დე-ჟანეიროში ხელი უტკენია და პრობლემაც ესაა - მანამდე თუ მოასწრო მორჩენა, მაშინ მსოფლიოს თასზეც გამოვა. აი, ლიპარტელიანის და ჟორჟოლიანის ჭიდაობა კი გადაწყვეტილია. ლიპარტელიანი ერთობლივი შეკრებით ფრიად კმაყოფილია და გვითხრა, რომ კარგად იტვირთება და კარგი მომზადება გაიარა. თურმე ვარჯიშებზე უკლებლივ ყველა ნაკრები დარჩენილა, რის გამოც ჩინებულ სპარინგებს გადის. მას იმაზეც დავეკითხეთ, გადაღლილი ხომ არაა და ხომ არ აჯობებდა, ახლა დაესვენა. მოგეხსენებათ, ევროპის ჩემპიონატზე მოპოვებული ვერცხლის მედლის შემდეგ ის ჯერ თბილისში დაბრუნდა, მერე კი გერმანიაში გაფრინდა ბუნდესლიგაში საჭიდაოდ, სადაც „ესლინგენის" ღირსებას იცავს. იქ მან ორი შეხვედრაც ჩაატარა, თან ტუნისშიც გაფრინდა და რიოშიც გერმანიიდან გაემგზავრა. ამას ისიც დაემატა, რომ გზაში კბილი ასტკივდა... კითხვაზე ლიპარტელიანმა გვიპასუხა, რომ რაკი ამხელა გზაზე ჩამოვიდა, ბარემ ამ ერთ შეჯიბრებასაც იჭიდავებს და მერე დაისვენებს. თან, სან-პაულუში წარმატების შემთხვევაში სალიცენზიო რეიტინგში გვარიან ფორას მიიღებს და მონაწილეობის ერთი უმთავრესი მიზეზი ესეცაა.

შეგახსენებთ, რომ სან-პაულუს ტურნირი 29-30 მაისს გაიმართება, რიოსი კი წინა უქმეებზე ჩატარდა. იქ ლიპარტელიანმა და ჟორჟოლიანმა ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს, ქევხიშვილი კი მეხუთეზე გავიდა. ძალიან კარგია, ჩვენები ერთობლივ ვარჯიშებზე რომ დარჩნენ. ეგ კი არა, ვფიქრობთ, აჯობებდა, ტუნისშიც დარჩენილიყვნენ და მეორე კვირას ქაიროს მსოფლიოს თასზეც ეჭიდავათ...

რაც შეეხება ძირითად ნაკრებს, 5-6 ივნისს ის მადრიდის მსოფლიოს თასზე იჭიდავებს. იქ წასაყვანი შემადგენლობა ძირითადად ცნობილია, მაგრამ ჯერ საბოლოო გადაწყვეტილება არაა მიღებული, ანუ ქვემოთ წარმოდგენილ გუნდში ცვლილებები მოსალოდნელია. ამ ეტაპზე ცნობილია, რომ მადრიდში მიდიან **დავით ასუმბანი, ბეთქილ შუკვანი, ამირან პაპინაშვილი** (სამივე - 60), **შალვა ქარდავა, პაატა მერებაშვილი, უჩა ხუციშვილი, ალექსანდრე იაკობაშვილი** (66), **ნუგზარ ტატალაშვილი, დავით კობერიძე** (73), **საბა გავაშელიშვილი, მინდია ბოდაველი** (90), **ზურაბ ზვიადაური, ირაკლი ცირეკიძე** (100), **ლაშა გუჯეჯიანი, ზვიად ხანჯალიაშვილი, ადამ ოქრუაშვილი** (+100). ნაკრები ესპანეთში 4 ივნისს გაფრინდება, მანამდე კი სავარაუდოდ, ცვლილებები მოხდება, თუმცა ხალხის გამოკლებაზე მეტად დამატებაა მოსალოდნელი.

როგორც ვხედავთ, 81-ში მონაწილე არ გვყავს. ნაკრების თავკაცი **ამირან ტოტიკაშვილი ლევან წიკლაურს** 3-4 ივლისს გასამართავი მოსკოვის „დიდი მუზარადისთვის" ინახავს. ჯერ მსოფლიოს პირველობაზე წასაყვან შემადგენლობაზე ლაპარაკი ძალზე ადრეა, მაგრამ ამ გადაწყვეტილებით აშკარაა - მწვრთნელი მას ტოკიოსთვის ინახავს. აქ ამჟამად ევროპის შარშანდელი ბრინჯაოს პრიზიორი და წლევანდელი მეხუთეადგილოსანი წიკლაური ისედაც უკონკურენციოა და, ჯერ ხომ ისედაც ფავორიტია, მსოფლიოს წლევანდელ პირველობაზე წონაში ერთი ქვეყნიდან ორი მონაწილეა დაშვებული. ტოტიკაშვილს მადრიდში ახალგაზრდებში ევროპის შარშანდელი მესამე პრიზიორის **ავთანდილ ჭრიკიშვილის** წაყვანა სურდა, მაგრამ მან შაბათს ახალგაზრდების საქართველოს ჩემპიონატზე უნდა იჭიდაოს და ესპანეთში ამიტომ ვერ მიდის.

დანარჩენთაგან გამოვარჩევთ 20 და 23-წლამდელ ახალგაზრდებში ევროპის შარშანდელ ჩემპიონ მერებაშვილს - ტოტიკაშვილმა დაგვიდასტურა, რომ ის საბოლოოდ გადმოვიდა 66-ში, რადგან 65 კილოგრამს იწონის და წონის დაკლება ძალიან უჭირდა. ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ იქნებ მისი დასვენება აჯობებდა, რადგან შარშან სეზონის მიწურულს გადაღლილი ჩანდა და 23-წლიანების ევროპირველობაზე გამარჯვების შემდეგ ყველა შეჯიბრება ჩააგდო.

წარმოდგენილი შემადგენლობიდან ასევე საინტერესოა ზვიადაურისა და ცირეკიძის პერსონები - მადრიდში ორივეს წარმატებას ვუსურვებთ, მაგრამ, რომც ვერ იმარჯვონ, განა რამდენ მწვრთნელს ან გუნდს ეყოლება ერთად ორი ოლიმპიური ჩემპიონი!

ბოლოს, ახალგაზრდების საქართველოს ჩემპიონატზეც ვთქვათ, რომელიც 28-29 მაისს შოთა ჩოჩიშვილის სახელობის დილმის ძიუდოს აკადემიაში გაიმართება. როგორც ახალგაზრდულის თავკაცმა, ოლიმპიურმა პრიზიორმა **სოსო ლიპარტელიანმა** გვითხრა, ტურნირში უკლებლივ ყველა ლიდერი გამოვა, რადგან ეს ევროპისა და მსოფლიოს პირველობებისთვის შესარჩევი შეჯიბრებაა. მწვრთნელი მხოლოდ ახალგაზრდებში მსოფლიოს შარშანდელ ბრინჯაოსმედალოსან **ლაშა ზურაბიანს** ათავისუფლებს, რომელსაც ავადმყოფობის გამო ბოლო დღეები გაუცდენია. ეს ტურნირი შარშანდელი შემადგენლობიდან კიდევ რამდენიმე ლიდერს მოისაკლისებს (მაგალითად, იგივე მერებაშვილს, ტატალაშვილს), ოღონდ მათ სულ სხვა მიზეზით - ასაკის გამო დაამთავრეს ამ ნაკრებში გამოსვლა და ეროვნულში გადაინაცვლეს. სამაგიეროდ, ჭრიკიშვილი, ახალგაზრდებში მსოფლიოს შარშანდელი ვიცე-ჩემპიონი არჩილ შინჯიკაშვილი და სხვები იჭიდავებენ. პარასკევს ტატამზე 60, 66 და 73 წონითი კატეგორიების ფალავნებს ვიხილავთ, დანარჩენები კი მეორე დღეს იასპარეზებენ.

**ირაკლი თავაძე**

## კალათბურთი

*საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები*

# უსტიაშვილის ნაცვლად ბერუაშვილი



მიხეილ ბერუაშვილი (მარცხნივ) და დავით უსტიაშვილი

2009 წლის ზაფხულში ჩატარებული B დივიზიონის მატჩების შემდეგ კალათბურთის ფედერაციამ ყველა ასაკობრივი ნაკრების თავკაცს ნდობა გამოუცხადა და გუნდების 2010 წლისთვის მომზადება დაავალა.

თუმცა ახლახან ერთი ცვლილება მაინც განხორციელდა - 20-წლამდელთა მთავარი მწვრთნელი **დავით უსტიაშვილი** მთლიანად ეროვნულ ნაკრებზე გადაერთვება და ახალგაზრდულში მის ადგილს **მიხეილ ბერუაშვილი** დაიკავებს. შეგახსენებთ, რომ ბერუაშვილი შარშან სწორედ უსტიაშვილის ასისტენტად მუშაობდა, 2009-10 წლების სეზონში კი მთავარ მწვრთნელად დაინიშნა „ენერჯიში" და გუნდს ჩემპიონობა მოაპოვებინა.

მწვრთნელთა ცვლილების მიზეზი ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **მერაბ რატიშვილმა** გვითხრა:

*- ახალგაზრდული ნაკრებიდან გათავისუფლება თავად დავით უსტიაშვილმა გვთხოვა, რადგან იგი ეროვნულის თავკაცის, იგორ კოკოშკოვის მთავარი ასისტენტია და შეკრებებისას სერბი სპეციალისტის გვერდით უნდა იყოს.*

დავით უსტიაშვილმა დასძინა:

*- წლეულს ეროვნული ნაკრების მატჩები აგვისტოში იმართება. ამიტომ შეკრება ივლისის დასაწყისში იწყება. ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი სწორედ ივლისშია, 14-დან 24-მდე გასტანს. ამის გათვალისწინებით, საჭიროდ ჩავთვალე მთლიანად პირველ ნაკრებზე გადართვა.*

14 ივლისს ჯგუფური ეტაპის პირველ მატჩში საქართველო უნგრეთს დაუპირისპირდება. მადიარების გარდა ჩვენს ჯგუფში ისრაელი და შვედეთი ითამაშებენ. A დივიზიონის საგზურისთვის ბრძოლას საუკეთესო სამეული განაგრძობს.

მიხეილ ბერუაშვილს 20-წლამდელთა ნაკრებში **ზაზა გაბისონია** დაეხმარება.

**ვაჟა სიმონიშვილი**

*საქართველოს თასი. ფინალი. ქალები*

# თასით თსუ-ს

სპორტის სასახლე, 25 მაისი

**თსუ-ზესტაფონი 68:60**

**თსუ:** ფრანკი, ფუტკარაძე (22), გელოვანი, ძმისტარიშვილი, კაკულია (1), კიკაბიძე, რამიშვილი (1), სიდამონიძე (4), აბულაძე (29), ცხადაია (8), გოგოლაშვილი, ნიქორიძე (3)

**ზესტაფონი:** კვირიკაძე (1), სვიანაძე, შენგელია (2), იორაშვილი (9), მოდებაძე, ხუსკივაძე (14), მეტრეველი, სირბილაძე (12), გრიგალაშვილი, მანჩხაშვილი (22), მოდებაძე, კუპატაძე

ქალთა შორის საქართველოს თასის გათამაშება პირველად 2003 წელს ჩატარდა. მას მერე ამ საპატიო ჯილდოს ერთი მფლობელი ჰყავს – თსუ.

თასის წლევანდელ ფინალში ჩემპიონატის პირველ და მეორე ადგილებზე გასულმა გუნდებმა ითამაშეს. შეგახსენებთ, რომ პირველი იყო თსუ, მეორე - „ზესტაფონი". ფინალი საინტერესო გამოდგა. პირველი მეოთხედი თანაბრად ჩამთავრდა, მეორეში კი თსუ-მ სოლიდური უპირატესობა მოიპოვა. ზესტაფონელები არ დანებდნენ, ტემპს უმატეს და ზუსტადაც ისროდნენ. **თამუნა მანჩხაშვილმა** შორი დისტანციიდან რამდენიმე სამქულიანი ჩააგდო და ბოლო მეოთხედში ზესტაფონელები დაწინაურდნენ კიდეც - 58:57.

გადამწყვეტ მომენტში თსუ-ს ლიდერმა **ნათია აბულაძემ** დამაჯერებლად ითამაშა, მას თანაგუნდელებიც დაეხმარნენ და თასი სტუდენტებს დარჩათ. მატჩის საუკეთესო მოთამაშე აბულაძე საბოლოოდ 29 ქულას გამორჩა.

ასე და ამგვარად, **ელდარ კაპანაძის** გუნდმა წლეულს დუბლი შეასრულა - ჩემპიონატი და თასი მოიგო. თასის ფინალის დასრულების შემდეგ უნივერსიტეტის რექტორი **გიორგი ხუბუა** მოედანზე ჩავიდა და სტუდენტებს გამარჯვება მიულოცა.

**ვაჟა სიმონიშვილი**

## ჩოგბურთი

# ქვარტეტის მოულოდნელი მარცხი

იტალიის ქალაქ გრადოს საერთაშორისო ტურნირში მცირე საპრიზო ფონდის (25 ათასი დოლარი) ძალზე ძლიერი შემადგენლობა შეიკრიბა. საკმარისია ითქვას, რომ ათზე მეტმა ჩოგბურთელმა ძალები როლან გაროსის საკვალიფიკაციო ბადეში სცადა იტალიაში ჩამოსვლამდე, მათ შორის ორი ჩვენებურიცაა - მე-6 ნომრად განთესილი **ანა ტატიშვილი** (152) და მე-7 ნომრად განთესილი **ოქსანა კალაშნიკოვა** (161). ანამ უკვე ითამაშა პირველ წრეში, მან 21 წლის ჩინელ **ინ-ინ ლუს** (260) ორ სეტში იოლად აჯობა - 6:3, 6:2. ოქსანა კალაშნიკოვას პირველი მეტოქე 16 წლის სლოვაკი **იანა ჩეპელოვაა** (862), საკვალიფიკაციო ბადის გამარჯვებული. წესით, ჩვენებურს არ უნდა გაუჭირდეს გამარჯვება. ოქსანა კალაშნიკოვამ უკვე წააგო წყვილთა ბადეში, სადაც პოლონელ **მაგდალენა კიშჩინსკასთან** (163 წყვილებში) ერთად პირველ ნომრად იყო განთესილი. მათ ხორვატიულ დუეტთან (**ანი მიაჩიკა, ანა ვრლიჩი**) დათმეს - 2:6, 2:6. ანა ტატიშვილისა და ავსტრალიელი **ჯესიკა მურის** (277) მე-2 ნომრად განთესილი წყვილი კი წინ მიიწევს - მათ იტალიელებს (**მარტინა დი ჯუზეპე, ანა-ჯულია რემონდინა**) იოლად მოუგეს - 6:1, 6:0. მეოთხედფინალში ქართულ-ავსტრალიურ გუნდს უკვე სერიოზული მოწინააღმდეგეები ელის, იტალიელი **ანა ფლორისი** (146) და რუსი **ელენა ბოვინა** (190).

თურქეთის ქალაქ იზმირში დაიწყო საერთაშორისო ტურნირი, რომლის საპრიზო ფონდიც გრადოს შეჯიბრების ანალოგიურია, თუმცა შემადგენლობით იტალიურს ჩამორჩება. თურქეთში ოთხი ჩვენებური იყო ძირითად ბადეში და ოთხივემ წააგო! **სოფიო შაფათავა** (348) შვეიცარიელ **ამრა სადიკოვიჩთან** (370) დამარცხდა - 4:6, 2:6. **ეკა გორგოძემ** (518) კი მოუგო „მშრალად" პირველი სეტი მე-8 ნომრად განთესილ იტალიელ **ჯულია გატო-მონტიკონეს** (308), მაგრამ მერე უპირატესობა სრულად გაანიავა - 6:0, 4:6, 0:6. **სოფიო ქვაცაბაიამ** (443) ვერაფერი დაუპირისპირა ერთ დროს მსოფლიოს 35-ე ჩოგან ავსტრიელ **ტამირა პაშეკს** (324) - 0:6, 3:6, ხოლო **მანანა შაფაქიძემ** (387) მე-2 ნომრად განთესილ გერმანელ **სარა გრონერტთან** (249) წააგო - 4:6, 6:4, 3:6. გორგოძისა და შაფათავას მე-2 ნომრად განთესილი წყვილიც პირველივე წრეში დამარცხდა ბრაზილიელ **ალვეშთან** და ავსტრიელ პაშეკთან - 1:6, 4:6. წინ მხოლოდ ქვაცაბაია და შაფაქიძე მიიწევენ, რომელთაც რუსი **არტამანოვა** და დანიელი **ბარბატი** დაამარცხეს - 1:6, 6:4, 10:4.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

*მიმომხილველის სვეტი*

# 11 და 13

„ვიკიპედიაში" ვკითხულობთ - სვეტი არის საგაზეთო პუბლიკაცია, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს სამ კრიტერიუმს:

**1. უნდა ქვეყნდებოდეს რეგულარულად**

**2. მართავდეს მხოლოდ ავტორი**

**3. გამოთქმული იყოს ავტორის მოსაზრებები**

ჩვენც კვირაში ერთხელ შემოგთავაზებთ საკალათბურთო კვირეულში მომხდარი ამბების ანალიზს. ვეცდებით, გავარკვიოთ, ესა თუ ის მოვლენა საპლანეტთაშორისო მნიშვნელობისა იყო თუ...

■ ■ ■

რადგან ჯერჯერობით პლანეტთაშორისი საკალათბურთო ჩემპიონატი არ იმართება (რამდენი უცხოპლანეტელიც აღმოაჩინეს, ყველა ძალიან დაბალი გამოდგა), ჩვენთვის საკაცობრიო მნიშვნელობისა ეროვნული ნაკრები და მისი წევრები არიან.

**გიორგი შერმადინსა და ვლადიმერ ბოისას** ფინალში გასასვლელად სამ-სამი ნახევარფინალური მატჩის ჩატარება დასჭირდათ. მესამე თამაშებში მათ 2-2 ქულა ჩააგდეს. გიორგიმ ასე ცოტა იმიტომ მოინაგრა, რომ მხოლოდ 2 წუთი ათამაშეს, ხოლო ბოისამ იმიტომ, რომ გამოცდილია, ჭკვიანია და ესმის: როცა სხვა თანაგუნდელს თამაში მისდის, აუცილებელია მისი ხელშეწყობა - ვოვას „ცედევიტასთან" ბოლო მატჩში თამაშიდან ერთხელაც არ უსვრია (ორი საჯარიმო გამოიყენა). „ზადარს" ფინალში „ციბონა" ელის. ვნახოთ, ვინ გახდება ხორვატიის...

ხორვატია, გაზაფხული... ბუნდოვნად მახსოვს... უფრო სწორად, ციფრებით მახსოვს: 2004 წელს ხორვატიის ქალაქ სისაკში საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა საოცრება მოახდინა - ფინეთთან მატჩის ბოლო 100 წამში 12:0 გაქცევა მოაწყო და 72:69 მოიგო. ქართველთა მე-11 ნომერმა სპურტისას 10 ქულა ჩააგდო, ხოლო მეცამეტემ მატჩს წერტილი ორი საჯარიმოთი დაუსვა. სისაკის შესარჩევ ეტაპზე საუკეთესო კალათბურთელად ქართველი მე-11 ნომერი დასახელდა, ტურნირის სნაიპერი კი იტალიელი **მარკო ბელინელი** გახდა.

მანამდე 11 და 13 ერთმანეთის მოწინააღმდეგეები ფიბას თასის ფინალში უნდა ყოფილიყვნენ: „მიტელდოიჩერმა" „დიჟონს" 84:64 მოუგო, მაგრამ მხოლოდ „დოიჩერის" ქართველმა ითამაშა (13 ქულა ჩააგდო). დიჟონელი ჩვენიანი მწვრთნელმა მოედანზე არ გაიყვანა. იმ მატჩში ახალგაზრდული ნაკრების მე-11 ნომერსაც და მე-13-საც 4-ნომრიანი მაისურები ეცვათ.

მას მერე 5 წელი გავიდა და ეს ორი ქართველი ერთმანეთს იტალიურ „სამოქალაქო ომში" გადაეყარა. ერთი „კანტუს" ღირსებას იცავს, მეორე - „ვირტუსის". მკითხველი უკვე მიხვდებოდა, რომ ლაპარაკია **მანუჩარ მარკოიშვილსა და ვიქტორ სანიკიძეზე**. 24 მაისს იტალიის ჩემპიონატის მესამე მეოთხედფინალური მატჩი ქართველთათვის ისტორიული მნიშვნელობისა იყო: „კანტუს" ხვიჩასავით მანუ მიუძღოდა, „ვირტუსს" გოჩასავით - სანიკიძე. მარკოიშვილმა გადამწყვეტ მომენტში სამი სამქულიანი ჩააგდო, საპასუხოდ ვიქტორმა ორი სამიანი და არაერთი მოხსნა მიითვალა. საბოლოოდ, მანუჩარმა 23 ქულა მოაგროვა, ხოლო სანიკიძემ - 12 ქულა და 10 მოხსნა. ვინ გაიმარჯვა, ამას მნიშვნელობა არ აქვს. მოგება და წაგება ხომ ძმები არიან. მით უმეტეს, როცა ერთმანეთის წინააღმდეგ მეგობრები თამაშობენ...

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მე-11 და მე-13 ნომრები ევროპულ კალათბურთში ფონს რომ შექმნიდნენ, 2004 წელსვე ეტყობოდათ. ეს ვარაუდი 24 მაისს...

24 მაისს **ნიკოლოზ დერიუგინმა** ლამაზი პასით მოძებნა **ვახტანგ ნაცვლიშვილი** და ვატომაც საქართველოს ნაკრების ისტორიაში პირველი ოფიციალური ქულა ჩააგდო. საინტერესოა, რომ ნაკრებში ვატო მე-13 ნომრით თამაშობდა, ხოლო დერიუგინი - მე-11-თი. სწორედ 24 მაისს (1995 წელს) შედგა საქართველოს ნაკრების პირველი ოფიციალური მატჩი - ბირმინგემში პოლონეთთან 68:91 წავაგეთ.

...2010 წლის 2 აგვისტოს პოლონეთს თბილისში ვეთამაშებით.

**ვაჟა სიმონიშვილი**

## მშვილდოსნობა

# ლიდერის არყოფნამ იმოქმედა

იტალიურ როვერეტოში გუშინ მშვილდოსანთა ევროპის ჩემპიონატი დაიწყო, გაიმართა საკვალიფიკაციო ეტაპი და გაირკვნენ პლეი ოფის მონაწილენი როგორც პირად, ასევე გუნდურ პირველობაში.

ლიდერის - **ხათუნა ნარიმანიძის** არყოფნაში ჩვენები საკმაოდ სუსტად გამოვიდნენ. ნარიმანიძე წამყვანი მსროლელია და წინასწარ ვიცოდით, რომ მისი შედეგები გუნდურში ძალიან დაგვაკლდებოდა, მაგრამ ცუდი ისაა, რომ ნაკრების მეორე ლიდერმა - **ქრისტინე ესებუამ** თავისი შესაძლებლობები სრულად ვერ გამოავლინა. მართალია, ის ჩვენი სამეულიდან საუკეთესო იყო, მაგრამ 586 ქულით 70 მონაწილეს შორის 43-ე ადგილზე გავიდა, რაც მისი პოტენციის მქონე სპორტსმენისთვის ვერ არის კარგი შედეგი. **ასმათ დიასამიძემ** 577 ქულა დააგროვა და 50-ზე აღმოჩნდა, ნაკრების დებიუტანტი, ნარიმანიძის შეგირდი **ნათია ცინცაძე** კი 573 ქულით 55-ეა.

პლეი ოფში ესებუა შედარებით უცნობ ესპანელ **გემა ბუიტრონს** ხვდება, რომელმაც საკვალიფიკაციო ტურნირი 22-ე ადგილზე დაასრულა. დიასამიძე მეთხუთმეტეზე გასულ იტალიელ **ჯესიკა ტომასს** შეხვდება, ცინცაძე - გამოცდილ და ძლიერ რუს **ნატალია ერდენიევას**, ვინაც შესარჩევი მეათემ ჩაამთავრა.

გუნდურ ჩათვლაში ჩვენს ნაკრებს 1736 ქულა დაუგროვდა, რაც მეთოთხმეტე შედეგი აღმოჩნდა. ჩვენები მათ წინ მყოფ შვეიცარიელებს 22 ქულით ჩამორჩნენ. პლეი ოფის პირველივე წრეში ქართველთა მეტოქე იტალიის ძლიერი ნაკრებია, რომელშიც მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი **ნატალია ვალეევა** და საკმაოდ ძლიერი **პია კარმენ-ლიონეტი** გამოდიან. ჩვენებმა წლეულს ერთხელ უკვე წააგეს იტალიელებთან - მარტში ხორვატიულ პორეჩში, ევროპის ზამთრის პირველობაზე. ამ მარცხის მიუხედავად, მაშინ **თამაზ ფუტკარაძის** შეგირდებმა ბრინჯაოს მედლები მაინც მოიპოვეს. იმ ტურნირზე იტალიელთა გუნდი უძლიერესი შემადგენლობით გამოდიოდა - ამ დუეტთან ერთად **ელენა ტონეტაც** ისროდა, ახლა კი მის ნაცვლად დიასამიძის მეტოქე ჯესიკა ტომასი გამოდის.

პირად პირველობაში პლეი ოფები დღეს გაიმართება და გამოვლინდებიან ნახევარფინალისტები. ხვალ ეს უკვე გუნდურში მოხდება, ფინალური შეხვედრები კი ორივეგან ზეგ ჩატარდება.

ამის შემდეგ ჩვენი მშვილდოსნების უმთავრესი საზრუნავი 7-11 ივნისს ანთალიაში გასამართავი მსოფლიოს „დიდი პრიზია", სადაც ჩვენი ახალგაზრდული ნაკრებიც უნდა გამოვიდეს.

**ირაკლი თავაძე**

## ნარდი



მარცხნიდან: კახა ნაჭყებია, ბეჟან ხურციძე და კახა ფანქველაშვილი

# კარგაძემ კარგად გააგორა

**გია კარგაძემ** 1974 წელს თანატოლთა შორის საკავშირო პირველობა მოიგო თავისუფალ ჭიდაობაში, 1981 წელს „შევარდენის" შემადგენლობაში მორაგბეთა საკავშირო ახალგაზრდული პირველობის ოქროს მედალი დაიმსახურა, სამი წლის წინ კი ნარდის სამყაროს დაუკავშირდა და შარშან გრძელ ნარდში საქართველოს პირველობაზე ყველას აჯობა. გუშინაც ანალოგიურ წარმატებას მიაღწია: საქართველოს დამოუკიდებლობისადმი მიძღვნილ ქვეყნის ღია ჩემპიონატში, რომლის ორგანიზატორები იყვნენ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი, ეროვნული ფედერაცია „სპორტი ყველასათვის" და ნარდის ასოციაცია, გია კარგაძემ ნახევარფინალში ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშეს, ეროვნული ჩემპიონატების სამგზის ფინალისტს, მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულსა და პრიზიორს, გუნდურში მსოფლიოს ორგზის ვიცე-ჩემპიონს, საქართველოს მონარდეთა ნაკრების კაპიტან **კახა ნაჭყებიას** სძლია, ხოლო გადამწყვეტ პაექრობაში დიდი უპირატესობით დაამარცხა (7:1) **კიმი თაბუკაშვილი** და ოქროს მედალთან ერთად „ოქროს კამათლებიც" დაიმსახურა.

საერთაშორისო წესებით გამართულ შეჯიბრებაში ასეთივე ჯილდოების მფლობელი გახდა ცნობილი ბიზნესმენი და ექიმი **კახა ფანქველაშვილი**, რომელიც წლების განმავლობაში საერთაშორისო ორგანიზაციებში მუშაობდა და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მონარდეთა ქვეყნის ჩემპიონატში პირველად იასპარეზა. ნახევარფინალში მან **კარენ სარქისიანი** დაჯაბნა, დაძაბულ ფინალურ ორთაბრძოლაში კი სეხნია კახა ნაჭყებიას აჯობა - 15:13. მესამე ადგილები სარქისიანსა და **გოჩა ჭოხონელიძეს** ხვდათ.

ქართულ მოკლე ნარდში ვაჟთა შორის უძლიერესი იყო... **ლალი ქაჯაია**. მან გადამწყვეტი შეხვედრა ოსტატებში მსოფლიოს ჩემპიონ **ვალერიან თორელს** მოუგო - 7:5 და პირველი პრიზი დაისაკუთრა. **ტარიელ ნებულიშვილი** და **კახა ფანქველაშვილი** მესამე ადგილებს დასჯერდნენ. ქალებში პირველობა არავის დაუთმო **თამილა სიხარულიძემ**. დასკვნით მატჩში მან **ნაირა მუშკუდიანი** დაამარცხა — 7:6. ბრინჯაო **ლამზირა კობერიძესა** და **ეკა ზალიკიანს** ერგოთ.

კონსულტაციებით წყვილთა შეჯიბრებაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. **თამაზ გიორგობიანი, ზაზა კაპანაძე**, 2. **თემურ ქურციკიძე, ვახტანგ ცხადაძე.**

გამარჯვებულები და პრიზიორები პარლამენტის წევრმა **ბეჟან ხურციძემ** და ნარდის ასოციაციის პრეზიდენტმა **თემურ ქურციკიძემ** დააჯილდოეს.

ქართველი მონარდეები 11-18 ივლისს მონტე-კარლოში მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოვლენ, 1-5 აგვისტოს კი თბილისში გოგი ბუკიას ხსოვნის საერთაშორისო ტურნირში იასპარეზებენ.

**ვაჟა დანელია**

ავტორის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ზე 14

# ბოლო სიმბოლური: ყველაზე მეტი მომავალი ჩემპიონიდან?



ვიქტორ მეტფილდის ლელო

ზე 14-ის გათამაშების ფინალში შაბათს ჩემპიონი, პრეტორიის „ბლუ ბულზი“ კეიპთაუნის „სთორმერზს“ დაუპირისპირდება. ნახევარფინალური მატჩები ორივე გუნდმა დამაჯერებლად მოიგო, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ წლევანდელ ბოლო, სიმბოლურ ნაკრებში მხოლოდ სამხრეთაფრიკელები იქნებიან.

საუკეთესოთა შორის ჩემპიონის რვა წარმომადგენლის შეყვანა სავსებით ლოგიკურია. თუმცა ცუდად არც ზე 14-ის მრავალგზის ჩემპიონ „კრუსეიდერზს“ უთამაშია და ამიტომ საუკეთესოთა შორის ოთხი ახალზელანდიელიც მოხვდა. დარჩენილი სამი ვაკანსია კი სთორმერზელებმა შეავსეს.

**15. ზან კირშნერი (ბლუ ბულზი):** მას აქვს მოედნის კარგი ხედვა, რაც თამაშის ნაკითხვას უადვილებს. კირშნერი სწრაფია და ბრწყინვალედ თამაშობს ფეხით. ნახევარფინალში ულამაზესი ლელო გაიტანა, რისთვისაც ყველა ზემოთ ნახსენები თვისება გამოავლინა. კირშნერმა ამ ლელოთი, ფაქტობრივად, მატჩის ბედი გადაწყვიტა.

**14. შეან მიტლენდი (კრუსეიდერზი):** ის ერთ-ერთი ყველაზე მუშა უკანახაზელია „კრუსეიდერზის“ შემადგენლობაში. მიტლენდს წლეულს მშვენიერი სეზონი ჰქონდა, ბევრი იმუშავა და კომპლიმენტიც მრავლად დაიმსახურა. თუმცა ეს ავანსია და შეანს უახლოეს პერიოდში მისი გამართლება მართებს.

**13. ჟაკ ფური (სთორმერზი):** როცა ბურთს იღებს, ვერასდროს მიხვდები, რას გააკეთებს. ფურის ილეთების არსენალი საკმაოდ მრავალფეროვანია და უდიდესი ფიზიკური ძალის გარდა მახვილგონივრული გადაწყვეტილებებით გამოირჩევა. ის მსოფლიოს საუკეთესო შუამარბია.

**12. ჟუან დე იონგი (სთორმერზი):** მისი ლელო ერთადერთი ნათელი წერტილი იყო „სთორმერზისა“ და „ვორათაზის“ ნახევარფინალურ დაპირისპირებაში. დე იონგმა უზადოდ ითამაშა დაცვაშიც. ის უნივერსალია და ერთნაირად კარგად შეუძლია ითამაშოს უკანა ხაზში თითქმის ყველა პოზიციაზე.

**11. ფრანსუა ჰაუხარდი (ბლუ ბულზი):** ის ქრაისთჩერჩელებს დიდხანს, ძალიან დიდხანს ეხსომებათ. ჰაუხარდი „კრუსეიდერზს“ გამუდმებით პრობლემებს უქმნიდა, მისი შეჩერება ახალზელანდიელებმა ვერაფრით შეძლეს. ფრანსუა მთელი სეზონის განმავლობაში ისე აქტიურად, თავდადებით გაისარჯა, რომ შეიძლება, ზე 14-ის გათამაშების წლევანდელ სიმბოლურ ნაკრებშიც მოხვდეს.

**10. მორნი სტეინი (ბლუ ბულზი):** ის ჩვეულად თავდაჯერებული, შეუდრეკელი იყო. სტეინი საკმაოდ გაწონასწორებული, ნაკლებად ემოციური მოთამაშეა, რაც საშუალებას აძლევს, კარში დარტყმისას მაქსიმალურად კონცენტრირებული იყოს. მან ფეხჩუბინობა ნახევარფინალშიც გამოავლინა. ცხრა დარტყმიდან რვამ მიზანს უწია. მორნი ასევე კარგი იყო შეტევების ორგანიზებისას, რაც ისედაც მისი უშუალო მოვალეობაა.

სტეინს კონკურენციას სთორმერზელი **პიტერ გრანტი** უწევდა, რომელმაც კარში დარტყმებით 20 ქულას მოუყარა თავი. (ექვსი საჯარიმო და ერთი გარდასახვა).

**9. ფური დუ პრი (ბლუ ბულზი):** მისი ყველა ქმედება ნახევარფინალურ მატჩში მიზანმიმართული, გამოზომილი და უზადო იყო. დუ პრიმ დაამტკიცა, რომ მსოფლიოში ცხრა ნომრის პოზიციაზე ბადალი არ ჰყავს. „ბლუ ბულზის“ ვიცეკაპიტანმა თავისი ბრწყინვალება გადამწყვეტ მომენტში გამოავლინა, როცა მეტოქეს შერკინებიდან გაეპარა და გამარჯვების ლელო გაიტანა.

**8. პიერ სპისი (ბლუ ბულზი):** ის „ორლანდო სთედიუმზე“ საუკეთესო იყო. სპისი მთელი მატჩის განმავლობაში „ცეცხლს აფრქვევდა“, რითაც საკმაოდ მრისხანე მეტოქეს შიშის ზარს სცემდა. პიერმა დაამტკიცა, რომ მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო რვა ნომრად ტყუილად არ იხსენიებენ.

**7. რიჩი მაკქოუ (კრუსეიდერზი):** როგორც ყოველთვის, ის ამჯერადაც ლიდერის თვისებებით გამოირჩა. მაკქოუ ყოველთვის იყო შეუპოვარი, თავდადებული მებრძოლი და ამ რენომესთვის მას არც ამჯერად უღალატია.

რიჩის მიერ გატანილმა ძალისმიერმა ლელომ კრუსეიდერზელები ოდნავ გამოაცოცხლა, მათ გამარჯვების იმედი ჩაუსახა. თუმცა მეტის გაკეთება მაკქოუმ ველარ შეძლო, მას მხარი ვერავინ აუბა.

**6. სხალკ ბურხერი (სთორმერზი):** ის თანაგუნდელებისთვის, და არა მარტო მათთვის, ყოველთვის სამაგალითოა. ბურხერის ბოჭვები ქომაგებს აღაფრთოვანებს. მას შანსი აქვს, მეორედ გახდეს ზე 14-ის გათამაშების გამარჯვებული.

**5. ვიქტორ მეტფილდი (ბლუ ბულზი):** ის ერთადერთი სამხრეთაფრიკელი კაპიტანია, რომელსაც შეუძლია, ზე 14 ზედიზედ ორჯერ მოიგოს. მეტფილდი მთელი სეზონი ისე თამაშობდა, თითქოს ძალებს გადამწყვეტი ბრძოლისთვის ინახავდა. ალბათ, ასეც იქნება - ის ფინალში მთელი ელვარებით გაიბრწყინებს.

**4. ბრედ თორნი (კრუსეიდერზი):** ის მოედანზე ყველაზე ხანდაზმული იყო, თუმცა თორნის გამოცდილება და ოსტატობა საკმარისი არ აღმოჩნდა შინ ტრიუმფით დასაბრუნებლად.

**3. ვერნ კრუხერი (ბლუ ბულზი):** ჯიუტი მთაკაცი, რომელსაც ერთი ნაბიჯითაც არ დაუხევია უკან ორთაბრძოლებში. კრუხერი საუკეთესო იყო სტატიკაში და არც დინამიკურ თამაშში ჩამორჩა თანაგუნდელ მარცხენა ბურჯ **ხურთ სტენკამპს.**

**2. პაულუ ტიი (კრუსეიდერზი):** ის ძალიან ეფექტურად გაისარჯა „ბლუ ბულზთან“ მატჩში. ზე 14-ში საუკეთესო შერკინებასთან მეტოქეობისას სულაც არ იკარგებოდა. პირიქით, ღია თამაშში ძალიან აქტიური იყო და არც შერკინებისას უთმობდა მეტოქეს რამეს.

**1. ხურთ სტენკამპი (ბლუ ბულზი):** ის „ბლუ ბულზისთვის“ ტიტანურად შრომობს. სტენკამპი კარიერაში საუკეთესო ფორმაშია და საკმაოდ შთამბეჭდავ სეზონს ატარებს.



ჟაკ ფური

● IRB-ს ერთა თასი



ბურთით სერჯო პარისე

# იტალიის A ნაკრებს სერჯო პარისე ამზადებს

საქართველოს ნაკრები 15 ივნისს ბუქარესტში IRB-ს ერთა თასის გათამაშებაში იტალიის A ნაკრებს დაუპირისპირდება. იტალიელთა მწვრთნელმა **ჯანლუკა გუიდიმ** საწვრთნელ შეკრებაზე, რომელიც 3 ივნისიდან ტრევიზოში გაიმართება, 30 მორაგბეს უხმო. „სკუადრა აძურას“ თავკაცი მათგან 26 მორაგბეს შეარჩევს და ბუქარესტში იახლებს.

აღსანიშნავია, რომ საწვრთნელ შეკრებაზე საგანგებოდ მიიწვიეს იტალიური რაგბის ვარსკვლავი, რვა ნომერი **სერჯო პარისე,** რომელიც მოთამაშეებს საკუთარ გამოცდილებას გაუზიარებს. შეგახსენებთ, რომ პარისეს იტალიის ნაკრებში 67 კეპი აქვს მოპოვებული.

ჯანლუკა გუიდიმ იტალიის A ნაკრებში რამდენიმე გამოცდილ მორაგბეს უხმო. პირველ ხაზს შერკინების კვაჭი **კარლო ფესტუჩა** (მეტრო რასინგი) გააძლიერებს. მას ეროვნულ ნაკრებში 47 კეპი აქვს მოხვეჭილი.

მეორე ხაზში იტალიელები 14 კეპის მფლობელ **ვალერიო ბერნაბოს** დაგვიპირისპირებენ. მესამე ხაზში ლიდერი **სილვიო ორლანდო** იქნება, რომელსაც ასევე 14 კეპი აქვს. გუიდიმ საკმაოდ ძლიერი მორაგბეები „დაითანხმა“ A ნაკრების ათი ნომრის პოზიციაზე თამაშზე: **ანდრეა მარკატო** (16 კეპი) და **ლუჩანო ორკერა** (14 კეპი).

იტალიის A ნაკრებში ამჟამად გამოძახებულთა შორის ეროვნულ ნაკრებში სულ 16 მორაგბეს აქვს ნათამაშები.

### იტალიის A ნაკრები

**პირველი ხაზი:** დარიო კისტოლინი (პარმა), ანდრეა დე მარკი (როვიგო), პედრო დი სანტო (ბენეტონი), მასიმილიანო ნავალე (როვიგო), კარლო ფესტუჩა (მეტრო რასინგი), დავიდე ჯიაზონი (პარმა), ფრანკო სზარალინი (ბენეტონი)

**მეორე ხაზი:** ვალერიო ბერნაბო (რომა), ჯოშუა ფურნო (ვიადანა), ანტონიო პავანელო (ბენეტონი), ტომაზო რეატო (როვიგო), მანტვიდას ტვერაგა (პარმა)

**მესამე ხაზი:** რობერტ ბარბიერი (ბენეტონი), იაკო ერასმუსი (ვიადანა), სიმონე ფავარო, ფრანჩესკო მინტო (ორივე-პარმა), სილვიო ორლანდო (ბენეტონი)

**№9:** ფაბიო ზემენცატო (ბენეტონი), მაიკლ ვილსონი (ვიადანა)

**№10:** ანდრეა მარკატო (ბენეტონი), ლუჩანო ორკერა (ბრივი);

**№12-13:** ალბერტო კიეზა (პრატო), ენრიკო პატრიციო (პადოვა), ანდრეა პრატიკეტი (როვიგო), ალბერტო სგარბი (ბენეტონი)

**№11-14:** ტომაზო ბენვენუტი (ბენეტონი), დენის მაისტორივიჩი (ნოჩეტო), სამუელ პაჩე (ვიადანა), რიკარდო პავანი (პარმა)

**№15:** რობერტო კუარტაროლი (პარმა)

● ტესტები

# ექვსი ევროპელი ბოკეს შემადგენლობაში

სამხრეთი აფრიკის ნაკრები ივნისის ტესტებს კარდიფში, „მილენიუმზე“ უელსთან მატჩით გახსნის. „სპრინბოკის“ მწვრთნელმა **პიტერ დე ფილიერსმა** ეროვნულ გუნდში ძირითადის რამდენიმე მოთამაშე არ გამოიძახა.

უელსის ნაკრებთან არ ითამაშებენ **ბრაიან ჰაბანა, ჟაკ ფური** (ორივე-სთორმერზი), **ვიქტორ მეტფილდი** და **მორნი სტეინი** (ორივე-ბლუ ბულზი), რომლებსაც შაბათს ზე 14-ის გათამაშების ფინალში უწევთ თამაში და ნაკრების მწვრთნელმა დასვენების საშუალება მისცა.

დე ფილიერსი თავის გამოჩენის საშუალებას ევროპაში მოთამაშე ექვს მორაგბეს აძლევს. ესენია: **ფრანსუა სტეინი** (მეტრო რასინგი), **იან დე ფილიერსი** (მანსტერი), **ბუჩ ჯეიმზი** (ბასი), **ჯო ფან ნიკერკი** (ტულონი), **ბი ჯეი ბოთა** (ალსტერი) და **სი ჯეი ფან დერ ლინდე** (ლენსტერი).

„უელსის ნაკრები ძლიერი გუნდია და საკმაოდ ძნელი თამაში გვექნება. რამდენიმე მოთამაშეს დასვენების საშუალება მივეცით. გვინდა, საქმეში სხვებიც ვნახოთ. პრობლემა ის არის, რომ ამ შემადგენლობით გუნდს ერთად არასდროს უთამაშია,“ - თქვა სამხრეთაფრიკელთა თავკაცმა პიტერ დე ფილიერსმა.

### სამხრეთი აფრიკის ნაკრები

15. ფრანსუა სტეინი (მეტრო რასინგი), 14. ჟო ეფლონი (სთორმერზი), 13. იან დე ფილიერსი (მანსტერი), 12. ბუჩ ჯეიმზი (ბასი), 11. ოდვა ნდუნგანე (ნატალ შარქსი), 10. რუან პინარი (ნატალ შარქსი), 9. რიკი იანუარი (სთორმერზი).

1. სი ჯეი ფან დერ ლინდე (ლენსტერი), 2. ჯონ სმიტი (ნატალ შარქსი), 3. ბი ჯეი ბოთა (ალსტერი), 4. დენი როსუ (ბლუ ბულზი), 5. ანდრეას ბეკერი (სთორმერზი), 6. ფრანსუა ლოუ (სთორმერზი), 7. დუვალ პოტხიტერი (ბლუ ბულზი), 8. ჯო ფან ნიკერკი

16. ჩილიბოი რელეპელე (ბლუ ბილზი), 17. იან დუ პლესი (ნატალ შარქსი), 18. ალისტერ ჰარგრეივსი (ნატალ შარქსი), 19. რაიან კანკოვსკი (ნატალ შარქსი), 20. მეიერ ბოსმანი (ჩიტაზი), იან დე იონგი (სთორმერზი), 22. ბიორნ ბესონი (ჩიტაზი)

გვერდი მოამზადა

ბესიკ ჯანგავაძემ

www.sport.gov.ge



ლელო წარმოგიდგენთ

# ქართული სპორტის ქრონიკები

ფესვები

## სპორტი რუსთაველის ეპოქის საქართველოში

გაგრძელება. დასაწყისი ლელო № 104 (13 092). 6.05.2010

ᲙᲐᲨᲔᲗᲘᲡ ციხეზე მისვლის დროს წინასწარ თათბირზე, ტარიელსა და ავთანდილს ფრიდონი ასეთ რჩევას აძლევს:

„ჩემსა სიმცროსა გამზრდელნი
სამუშაითოდ მზრდიდიან,
მასწავლეს მათი საქმენი,
მახლტუნებდიან, მწვრთნიდიან.
ასრე გავიდი საბელსა,
რომ თვალნი ვერ მომკიდიან,
ვინცა ჭვრეტდიან ყმაწვილნი,
იგიცა ინატრიდიან".

მაგრამ, ამას გარდა, საჭიროა ციხის ბურჯზე საგდებელის შეტყორცნა, რათა ადვილი გახდეს ჯერ ზედ ასვლა, მერე კი თოკზე გავლით ციხის შიგნით ჩასვლა და ჩახტომა. როგორც ირკვევა, საგდებელის ტყორცნაც ცალკე სპორტულ ცოდნას მოითხოვდა. ფრიდონი ტარიელსა და ავთანდილს ეუბნება:

„ან ვინცა ვიცით უკეთე
შეტყორცნა საგდებელისა,
მან ერთსა ბურჯსა გარდავგდოთ
წვერი საბლისა გრძლისა.
მასზედა გავლა ასრე მიჩნს,
ვითა გარბენა ველისა".

XIII საუკუნის ქართველი ისტორიკოსი ჟამთააღმწერელი თავის შესანიშნავ თხზულებაში იხსენიებს მისივე ეპოქის გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწეს — სადუნ მანკაბერდელს, რომელიც ჭაბუკობაში თითქმის მთელ აღმოსავლეთში სახელგანთქმული ფალავანი ყოფილა. მისი სამშობლო საქართველოს ერთ-ერთი მხარე თუ ადგილი მანკაბერდი უნდა ყოფილიყო. აქედან წარმოდგა მისი გვარი მანკაბერდელიც. ჟამთააღმწერელი მანკაბერდელს მორკინალს უწოდებს, ეს ტერმინი გამოხატავს მოჭიდავეს. „შერკინება", „მორკინალი", ეს წმინდა ქართული ტერმინებია, ქართული სპორტის ისტორიაში ხმარებული.

ისტორიკოსი სადუნ მანკაბერდელზე ამბობს, რომ იგი იყო „კაცი ბრძენი და გონიერი, და კეთილ-განმზრახავი, და ჰაეროვანი, ძალითა ფრიად ძლიერი და მორკინალი, რჩეული საჩინო, და მოისარი ხელოვანი" (ქართლის ცხოვრება, ტ.II, გვ. 237).

სადუნი, როგორც სხვა წყაროებიდანაც ირკვევა, მეტად ტანადი, ახოვანი, მოხდენილი, ძლიერი, ღონიერი, გამბედავი მოჭიდავე და მოასპარეზე მშვილდოსანი ყოფილა. მას მფარველობდნენ საქართველოს მეფე დავითი, საქართველოს დედოფალი გვანცა, რაჭის ერისთავის ასული.

ერთხელ ქართველთა მეფე ბრძოლიდან გამარჯვებული დაბრუნდა, მოედანზე მარტო ჯარი, რომელიც ასიათასს აღწევდა, ძლივს ეტეოდა. ხალხმრავლობა ხომ სხვა იყო. მრავალ ასპარეზობაში გამარჯვებული სადუნ მანკაბერდელი მეფესთან მივიდა და მოახსენა: „ვინათაგან მოგცა თქვენ ღმერთმან ძლევა-ყოველთა მტერთა, და ყოველთა კაცთა უმჯობესად გამოგაჩინა, და აწ აქა არს მხედარი ასიათასი, ვინცა მერკინების ანუ ისართა განვასრევთ, მზა ვარ".

სადუნმა ასპარეზობაში (ჭიდაობა, თუ ისართა სროლა) ყველანი გამოიწვია, ვისაც კი თავის გამოჩენა შეეძლო, თუმცა სწორუპოვარ ფალავანთან შეჯიბრება არც ისე ადვილი იყო, ამპარტავანი და ტანით ძლიერი ქართველები მაინც გამოვიდნენ სადუნთან ბრძოლაში. სადუნმა ყველას სძლია ჭიდაობასა და თუ ისრის სროლაშიც და გამარჯვებული გამოვიდა. ისტორიკოსი ამაზე შენიშნავს: „და არავინ იპოვა (მეფემ — ვ.ს.) მსგავსი მორკინალი მისი, და ვინც იპოვა ყოველთა სძლო".

ქართველი ფალავნის სახელი შორს გაიჭრა — თვით მონღოლეთამდეც კი. ამით თურმე დაინტერესდა მონღოლთა ყაენი მანგუ, რომელმაც ბრძანა, მის ქვეყანაში მოენახათ ყველაზე ძლიერი მოჭიდავე. მართლაც მონახეს გოლიათი აღნაგობის მონღოლი ფალავანი, რომლის მსგავსი არათუ მონღოლეთში, არამედ დაპყრობილ ქვეყნებშიაც არ მოიპოვებოდა.

ძველი სომეხი ისტორიკოსი გრიგოლ აკანეცი მოგვითხრობს სადუნ მანკაბერდელისა და მონღოლი მოჭიდავის, მანგუ ყაენის ფალავნის შერკინების ამბავს.

ისტორიკოსი გადმოგვცემს, რომ მანგუ ყაენთან ერთი მუღალის (მონღოლთა) ტომის კაცი მივიდა. ეს კაცი შესახედავად საშინელი, მაღალი ტანის, მხარბეჭიანი იყო, კისერი კამეჩისა ჰქონდა, ხელები უხეში, როგორც დათვის თათები. ყოველდღე თითო ცხვარს სჭამდა. იგი მანგუ ყაენმა გამოგზავნა თავის ძმასთან ჰულაგუ ყაენთან (ჰულაგუს დაპყრობილი ჰქონდა და განაგებდა ირანსა და თითქმის მთელ კავკასიას), თან წერილი და ძვირფასი კაცის კაბა გამოატანა. მას თან ახლდა ელჩი. წერილში ეწერა: „თუ იქნება შენს ქვეყანაში რომელიმე მორკინალი, რომ ამას წააქცევს, ის შემოსე ამ კაბით, ხოლო თუ ჩემი მორკინალი წააქცევს შენსას, მაშინ ეგ შემოსე ამ კაბით და დიდი ელჩის თანხლებით უკან გამომიგზავნე".

**ვახტანგ სიდამონიძის**
წიგნიდან „ქართულ
ასპარეზობათა ქრონიკები"

დასასრული იქნება

მართვე 35

## მართვე 35 წლისაა



ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ჟურნალ-გაზეთების ეპოქაში ახალ გამოცემას მზის სინათლე რომ ეხილა, თითქმის შეუძლებელი იყო. ხშირად ამიტომაც ამბობდნენ: ყოველ ქართულ ნაბეჭდ ფურცელს ერისთვის დიდი მნიშვნელობა აქვსო. ცხადია, არაპოლიტიკური, მაგრამ ეროვნული ქართული გამოცემა იგულისხმებოდა. და აი, ამ დროს დაიბადა ქართული სპორტული ჟურნალის იდეა. საკითხის პირდაპირ დასმა უაზრობა იყო, შემოვლითი გზა კი ჟურნალ „სკოლა და ცხოვრებაზე" გადიოდა. მაშინ ამ ჟურნალს, მოსკოვის ნებართვით, სასკოლო საგნობრივი დამატებები ჰქონდა და მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის ეგიდით ასეთი დამატების, ფაქტობრივად, სპორტული ჟურნალის გამოცემას წინ აღარაფერი უნდა დასდგომოდა. მით უმეტეს, ძალიან იყვნენ მონადინებულები საქართველოს განათლების მაშინდელი მინისტრი **ოთარ ქინქლაძე** და მისი მოადგილე **ნუგზარ ფოფხაძე**. სწორედ ნუგზარმა მიიყვანა საქმე ბოლომდე და, რამდენადაც მახსოვს, ჟურნალის სახელიც — „მართვე" სწორედ მან მოიფიქრა. მოსკოვიდანაც მოვიდა თანხმობა. ეს იყო 1974 წლის შემოდგომა. ნუგზარ ფოფხაძეს შერჩეული ჰყავდა სალერძო ტანდემიც — რედაქტორი **არჩილ გოგელია**, მოადგილე — **თენგიზ გაჩეჩილაძე**. არჩილმა ცნობილი მხატვარი **ვახტანგ რურუა** მოიწვია, დაგვემატნენ **გიორგი ქორქია, ცისანა ნიკოლაიშვილი, რაიმონდ (რეზო) მაჭავარიანი, ნოდარ გუგუშვილი, ნანა კვარაცხელია,** შემოვიკრიბეთ საუკეთესო ავტორები.

პირველი ნომერი 1975 წლის პირველ კვარტალში გამოვიდა და მალე გახდა პოპულარული, ტირაჟმა 35 ათასს მიაღწია.

ყველა აღნიშნავდა, რომ „მართვე" იყო ახალი სიტყვა საერთოდ ჟურნალისტიკაში და ეს არ იყო მხოლოდ შინაარსობრივ მხარეზე მინიშნება, გაოცებას იწვევდა მხატვრული გაფორმების ნოვაცია, რაც ვახტანგ რურუას ნიჭით იყო დაღდასმული. ვახტანგმა დიდი წვლილი შეიტანა აგრეთვე ახალი რუბრიკების დამკვიდრებასა და გრაფიკულ გაფორმებაში.

„მართვეს" პოპულარობას მოჰყვა ამავე სახელის საკალათბურთო გუნდის ჩამოყალიბება, დაფუძნდა სპორტული საზოგადოება „მართვე", **ანზორ ერქომაიშვილმა** ჩამოაყალიბა ანსამბლი „მართვე" და ა.შ.

1979 წლამდე ჟურნალს არჩილ გოგელია რედაქტორობდა, 1980-1984 წლებში — თენგიზ გაჩეჩილაძე, 1984-1992 წლებში — ნოდარ გუგუშვილი. გამოცემა 1992 წელს შეწყდა. „მართვემ" წარუშლელი კვალი დატოვა ქართულ სპორტულ ჟურნალისტიკაში, საერთოდ, ქართულ მედიაში.

**თენგიზ გაჩეჩილაძე**

სპორტსაზოგადოება შევარდენი

ᲢᲐᲜᲕᲐᲠᲯᲘᲨᲘᲡ საზოგადოება „შევარდენი" საქართველოში 1918 წლის 25 აგვისტოს დაარსდა და 1923 წლამდე იარსება. დამაარსებლები იყვნენ საზოგადოება „სოკოლის" ყოფილი ტანმოვარჯიშეები გიორგი ეგნატაშვილი, დათა ჯავრიშვილი, გაიოზ ბერელაშვილი და სხვები. „შევარდენი" ჯერ განათლების სახელმწიფო კომისარიატის, შემდეგ კი „ვსევობუჩის" ერთ-ერთ განყოფილებაში შედიოდა. სექციებში, რომლებიც მოქმედებდნენ თბილისში და საქართველოს სხვადასხვა ქალაქსა და სოფელში, მეცადინეობდა 10 ათასამდე სხვადასხვა ეროვნების ორივე სქესის ბავშვი, ჭაბუკი და მოზრდილი. „შევარდენი" აწყობდა საჯარო ვარჯიშებს და სპორტულ შეხვედრებს ტანვარჯიშში, ქართულ ჭიდაობაში, კრივში, ფეხბურთში და სხვ. თბილისსა და ქუთაისში გამოვიდა ჟურნალ „შევარდენის" რამდენიმე ნომერი, სპორტულ-ტექნიკური ლიტერატურა და სპორტული ტერმინოლოგია.

„შევარდენი" ხელახლა დაფუძნდა 1989 წელს.

ქართული ფეხბურთის ისტორიიდან

ᲑᲐᲕᲨᲕᲝᲑᲘᲓᲐᲜᲕᲔ ცოტა სომხური ვიცოდი, რა თქმა უნდა, მეზობლების წყალობით. ეს ძალიან გამომადგა ცხოვრებაში... ჩვენი გუნდი ერევანში თამაშობს იქაურ „სპარტაკთან". იმ გუნდში საკმაოდ „საშიში" ფორვარდი ოვევიანი იყო. მას ჩვევად ჰქონდა, როდესაც ხელსაყრელ მომენტში იგრძნობდა თავს, თავისიანს შესძახებდა „გამოუშვი!" ეს „გამოუშვი" კი ნიშნავდა, რომ ბურთი მისკენ უნდა გაეგზავნათ, რაც ხშირ შემთხვევაში გოლით მთავრდებოდა. „გამოუშვის" საპირისპიროდ ყური იმაზეც ჰქონდა „გახედნილი", რომ, თუ აუცილებლობა მოითხოვდა, თანაგუნდელი შეუძახებდა: „გაუშვი", ე.ი. ჩემკენ გაუშვიო... „გამოუშვი", დაიძახა ოვევიანმა და უსიამოვნოდ გამაჟრჟოლა, „გაუშვეს" მისკენ ბურთი. ისეთ პოზიციაშია, რომ მიიღოს და, მტრისას, დაარტყას, იოლად ვერ მოვიგერიებ. „გაუშვი", ეს იყო, რაც იმ კრიტიკულ მომენტში მოვისაზრე, „გაუშვი!" (რა თქმა უნდა, სომხურად). ამ ჩემს შეძახილზე მაინც დაიბნა და გამოუშვა. ბურთი მშვიდობიანად მოგორდა ჩემთან და ადვილად დავეუფლე. ანაზდად მრისხანე ფორვარდი ჩემკენ შემოტრიალდა, გაშლილი ხელები მთელი ძალით შემოიკრა „თავ-ყურში"... ასე დამთავრდა ეს ინციდენტი. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ჩემი და იმ კაცის მაშინდელ „დუელს" სუფთა სპორტული ხასიათი ჰქონდა და ჩვენი კეთილი დამოკიდებულებისათვის სამომავლოდ ხელი არ შეუშლია.

**სერგო კოტრიკაძე,**
სპორტის დამს. ოსტატი, თბილისის „დინამოს" ყოფილი მეკარე

პირველი, პირველმა, პირველად...

**ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ** მსაჯი საქართველოდან, რომელიც ვაჟთა მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაზე მიიწვიეს, იყო საერთაშორისო არბიტრი **თენგიზ გიორგაძე**. შემდეგ იგი მომდევნო, 32-ე მსოფლიო ოლიმპიადაზეც მსაჯობდა.

**ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲛᲐ** საქართველოს ვაჟ მოჭადრაკეთაგან ყველაზე თვალსაჩინო წარმატებას მიაღწია **ზურაბ აზმაიფარაშვილმა,** რომელმაც 2003 წელს ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

**ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ნონა გაფრინდაშვილი** და **მაია ჩიბურდანიძე** ერთმანეთს საჭადრაკო დაფასთან 1973 წელს შეხვდნენ. ნონამ ერთდროული თამაშის სეანსი გამართა თბილისის გოგონათა ჩემპიონატის 8 გამარჯვებულთან, რომელთა შორის იყო მაია ჩიბურდანიძე. გაფრინდაშვილმა 5 პარტია მოიგო, 2 ყაიმით დაასრულა და ერთი წააგო... მაია ჩიბურდანიძესთან, რომელიც მაშინ 12 წლისა იყო.

თარიღი — 27 მაისი –2 ივნისი

**27.05.1948 წ.** დაიბადა **როინ დობორჯგინიძე** — თავისუფალი ჭიდაობა.

**27.05.1909 წ.** დაიბადა **გიორგი (გულო) რცხილაძე** — ტანვარჯიში, პედაგოგი. გარდაიცვალა 1968 წელს.

**28.05.1968 წ.** დაიბადა **ბიძინა მიქიაშვილი** — ძალოსნობა.

**28.05.1960 წ.** დაიბადა **ნუგზარ კაკილაშვილი** — ფეხბურთი.

**29.05.1939 წ.** დაიბადა **გივი ჩიქვანაია** — წყალბურთი.

**30.05. 1940 წ.** დაიბადა **ლევან მოსეშვილი** — კალათბურთი.

**30.05.1991 წ.** დაფუძნდა საქართველოს ცხენოსნობისა და თანამედროვე ხუთჭიდის ეროვნული ფედერაცია.

**30.05. 1936 წ.** დაიბადა **სლავა მეტრეველი** — ფეხბურთი.

**31.05.1991 წ.** დაფუძნდა საქართველოს სპორტის ზამთრის სახეობათა ეროვნული ფედერაცია.

**1.06. 1991 წ.** დაფუძნდა საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაცია.

**2.06. 1991 წ.** დაფუძნდა საქართველოს სროლისა და მშვილდოსნობის ეროვნული ფედერაცია

ფოტომატიანე



მიხაილ იაკუშინი (მარცხნივ) და ბორის პაიჭაძე

თქვენთვის, ერუდიტებო — ვიქტორინა

1. საქართველოს ხელბურთელებიდან ვის ჰქონდა ყველაზე მაღალი მიღწევები საერთაშორისო სპორტულ სარბიელზე?
ა – ჯემალ ცერცვაძეს
ბ – ჯემალ აბაიშვილს
გ – ალექსანდრე ანპილოგოვს

2. რა არის „ჭაკუნაობა", რომელიც ოდითგან იყო გავრცელებული საქართველოს სხვადასხვა კუთხეში?
ა – ლელობურთის ნაირსახეობა
ბ – ბალახის ჰოკეის მსგავსი თამაში
გ – ბურთის ბარტყით ორთითი ჩაგდება

3. რა ჰქვია გ. შხვაცაბაიას ქანდაკებას, რომელიც საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა 1992 წელს საჩუქრად გადასცა საბერძნეთს და დაიდგა ძველ ოლიმპიაში?
ა – „მშვიდობის ჩირაღდანი"
ბ – „სპორტული მეგობრობა",
გ – „ოლიმპიური ერთობა"

4. რომელ წელს გამოიცა საქართველოში მსოფლიოს საჭადრაკო ჩემპიონატებსა და ოლიმპიადებში ქართველ ქალთა გამარჯვებების აღსანიშნავი საფოსტო მარკა?
ა – 1967 წელს
ბ – 1994 წელს
გ – 1997 წელს

5. რომელი ქართველი სპორტული მოღვაწე დახვრიტეს 1937 წელს ტროცკისტობის ბრალდებით?
ა – კოტე კაპანაძე
ბ – გაიოზ ბერელაშვილი
გ – იოსებ საგირაშვილი

პასუხები: 1-გ, 2-ბ, 3-ა, 4-გ, 5-ბ.

ველოსპორტი | ჯირო დ'იტალია



# ბასო არ ნებდება

ერთდღიანი პაუზის შემდეგ მე-16 ეტაპით განახლდა ჯირო დიტალია. ამჯერად, ველომრბოლებს მთაში დროზე განცალკევებით რბოლა ელოდათ. როგორც წესი, ასეთ ეტაპებს გენერალურ კლასიფიკაციაში გარკვეული ცვლილებები შეაქვს, მაგრამ ამჯერად საერთო ჩათვლაში ბევრი არაფერი შეცვლილა.

13-კილომეტრიან დისტანციაზე ძალიან იაქტიურა იტალიელმა **ივან ბასომ**, რომელიც ჯიროს ლიდერის - ესპანელი **დავიდ აროიოს** დაწევას ცდილობს. მაგრამ „ივანე მრისხანეს" მონდომება მხოლოდ იმისთვის აღმოჩნდა საკმარისი, რომ მან საერთო ჩათვლაში მეორე ადგილზე გადაინაცვლა და 2 წუთსა და 27 წამამდე შეამცირა ჩამორჩენა აროიოსთან.

ეტაპის გამარჯვებული კი იტალიელი **სტეფანო გარძელი** გახდა, რომელმაც დროზე რბოლის სპეციალისტს, ავსტრალიელ **კეიდელ ევანსს** 42 წამი მოუგო.

მე-16 ეტაპს სტუმრობდა ველოსპორტის დიდი მოყვარული, ფორმულა 1-ის ორგზის ჩემპიონი **ფერნანდო ალონსო**, რომელიც პოდიუმზე მიესალმა თავის თანამემამულე **დავიდ აროიოს**. ჯიროს ორგანიზატორებს ჩაფიქრებული ჰქონდათ, რომ ესპანელი პილოტი თავად მიიღებდა ეტაპში მონაწილეობას და ბოლო მეტრებს სხვა ველომრბოლებთან ერთად გაივლიდა, მაგრამ ბოლო მომენტში ალონსომ გადაიფიქრა ველოსიპედზე შეჯდომა.

როგორც იცით, ალონსომ გასულ წელს ესპანელ **ალბერტო კონტადორთან** ერთად პროფესიული ველოჯგუფის შექმნის სურვილი გამოთქვა.

**XVI ეტაპი**

**სან ვიჯილიო-კრონპლატცი. 12.85 კმ**

1. **სტეფანო გარძელი** (იტა, Acqua e Sapone) - 41,28; 2. **კეიდელ ევანსი** (ავსტრა, BMC Racing Team) - +0,42; 3. **ჯონ გადრე** (საფ, Ag2r La Mondiale) - +0,54; 4. **ვინჩენცო ნიბალი** (იტა, Liquigas) - +1,01; 5. **მიკელე სკარპონი** (იტა, Androni-Giocattoli) - +1,07; 6. **ივან ბასო** (იტა, Liquigas) - +1,10...

**საერთო ჩათვლა**

1. **დავიდ აროიო** (ესპ, Caisse d'Epargne); 2. **ივან ბასო** (იტა, Liquigas) - +2,27; 3. **რიჩი პორტი** (ავსტრა, Saxo-Bank) - +2,36; 4. **კეიდელ ევანსი** (ავსტრა, BMC Racing Team) - +3,09; 5. **კარლოს სასტრე** (ესპ, Cervelo TestTeam) - +4,36; 6. **ვინჩენცო ნიბალი** (იტა, Liquigas) - +4,53...

# არმსტრონგით პროკურატურა დაინტერესდა

ტურ დე ფრანსის შვიდგზის ჩემპიონი **ლენს არმსტრონგი** ევროპაში ჩავიდა და ფრანგული ველომარათონისთვის მზადება დაიწყო, - წერს სააგენტო AP. ამერიკელი საფრანგეთის სამხრეთით ვარჯიშობს, სადაც მას საკუთარი სახლი აქვს.

ლეგენდარული ამერიკელი ტურ დე ფრანსის მზადების ციკლში 2-6 ივნისს ლუქსემბურგის ტურში მიიღებს მონაწილეობას. შეგახსენებთ, რომ გასულ კვირას კალიფორნიის ტურის ერთ-ერთ ეტაპზე არმსტრონგი ტრასაზე დაეცა და საავადმყოფოში მოხვდა. ახლა ლენსს ყველაფერი წესრიგში აქვს.

ტურ დე ფრანსი 3 ივლისს აიღებს სტარტს.

ამასობაში, ბოლო დოპინგსკანდალებთან დაკავშირებით ამერიკის პროკურატურა გაფართოებულ შემოწმებას ჩაუტარებს მთელ რიგ წამყვან ველომრბოლებს, მათ შორის ლენს არმსტრონგს. ამის პარალელურად გამომძიებლები შეამოწმებენ არმსტრონგის საეჭვო კონტაქტებს სხვადასხვა ორგანიზაციასთან.

შეგახსენებთ, რომ გასულ კვირას ლენსი თავისმა ყოფილმა თანაგუნდელმა **ფლოიდ ლენდისმა** დოპინგის მიღებაში დაადანაშაულა.

ოლიმპიზმი

# ლონდონს ბიუჯეტი შეუმცირეს

ბრიტანეთის მთავრობამ 39 მილიონი დოლარით შეუმცირა დაფინანსება 2012 წლის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტს.

თუმცა ზაფხულის თამაშების ორგანიზატორებმა ლონდონელები დაამშვიდეს - ამ თანხის დანაკლისი არ იმოქმედებს ოლიმპიური ობიექტების მშენებლობის ტემპზე. მათი თქმით, 39 მილიონი პატარა ნაწილია ქვეყნის ბიუჯეტის დეფიციტისა, რომელიც 8.7 მილიარდ დოლარს შეადგენს.

*„ქვეყანაში ჯერ კიდევ სერიოზული ეკონომიკური კრიზისია და ჩვენ უბრალოდ ბალანსის მიღწევას ვცდილობთ. ასე რომ, ეს პრობლემა ოლიმპიურ თამაშებზეც აისახება, ოღონდ იმ დოზით არა, რომ საფრთხე დაემუქროს მომავალი თამაშების გამართვას,* - ამბობს ბრიტანეთის ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარე **ჰიუ რობერტსონი**, - *ჩვენ იმედს გამოვთქვამთ, რომ კომიტეტი ამ თანხის გარეშეც გაძლებს და ობიექტების მშენებლობას ზიანს არ მიაყენებს".*

კალათბურთი | პლეი ოფი. NBA. 1/2 ფინალი

# კობი მარტო დარჩა

კალათბურთის მოყვარულები სიამოვნებისგან ხელებს იფშვნეტენ. როგორც იქნა, კონფერენციების ფინალურ სერიებს ინტრიგა დაუბრუნდა. „ორლანდომ" ერთი დღით ადრე გაქვითა ანგარიში „ბოსტონთან", „ფინიქსი" კიდევ უფრო შორს წავიდა და შინ ორი თამაშის მოგებით „ლეიკერსთან" სერიაში ანგარიში გაათანაბრა.

ორი დღის წინ, ამერიკის პრეზიდენტი **ბარაკ ობამა** პლეი ოფის მიმდინარეობას გამოეხმაურა და საკუთარი პროგნოზი შესთავაზა გულშემატკივრებს. პრეზიდენტის თქმით, „ლოს ანჯელეს ლეიკერსი" აუცილებლად შეინარჩუნებს ჩემპიონის ტიტულს.

როგორც ობამა აღიარებს, მისთვის დიდი სიურპრიზი აღმოჩნდა პლეი ოფში „ბოსტონ სელტიქსის" თამაში, თუმცა პრეზიდენტის აზრით, ბოსტონელებს გაუჭირდებათ ფინალურ სერიაში **კობი ბრაიანტისა და პაუ გასოლის** ვარსკვლავური გუნდის შეჩერება.

*„ვფიქრობ, ყველაფერი „ლეიკერსის" სასარგებლოდ დასრულდება. ჩემი აზრით, დღეისათვის პაუ გასოლი ლიგის საუკეთესო კალათბურთელია. ის უფრო ძლიერია, ვიდრე დუაიტ ჰოვარდი. ესპანელი ფეხებით კარგად მუშაობს, ძალიან მაღალი სისწრაფე აქვს და მობილურობით გამოირჩევა. რაც შეეხება ბრაიანტს, კობიმ შესანიშნავად იცის, როგორ იმოქმედოს გადამწყვეტ შეხვედრებში. ფილ ჯექსონი კი კვლავაც საუკეთესო მწვრთნელია მსოფლიოში. სავარაუდოდ, „ბოსტონისა" და „ლეიკერსის" ფინალურ სერიაში ძალიან საინტერესო ბრძოლა იქნება. მართალია, „სელტიქსში" ძალიან გამოცდილი კალათბურთელები თამაშობენ, მაგრამ „ლეიკერსი" უფრო კარგად გამოიყურება",* - განაცხადა ობამამ.

როგორც ხედავთ, პრეზიდენტმა შანსი არ დაუტოვა „ორლანდოს" და ფინალში ჩრდილოამერიკული სპორტის კლასიკური დაპირისპირება იწინასწარმეტყველა. მაგრამ „ლეიკერსის" ზედიზედ მეორე ნაგების შემდეგ შეიძლება ეჭვი შევიტანოთ ობამას სიტყვებში.

სერიის მეოთხე მატჩი „ფინიქსმა" დამსახურებულად მოიგო. სათადარიგოთა სკამის უდიდესი წვლილი (54 ქულა სტუმრების 20 ქულის წინააღმდეგ), **ამარე სტაუდმაიერისა** და ცხვირგატეხილი **სტივ ნეშის** დამაჯერებელი მოქმედება, გამოცოცხლებული **ჩენინგ ფრაი** და ფარქვეშ მოგებული ბრძოლა გახდა მასპინძლების გამარჯვების საფუძველი. ამ მატჩის მოსაგებად „ფინიქსი" უფრო მეტს უბრალოდ ვერ შეძლებდა. იმავე ფრაიმ, რომელმაც წინა სამ მატჩში ოციდან მხოლოდ ერთი ტყორცნა გამოიყენა, ამ შეხვედრაში შესაშური შედეგიანობა აჩვენა - ცენტრის ანგარიშზე ოთხი სამქულიანი და 14 ქულა მოდის.

ამავდროულად, „ლეიკერსმა" ისევ ჩააგდო მატჩის ბოლო მონაკვეთი, თუმცა ამაზე ოდნავ ქვემოთ. მთელი შეხვედრის განმავლობაში კალიფორნიელებს ბრაინტი მიათრევდა. კობის ზედიზედ მეორე შეხვედრაში სულ ცოტა დააკლდა სამმაგ დუბლამდე, მაგრამ პარტნიორებისგან მხარდაჭერას მაინც ვერ ელირსა. განსაკუთრებით მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებს ჩემპიონების დაცვა და სუსტი თამაში მოხსნებზე. კალიფორნიულ მატჩებში ბრწყინვალედ მოთამაშე წინა ხაზი ძალიან ცუდად მუშაობს. პაუ გასოლი და **ლამარ ოდომი** ცდილობენ სამწამიანზე ზეწოლას, მაგრამ **ენდრიუ ბინუმი** ამოვარდნილია საერთო სურათიდან. ახალგაზრდა ცენტრი ტრავმით თამაშობს და უჭირს სწრაფ ტემპში გადაადგილება, მაგრამ „ლეიკერსის" გულშემატკივრებს უფლება აქვთ, ბინუმის პლეი ოფში მეტი თავდადება მოსთხოვონ.

*„ფინიქსში ჩასვლის შემდეგ დაცვა საერთოდ დავივიწყეთ,* - განაცხადა მატჩის შემდეგ ბრაიანტმა. - *არ ვიცი, რა მოხდა, მაგრამ ჩვენი კლუბი მხოლოდ შეტევაზე ფიქრობს. შინ დაბრუნების შემდეგ აუცილებელია დაცვაზე ვიმუშაოთ, რადგან მხოლოდ შეტევით ჩემპიონობას ვერ მოიპოვებ".*




თავად ბრაიანტი თავის თავს ვერ უსაყვედურებს. 45 წუთის განმავლობაში მან თამაშიდან 22 ტყორცნა შეასრულა და 15 ჩააგდო (მათ შორის ექვსი სამქულიანი), გააკეთა ათი შედეგიანი პასი და შვიდი მოხსნა. კობი მეურვეებს ვერ ამჩნევდა და ნებისმიერი სიტუაციიდან აგდებდა ბურთს. მაგრამ ასეთი დონის მატჩებს ერთი კაცი ვერ იგებს. ეს „ფინიქსმაც" დაადასტურა, რომელიც გუნდური თამაშის მაგალითი გვიჩვენა.

„სანზმა" გამარჯვებას საფუძველი მეორე მეოთხედში ჩაუყარა, რომელიც 41:32 მოიგო. თანაბარი დასაწყისის შემდეგ, „ფინიქსმა" მკვეთრად მოუმატა ტემპს და „ლეიკერსი" უბრალოდ ვერ ასწრებდა დაცვაში დაბრუნებას. დიდი შესვენებისთვის „მზეები" 64:55 დაწინაურდნენ, თუმცა უფრო დიდი ანგარიშითაც შეეძლოთ წინ გასვლა, ბრაინტის შეჩერება რომ მოეხერხებინათ. კობი მიღწეულით არ კმაყოფილდებოდა. მეორე მეოთხედში დაგროვილ 15 ქულას, მან მესამე 12-წუთეულში 16 ქულა დაუმატა და ბოლო შესვენებამდე 2 წუთითა და 19 წამით ადრე შორეული ტყორცნით ანგარიში გაათანაბრა - 81:81. სხვათა შორის, „ლეიკერსის" ლიდერს 38 ქულა ეყო პლეი ოფში ყველაზე შედეგიან კალათბურთელებს შორის მეოთხე ადგილზე გადასასვლელად. კობიმ 4785 ქულით **კარლ მელოუნს** გაასწრო და ახლა მხოლოდ **შაკილ ო'ნილს, კარიმ აბდულ-ჯაბარსა** და **მაიკლ ჯორდანს** ჩამორჩება.

ბოლო მეოთხედის სტარტზე **ჯორდან ფარმარმა** მატჩში ერთადერთი ტყორცნა შეასრულა და წინ გაიყვანა „ლეიკერსი", მაგრამ „სანზის" დამრიგებელი **ელვინ ჯენტრი** ბოლომდე ენდო სათადარიგოებს და უკანასკნელ მომენტამდე არ გაიყვანა მოედანზე ძირითადის კალათბურთელები. **დრაგიჩი, ბარბოზა, ამუნდსონი, ფრაი და დადლი** ათი წუთის განმავლობაში ბრწყინვალედ იცავდნენ თავს და თან პერიმეტრიდან „ბომბავდნენ" მეტოქეს. სწორედ მათ მოაწყვეს გადამწყვეტი გაქცევა - 18:3, რის შემდეგაც მასპინძლები 13 ქულით დაწინაურდნენ. ასე რომ, ნეშისა და სტაუდმაიერის დაბრუნებისთვის თამაშის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო. „ლეიკერსი" ჯერ კიდევ იბრძოდა, მაგრამ გამარჯვებაზე პრეტენზია უკვე აღარ ჰქონდა.

**ფინიქსი-ლეიკერსი 115:106**

**23:23, 41:32, 21:29, 30:22**

ფ: სტაუდმაიერი (21+8 მოხსნა), ნეში (15+8 პასი), ფრაი (14+6 მოხსნა), ბარბოზა (14), რიჩარდსონი (11+6 მოხსნა), დადლი (11+6 მოხსნა), დრაგიჩი (8+8 პასი), ჰილი (8), ამუნდსონი (7+7 მოხსნა), ლოპესი (6+6 მოხსნა).

ლ: ბრაიანტი (38+10 მოხსნა+7 პასი), ოდომი (15+10 მოხსნა), გასოლი (15+5 მოხსნა+4 დაფარება), არტესტი (13), ბინუმი (12+8 მოხსნა), ფიშერი (8), ფარმარი (3), ბრაუნი (2), უოლტონი.

**სერია: 2:2**

ცურვა

# მოძალადე მწვრთნელები სპორტს ჩამოაშორეს




ამერიკის ცურვის ეროვნულმა ფედერაციამ სამუდამო დისკვალიფიკაცია მისცა 36 მწვრთნელს, მათ შორის აშშ-ის მოცურავეთა ნაკრების ყოფილ ტექნიკურ დირექტორს **ევერეტ უჩიამას**. ეს გადაწყვეტილება ფედერაციამ სექსუალური სკანდალის გამოძიების შემდეგ მიიღო.

დაახლოებით ერთი თვის წინ ფედერაციაში ერთდროულად ოთხი საჩივარი შევიდა იმაზე, რომ ბევრ გუნდში მწვრთნელების მხრიდან შეგირდებზე სექსუალური ზეწოლა ხდება, მათ შორის არასრულწლოვნებზეც. გამოძიებამ ბევრი ასეთი ფაქტი გამოავლინა. ყველაზე ადრეული შემთხვევა 1991 წლით თარიღდება, ყველაზე გვიანი - 2009 წლით.

ფედერაციამ აგრეთვე ცხელი ხაზი შექმნა იმ სპორტსმენებისთვის, რომლებიც მწვრთნელების დანაშაულებრივი ქმედების მსხვერპლნი გახდნენ.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი — როლან გაროსი 2010

# დადეთ მილიონი ფედერერზე



როლან გაროსზე მეორე წრის მატჩები დაიწყო, თუმცა გუშინდელი დღის სათამაშო პროგრამა წვიმის გამო ვერ დასრულდა - კაცებს შორის ოთხი შეხვედრა დღეისთვის იქნა გადადებული.

საინტერესო ისტორია უძღოდა წინ მსოფლიოს პირველი ჩოგანის **როჯერ ფედერერისა** და კოლუმბიელი **ალეხანდრო ფალას** შეხვედრას, რომელიც 70-ე ადგილს იკავებს მსოფლიოს კლასიფიკაციაში.

უცნობმა გულშემატკივარმა საბუკმეიკერო კანტორა TAB Sportsbet-ში მილიონი დოლარი დადო ფედერერის მოგებაზე. შესაბამისი კოეფიციენტი 1.01-ს უდრიდა, რაც იმას ნიშნავს, რომ შვეიცარიელის გამარჯვების შემთხვევაში, რაშიც ეჭვი არავის ეპარებოდა, ეს გულშემატკივარი 10 ათას დოლარს გამოიმუშავებდა. ამ მსხვილი ფსონის შესახებ ინფორმაცია TAB Sportsbet-ის ოფიციალურმა წარმომადგენელმა **გლენ მანსიმ** დაადასტურა.

ფსონის ავტორმა, ალბათ, გვარიანად ინერვიულა პირველი პარტიის დროს, რომელშიც კოლუმბიელი 6:5-ზე სეტზე აწვდიდა, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში ანერვიულდა და როჯერმა საპასუხო ბრეიკის გაკეთება შეძლო. ტაი-ბრეიკში კი შვეიცარიელმა შანსი აღარ დაუტოვა მეტოქეს.

მომდევნო ორ სეტში შვეიცარიელს პრობლემები არ ჰქონია. როჯერს დისკომფორტი მხოლოდ იმან შეუქმნა, რომ წვიმის გამო მატჩი ორჯერ შეწყდა - 15 წუთით მეორე სეტში და საათით მესამეში.

ფანტასტიკურ ჩოგბურთს აჩვენებს როლან გაროსის შარშანდელი ფინალისტი **რობინ სიოდერლინგი**. გუშინ, მისი მეტოქე ამერიკელი **ტეილორ დენტი** გახლდათ. სკანდინაველს შთამბეჭდავი სტარტი გამოუვიდა - პირველი 22 გათამაშებიდან 20 თავის სასარგებლოდ დაასრულა, სულ კი მეტოქის განადგურებას 71 წუთი მოანდომა და ჯამში ორი გეიმი დაუთმო ამერიკელს.

დენტი თავის დროზე იმედის მომცემ ჩოგბურთელად ითვლებოდა და ერთხელ რეიტინგში 21-ე პოზიციაც ეკავა, მაგრამ მისი კარიერა ზურგის ტრავმამ შეაფერხა და ახლა ამერიკელი 102-ე გახლავთ კლასიფიკაციაში. დენტმა გუშინ რვა ორმაგი შეცდომა დაუშვა და სულ რაღაც ექვსი „ვინერსი" მიითვალა - 18-ით ნაკლები, ვიდრე სიოდერლინგმა. აღსანიშნავია, რომ რობინმა პირველ ორ წრეში თავის მეტოქეებს სულ შვიდი გეიმი დაუთმო.

■ ■ ■

ქალთა ტურნირში ზედიზედ მეორე მატჩი მოიგო ორ სეტში მსოფლიოს მეორე ჩოგანმა **ვენუს უილიამსმა**. მისი მეტოქე, 27 წლის ესპანელი **არანჩა პარა-სანტონხა** იშვიათად ცდებოდა და სულ რაღაც 12 უნებლიე შეცდომა დაუშვა. ასეთ თამაშში ვენუსს უპირატესობას აგრესიული სტილი თუ მოუტანდა და უილიამსმა სწორედ მსგავსი ტაქტიკა აირჩია. მან ჯამში 29 „ვინერსი" მიითვალა, თუმცა პარა-სანტონხა ბოლომდე უძალიანდებოდა ტიტულოვან მეტოქეს. მეორე სეტში დიდი ხანი თანაბარი თამაში მიდიოდა და ვენუსმა მეშვიდე გეიმში გაკეთებული ბრეიკით შეძლო პარტიაში და მატჩში გამარჯვების მოპოვება - 6:2, 6:4.

სულ მცირედი დააკლდა გერმანელ **ანდრეა პეტკოვიჩს** ქალებს შორის შარშანდელი ჩემპიონის **სვეტლანა კუზნეცოვას** დასამარცხებლად. მესამე სეტში, 5:4-ზე გერმანელი ჩოგბურთელი მატჩზე აწვდიდა. 40:0-ის შემდეგ ანდრეამ სამმაგი მატჩ-ბოლი მიიღო, მაგრამ ერთხელ ბადეს ვერ გადააცილა ბურთი, ორჯერ კი აუტი გააკეთა. ამავე გეიმში პეტკოვიჩმა მეოთხედ მიიღო მატჩის ერთი დარტყმით დასრულების შანსი და მისი ბექჰენდი ისევ ბადეს მოხვდა. ამ ერთი გათამაშების შემდეგ ინიციატივა საბოლოოდ რუსი ჩოგბურთელის მხარეს გადავიდა. კუზნეცოვამ ზედიზედ ხუთი გეიმი აიღო და მესამე სეტში 3:0 დაწინაურდა. პეტკოვიჩმა ბოლოს მაინც გაიბრძოლა - 2:5-ზე ზედიზედ ორი გეიმი აიღო, მაგრამ მოქმედმა ჩემპიონმა მეოთხე ცდაზე გამოიყენა მატჩბოლი და მესამე წრეში თანამემამულე **მარია კირილენკოსთან** თამაშის უფლება მოიპოვა.

19 წლის დანიელი **კაროლინ ვოზნიაცკი** კარიერაში პირველად ხვდებოდა 32 წლის იტალიელ **ტატიანა გარბინს** და საათსა და რვა წუთში გაანადგურა გამოცდილი მეტოქე. აპენინელმა ვერაფერი დაუპირისპირა მსოფლიოს მესამე ჩოგანს და მხოლოდ ოთხი გეიმი აართვა მას. ვოზნიაცკი მესამე წრეში ამ სეზონის აღმოჩენას - 20 წლის რუმინელ **ალექსანდრა დულგერუს** შეხვდება, რომელმაც თავის მხრივ იოლად მოუგო შვეიცარიელ **ტიმეა ბაშჩინსკის**. შეგახსენებთ, რომ დულგერუმ გასულ კვირას ვარშავას ტურნირზე მოიგო მთავარი პრიზი.

## კაცები

### I წრე

**ქსავიერ მალისე (ბელ)**-სიმონ გრეილი (გერ) 6:4, 7:6, 6:4.

### II წრე

**როჯერ ფედერერი (შვეიც, 1)**-ალეხანდრო ფალა (კოლ) 7:6(4), 6:2, 6:4; **ჟულიან რაისტერი (გერ)**-ოლივიე როხუსი (ბელ) 6:2, 6:2, 7:6(5); **სტანისლას ვავრინკა (შვეიც, 20)**-ანდრეას ბეკი (გერ) 6:1, 6:4, 6:4; გაელ მონფილსი (საფ, 13)-ფაბიო ფონინი (იტა) 6:2, 6:4, 5:7, 4:6, 4:4 შეწყდა; **მარინ ჩილიჩი (ხორ, 10)**-ანიელ ხიმენო ტრავერო (ესპ) 6:3, 7:6(4), 6:2; **ლეონარდო მაიერი (არგ)**-ჟულიან ბენეტო (საფ) 6:7(4), 6:3, 6:4, 6:4; **ალბერტ მონტანიესი (ესპ, 29)**-ტობიას კამკე (გერ) 6:3, 6:2, 6:1; **რობინ სიოდერლინგი (შვედ)**-ტეილორ დენტი (აშშ) 6:0, 6:1, 6:1; ენდი მიურეი (ბრიტ, 4)-ხუან იგნასიო ჩელა (არგ) 6:2, 3:3 შეწყდა; მარკოს ბაღდატისი (კვიპ, 25)-მარსელ გრანოლერსი (ესპ) 4:6, 6:1, 7:5 შეწყდა; მარკო ჩიუდინელი (შვეიც)-ჯონ ისნერი (აშშ, 17) 7:6(3), 5:5; **ტომაშ ბერდიხი (ჩეხ, 15)**-ედუარდ როჟე-ვასელენი (საფ) 7:5, 6:1, 6:4; **მიხაილ იუჟნი (რუს, 11)**-ლუკაშ ლაჩკო (სლოვაკ) 6:7(8), 6:3, 6:3, 6:2; **ვიქტორ ტროიცკი (სერ)**-კარსტენ ბოლი (ავსტრა) 6:4, 6:3, 6:3; **ტიემო დე ბაკერი (ჰოლ)**-გილერმო გარსია ლოპესი (ესპ, 32) 6:3, 3:6, 7:6, 6:5; **ჟო ვილფრიდ ცონგა (საფ, 8)**-ჟოსელენ უანა (საფ) 6:0, 6:1, 6:4

## ქალები

### II წრე

**სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 6)**-ანდრეა პეტკოვიჩი (გერ) 4:6, 7:5, 6:4; **მარია კირილენკო (რუს, 30)**-ივონ მეისბურგერი (ავსტრია) 6:3, 6:3; **ფლავია პენეტა (იტა, 14)**-რობერტა ვინჩი (იტა) 6:1, 6:1; **პოლონა ჰერცოგი (სლოვენ)**-ლუსი საფაროვა (ჩეხ, 24) 6:1, 6:2; **ალექსანდრა დულგერუ (რუმ, 31)**-ტიმეა ბაშჩინსკი (შვეიც) 6:4, 6:2; **კაროლინ ვოზნიაცკი (დან, 3)**-ტატიანა გარბინი (იტა) 6:3, 6:1; **აკგულ ამანმურადოვა (უზბ)**-იოანა ლარსონი (შვედ) 7:6(2), 6:2; **შანელ სხეპერსი (ს. აფრ)**-ხისელა დულკო (არგ) 3:6, 6:3, 6:4; **არავან რეზაი (საფ, 15)**-ანჟელიკ კერბერი (გერ) 6:2, 2:6, 6:3; **ნადია პეტროვა (რუს, 19)**-აგნეს შავაი (უნგ) 6:1, 6:2; **დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ, 26)**-ვარვარა ლეპჩენკო (აშშ) 4:6, 6:2, 6:0; **ვ. უილიამსი (აშშ, 2)**-არანჩა პარა სანტონხა (ესპ) 6:2, 6:4.

თხილამურებით სირბილი

# მაიდიჩი არ მიდის



ვანკუვერის ოლიმპიადის ერთ-ერთი გმირი, სლოვენიელი მოთხილამურე **პეტრა მაიდიჩი**, რომელმაც ზამთრის წლევანდელ თამაშებზე სპრინტში უმძიმესი ტრავმით იასპარეზა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, კარიერის დასრულებას ჯერ არ აპირებს. მაიდიჩი ბოლომდე არ გამოჯანმრთელებულა, მაგრამ ოფიციალურად განაცხადა, რომ მალე დადგება თხილამურებზე და ვარჯიშს განაახლებს.

შეგახსენებთ, რომ ვანკუვერში ერთ-ერთი ვარჯიშის დროს სლოვენიელი ხევში გადაიჩეხა და ხეს დაეჯახა. სპორტსმენი მაინც გავიდა სტარტზე და საბოლოოდ მესამე ადგილი დაიკავა, ფინიშის შემდეგ კი გონება დაკარგა. რბოლის შემდეგ ჩატარებულმა სამედიცინო გამოკვლევამ აჩვენა, რომ მაიდიჩს ოთხი ნეკნი ჰქონდა გატეხილი და ფილტვი დაზიანებული.

მაიდიჩმა აღნიშნა, რომ ჯერ არ იცის, რა კვალს დაატყობს ეს ტრავმა მის კარიერას და შეძლებს თუ არა მოთხილამურე ძველ დონეზე გამოსვლას.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

## ფეხბურთი

### ევრო 2011

#### Under 21

| | |
|---|---|
| შვეიცარია-თურქეთი | 0:2 |

#### ამხანაგური მატჩები

| | |
|---|---|
| მოლდოვა-აზერბაიჯანი | 1:1 |
| თურქეთი-ჩრ. ირლანდია | 2:0 |
| ჰოლანდია-მექსიკა | 2:1 |
| ესტონეთი-ხორვატია | 0:0 |
| საფრანგეთი-კოსტა რიკა | 2:1 |

#### Under 21

| | |
|---|---|
| რუმინეთი-სერბეთი | 3:1 |
| ალბანეთი-პოლონეთი | 2:2 |
| ბელარუსი-ისრაელი | 2:2 |

#### უნგრეთის თასი

ფინალი

| | |
|---|---|
| დებრეცენი-ზალაეგერშეგი | 3:2 |

#### რუმინეთის თასი

ფინალი

| | |
|---|---|
| კლუჟი-ვასლუი | 0:0 პენ. 5:4 |

#### ბოსნია

| | |
|---|---|
| ცელიკი-სლავია | 3:1 |
| ლაკტაში-რუდარი | 2:0 |
| ლეოტარი-ჟელეზნიჩარი | 3:3 |
| სარაევო-ბორაცი | 3:0 |
| ველეჟი-მოდრიცა | 1:0 |
| ოლიმპიკი-სლობოდა | 1:0 |
| შიროკი ბრიეგი-ჟრინსკი | 2:1 |
| ტრავნიკი-ჟვიეჟდა | 4:1 |

#### იაპონიის თასი

| | |
|---|---|
| ვეგალტა-ტოკიო | 1:0 |
| ნიიგატა-კიოტო | 1:4 |
| ნაგოია-სერეზო | 1:1 |
| ურავა-იამაგატა | 0:2 |
| შონანი-ივატა | 1:2 |
| კობე-შიმიცუ | 3:1 |

## კალათბურთი

#### გერმანია

| | |
|---|---|
| ბრაუნშვაიგი-ბამბერგი | 73:82 |

#### საბერძნეთი

| | |
|---|---|
| მარუსი-პანელინიოსი | 75:70 |
| პანათინაიკოსი-ოლიმპიაკოსი | 73:54 |

#### იტალია

| | |
|---|---|
| ვირტუსი-კანტუ | 95:79 |

TV პროგრამა

## 27 მაისი. ხუთშაბათი

### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

**06:45** ამხანაგური მატჩი. ინგლისი-მექსიკა.
**08:30** საფრანგეთის ჩემპიონატი. სეზონის შედეგები.
**10:00** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. ვოლფსბურგი-ცსკა.
**12:00** ახალი ამბები.
**12:20** გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-ლივერპული.
**14:10** გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ატლეტიკო.
**16:00** ახალი ამბები.
**16:20** საფრანგეთის ჩემპიონატი. სეზონის შედეგები.
**17:50** გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. ვოლფსბურგი-ჰამბურგი.
**19:40** ახალი ამბები.
**20:00** გერმანიის ჩემპიონატი. სეზონის შედეგები.
**21:30** გასული სეზონის ქრონიკა. იტალიის ჩემპიონატი. მილანი-ინტერი.
**23:20** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. დინამო-რუბინი.
**01:20** ამხანაგური მატჩი. ინგლისი-მექსიკა.
**03:10** გასული სეზონის ქრონიკა. იტალიის ჩემპიონატი. ჯენოა-რომა.
**04:55** გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. ევერტონი-არსენალი.

### EUROSPORT

**10:30** ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა ახალი ამბები.
**10:45** ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. XVII ეტაპი. იტალია.
**11:30** ჩოგბურთი. როლან გაროსი. IV დღე.
**12:30** ჩოგბურთი. გეიმი, სეტი, მატჩი. ტელეჟურნალი.
**13:00** ჩოგბურთი. როლან გაროსი. V დღე (LIVE).
**17:30** ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. XVIII ეტაპი. იტალია (LIVE).
**19:30** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. მონაწილე ქვეყნების პრეზენტაცია. ტელეჟურნალი.
**19:40** ჩოგბურთი. როლან გაროსი. V დღე (LIVE).
**22:30** ჩოგბურთი. გეიმი, სეტი, მატჩი. ტელეჟურნალი.
**23:00** ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი (23-წლამდელები). ფინალი. ტულონი. საფრანგეთი (LIVE).
**00:45** მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. ოსტავა. ჩეხეთი.
**02:00** ჩოგბურთი. როლან გაროსი. V დღე.
**03:00** ჩოგბურთი. გეიმი, სეტი, მატჩი. ტელეჟურნალი.

### EUROSPORT-2

**06:00, 06:30, 07:00, 07:30, 08:00, 08:30, 09:00, 09:30, 10:30, 11:00, 11:30, 13:00, 14:30, 15:30, 20:15, 23:00, 01:10, 02:00, 02:30, 03:00, 03:30, 04:00, 04:30, 05:00, 05:30** ახალი ამბები.
**06:15, 06:45, 07:15, 07:45, 08:15, 08:45, 09:15, 09:45, 10:45, 11:15, 11:45, 00:00, 01:45, 02:15, 02:45, 03:15, 03:45, 04:15, 04:45, 05:15, 05:45** ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა ახალი ამბები.
**10:00** ჩოგბურთი. გეიმი, სეტი, მატჩი. ტელეჟურნალი.
**12:00** ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი (23-წლამდელები). 1/2 ფინალი. ტულონი. საფრანგეთი.
**13:30** ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი (23-წლამდელები). 1/2 ფინალი. ტულონი. საფრანგეთი.
**15:00** ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. ტელეჟურნალი.
**15:50** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. მონაწილე ქვეყნების პრეზენტაცია. ტელეჟურნალი.
**16:00** ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. XVII ეტაპი. იტალია.
**16:30** ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. XVIII ეტაპი. იტალია (LIVE).
**17:30** კალათბურთი. საბერძნეთის ჩემპიონატი. პლეი ოფი. 1/2 ფინალი.
**18:00** ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (17-წლამდელები). 1/2 ფინალი. ვადუცი. ლიხტენშტაინი (LIVE).
**19:45** ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. ტელეჟურნალი.
**20:30** ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი (23-წლამდელები). მე-3 ადგილისთვის. ტულონი. საფრანგეთი.
**22:15** ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (17-წლამდელები). 1/2 ფინალი. ვადუცი. ლიხტენშტაინი (LIVE).
**00:15** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. მონაწილე ქვეყნების პრეზენტაცია. ტელეჟურნალი.
**00:30** ჩოგბურთი. გეიმი, სეტი, მატჩი. ტელეჟურნალი.
**01:00** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. მონაწილე ქვეყნების პრეზენტაცია. ტელეჟურნალი.

ამბები

ჩოგბურთი

## გულბისი უიმბლდონს გამოტოვებს?

ლატვიელმა **ერნესტ გულბისმა**, რომელმაც ვერ დაასრულა როლან გაროსის პირველი წრის მატჩი ფრანგ **ჟულიენ ბენეტოსთან**, სამედიცინო შემოწმება გაიარა.

ექიმების დასკვნით, 21 წლის ჩოგბურთელს მუხლის კუნთი აქვს გაწყვეტილი და ამ ტრავმის მკურნალობას დაახლოებით სამი კვირა დასჭირდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მსოფლიოს 28-ე ჩოგანი აუცილებლად გამოტოვებს „ქუინზ ქლაბის" ტურნირს, რომელიც წინ უძღვის უიმბლდონს. ასევე გულბისს უშუალოდ უიმბლდონის გამოტოვება ემუქრება.

ბალტიისპირელი გუშინ ესპანეთში გაემგზავრა, სადაც ფიზიოთერაპევტთან იმუშავებს გამოჯანმრთელების პროცესის დასაჩქარებლად.

ჰოკეი

## ტამპა ბეი აიზერმანს ჩააბარეს

კანადის ნაკრების გენერალური მენეჯერი **სტივ აიზერმანი** ანალოგიურ თანამდებობაზე დაინიშნა NHL-ის კლუბ „ტამპა ბეი ლაითნინგში" - ამის შესახებ სააგენტო AP ანონიმურ წყაროზე დაყრდნობით იუწყება. კლუბის ხელმძღვანელობა ახალ გენერალურ მენეჯერს დღეს სპეციალურ პრესკონფერენციაზე წარადგენს.

აპრილში „ტამპა ბეის" ახალმა მფლობელმა **ჯეფ ვინიკმა** თანამდებობიდან დაითხოვა გუნდის მთავარი მწვრთნელი რიკ ტოკეტი და გენერალური მენეჯერი **ბრაიან ლოუტონი**. ამის მიზეზი გახდა გუნდის მორიგი ჩავარდნა - ზედიზედ მესამე წელია „ლაითნინგი" პლეი ოფში ვერ მოხვდა.

შეგახსენებთ, რომ აიზერმანი კანადის ნაკრების მენეჯერი იყო ვანკუვერის ოლიმპიურ თამაშებზე, სადაც მისმა გუნდმა ოქროს მედალი მოიპოვა.

კალათბურთი

## სეფოლოშა მსოფლიოს გამოტოვებს

„ოკლაჰომა სიტის" მცველი **ტაბო სეფოლოშა** არ ითამაშებს მსოფლიოს ჩემპიონატზე შვეიცარიის ნაკრების რიგებში.

*„მინდა უფრო მეტი დრო დავუთმო გუნდში ვარჯიშებს. მადლობელი ვარ მწვრთნელების, რომლებიც ჩემში კარგ მცველს ხედავენ, მაგრამ შეტევაში ჩემი მოქმედება არ მომწონს და ზაფხულში სწორედ ამ მიმართულებით ვაპირებ მუშაობას. ნაკრებში მოგვიანებით დავბრუნდები. დრო კიდევ მექნება"*, - აღიარა სეფოლოშამ.

გასულ სეზონში შვეიცარიელი ლიგის საუკეთესო დამცველის მეორე სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა. ტაბო საშუალოდ 6 ქულასა და 4.7 მოხსნას აგროვებდა.

ფორმულა 1

# ამერიკაში დიდი ცირკი ბრუნდება

აშშ-ის გრან-პრი ფორმულა 1-ის კალენდარში 2012 წელს დაბრუნდება: **ბერნი ექლსტოუნმა** ამერიკული ეტაპის ჩატარებაზე ცხრაწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

ხელშეკრულების თანახმად, რბოლა 2012-2021 წლებში ტექსასის შტატის ქალაქ ოსტინში სპეციალურად ფორმულა 1-ისთვის აშენებულ თანამედროვე ავტოდრომზე გაიმართება.

*„პირველად ფორმულა 1-ის ისტორიაში ამერიკაში აშენდება მსოფლიო დონის ტრასა, რომელიც აშშ-ის გრან-პრის უმასპინძლებს,* - განაცხადა ექლსტოუნმა. - *ბოლოს ამერიკული ეტაპი ევროპული ტიპის სტაციონარულ ავტოდრომზე 30 წლის წინ გაიმართა - ეს იყო ნიუ-იორკის გარეუბან უოტკინს-გლენში. იმ რბოლამ დიდი წარმატებით ჩაიარა.*

*მას შემდეგ ამერიკის გრან-პრის ლონგბიჩი, ლას ვეგასი, დეტროიტი, დალასი და ფინიქსი მასპინძლობდნენ, მაგრამ ეს ქუჩის დროებითი რბოლა იყო. 2000 წლიდან ინდიანაპოლისში ტრადიციული ოვალური ავტოდრომის შიგნით დროებითი ტრასა ააგეს.*

*2007 წელს ამერიკაში გამართული ბოლო ეტაპი ლუის ჰემილტონმა მოიგო და იმ რბოლით დასრულდა რვაწლიანი პერიოდი, რომელიც ინდიანაპოლისს უკავშირდება. მაგრამ ახლა შეერთებულ შტატებში პირველად აშენდება ტრასა, რომელიც მხოლოდ ფორმულა 1-ის რბოლებს მოემსახურება“.*

ამერიკელთა მხრიდან ექლსტოუნის კომპანიებთან კონტრაქტი ფირმა Full Throttle Productions-მა გააფორმა.

ჯერჯერობით არ გაუმხელიათ ხელშეკრულების ფინანსური დეტალები. ასევე არაფერია ცნობილი მომავალი ტრასის კონფიგურაციასა და მის ზუსტ ადგილმდებარეობაზე.






კრივი

# კლიჩკო დიდ ჩხუბს გვპირდება



29 მაისს გელზენკირხენში „შალკეს“ საფეხბურთო სტადიონზე სუპერმძიმე წონაში საჩემპიონო ბრძოლა გაიმართება. WBC-ის ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონი **ვიტალი კლიჩკო** პრეტენდენტ **ალბერტ სოსნოვსკის** შეხვდება. უკრაინელი და პოლონელი ბრძოლამდე რამდენიმე დღით ადრე საპრესკონფერენციო დარბაზში შეხვდნენ ერთმანეთს. მეტოქეები ხმამაღალი განცხადებებით შეეცადნენ ერთმანეთის დაშინებას.

ვიტალიმ შეკრებილი საზოგადოება გაუპარსავი სახით გააოცა: *„ოთხი კვირა ტიროლის მთებში გავატარე, სადაც ცივილიზაციისგან მოშორებით ვცხოვრობდი. შეიძლება ითქვას, რომ ამ დროის განმავლობაში ცოტა დამაკლდა გაველურებას“.*

*„ერთთვიანი ვარჯიშები უკან დარჩა და ახლა მთლიანად შაბათის საღამოზე ვარ კონცენტრირებული,* - აცხადებს WBC-ის ჩემპიონი. - *ვიცი, რომ ალბერტი ყველაფერს გააკეთებს ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად, მაგრამ მე არ მივცემ ამის გაკეთების საშუალებას.*

*თანამედროვე კრივში არ არსებობს მოკრივე, რომელიც კუთვნილ ტიტულს წამართმევს. მე ამას რინგზე დავამტკიცებ. ვიცი, რომ უმძიმესი შეხვედრა მელის. გპირდებით, ამ ბრძოლას მაყურებელი დიდი ხანი არ დაივიწყებს“.*

*„სოსნოვსკის ისეთი ხმაურიანი სახელი არ აქვს, როგორც მუჰამედ ალის, მაგრამ ის რთული მეტოქეა, გამარჯვება სჭირდება და ამიტომაც, რთული ბრძოლა მელოდება,* - აგრძელებს ჩემპიონი, - *ეს იქნება ნამდვილი საჩემპიონო შეხვედრა ორ ძლიერ სუპერმძიმეწონოსანს შორის. ამიტომაც სერიოზულად ვემზადებოდი ბრძოლისთვის, რომელიც ნებისმიერ მაყურებელს დიდ სიამოვნებას მიანიჭებს“.*

პრეტენდენტმა ჩემპიონის სიტყვების კონტრარგუმენტი მოიყვანა.

*„სისწრაფე, დინამიკა, რინგზე მოძრაობა, მელიის ეშმაკობა - აი, ჩემი კოზირები კლიჩკოსთან მომავალი ბრძოლის დროს,* - ამბობს პოლონელი. - *ის ინანებს ჩემთვის შანსის მიცემას, მისი საუკეთესო პერიოდი წარსულს ჩაჰბარდა. კლიჩკომ თავისი ბრძოლების უმეტესი ნაწილი მოძრავი საკრივო ტომრების წინააღმდეგ ჩაატარა, რომლებსაც უკვე გასახდელში ჰქონდათ წაგებული ბრძოლა. 29 ივნისს ახალი ჩემპიონის დრო მოვა“.*

უფრო მოგვიანებით ერთ-ერთ ამერიკულ გამოცემასთან ინტერვიუში ვიტალიმ აქტუალურ თემაზე - ბრიტანელ ჩემპიონ **დევიდ ჰეიზე** ილაპარაკა.

*„მინდა ჰეი ვცემო და მას WBA-ის საჩემპიონო ტიტული წავართვა,* - აცხადებს უკრაინელი. - *ჩემს ძმას კი სულ სხვა ინტერესი აქვს. მას ტიტული არ უნდა - მხოლოდ ჰეი სჭირდება. შემიძლია დავპირდე დევიდს, რომ მისი ტანჯვა დიდი ხანი არ გაგრძელდება - 2-4 რაუნდში ჩავაგდებ ნოკაუტში. სამაგიეროდ, ვლადიმირი მას 12 რაუნდის განმავლობაში უმოწყალოდ ცემას ჰპირდება. თავიდან დევიდმა ტრავმა მოიმიზეზა და უარი თქვა ძმასთან ჩხუბზე, შემდეგ შეშინდა და ჩემთან კონტრაქტი არ გააფორმა. მას კარგად ესმის, რომ ერთ-ერთი კლიჩკოსთან ჩხუბი მისთვის კარიერის დასასრული გახდება“.*

სუპერმძიმე წონაში WBO-სა და IBF-ის ვერსიით ჩემპიონი **ვლადიმირ კლიჩკო** არ ეთანხმება რუს **ალექსანდრ პოვეტკინთან** ბრძოლის წინ მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტოს (WADA) წესებით დოპინგსინჯების ჩაბარებას.

*„ვლადიმირი პოვეტკინთან IBF-ის ვერსიით იჩხუბებს და ანალიზებსაც ამ ორგანიზაციის წესებით ჩააბარებს,* - ამბობს ვიტალი კლიჩკო. - *ტესტები იგზავნება კიოლნის საერთაშორისო სპორტულ ლაბორატორიაში, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე თანამედროვეა მსოფლიოში. თუ ვინმეს ეჭვი გაუჩნდება, ამ შემთხვევაში წერილობითი მოთხოვნა გაგზავნონ კიოლნში“.*

შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ, პოვეტკინის გუნდი WADA-ის წესებით დოპინგკონტროლის გავლის ინიციატივით გამოვიდა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**




